

ეროვნული ბიბლიოთეკა
619
1962



რუსული პოეზიის დეკადის მონაწილენი: დგანან (მარცხნიდან მარჯვნივ) ვ. სოლოუხინი, ა. მეჟიროვი, ო. შესტინსკი, ე. დოლმატოვსკი, ა. სურკოვი, ი. ფონიაკოვი. სხედან (მარცხნიდან მარჯვნივ) ნ. დორიზო, ვ. ბოკოვი, ს. ვასილიევი, ნ. რილენკოვი, ი. მორიცი

თბილისს ეწვივნენ რუსული ლექსის გამოჩენილი ოსტატები საქართველოში რუსული პოეზიის დეკადამ, რომელიც თხუთმეტ ივნისს დაიწყო და ათ დღეს გაგრძელდა, წარმატებით ჩაიარა

საქართველოს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობათა გაცნობის შემდეგ მოეწყო დიდი ლიტერატურული საღამოები რუსი და ქართველი პოეტების მონაწილეობით

სტუმრებმა დაათვალიერეს რუსთავის მეტალურგიული ქარხანა და ისაუბრეს ქართველ მეფოლადეებთან

დეკადის მონაწილე რუსი და ქართველი პოეტების სამი ჯგუფი გაემგზავრა რესპუბლიკის სოფლებსა და ქალაქებში მკითხველებთან შესახვედრად

რუსული პოეზიის დეკადა საქართველოში რუსი და ქართველი ხალხების ძმობისა და მეგობრობის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა

## ცისარტყელა საგურამოში

### ნიკოლოზ ტიხონოვი

ის ცისარტყელა ღრუბელთ ბრონცებზე
იდგა სულ ახლოს, გაშლილი ფრთებად,
ისე, ვით ხიდი ზღაპრულ ბოძებზე,
ძმა მეგობრების შემაერთებლად.

ოქროსფერ წვიმის წვეთები თბილი,
სჩქეფდნენ ფოთლებზე ანამღერები.
თვითეულ ფოთოლს ათრობდა ლხინი,
აფრქვევდა ცრემლებს ბედნიერებით.

ღრუბლებს სიამე სწვეოდათ მწველი,
მიჰკროდნენ მკერდით მთების მწვერვალებს.
შორით არაგვი ნათელი ხელით
თითქოს უხმობდა ადამიანებს.

მექა-ქუხილი გორს სცილდებოდა, —
იქ ცა მოლურჯო ზღვასავით იწვა,
და ბოხბისყელის ფერი ხდებოდა
ჩვენ ირგვლივ სივრცე და დედამიწა.

და შუქი ცისა, შუქი ზვიადი
ცისარტყელების ფრთებს აელერებდა.
იგი ჩვენს გულთა შორის დიადი
და მტკიცე ძმობის ხიდს აშენებდა.

თარგმანი კოლაუ ნადირაძისა.

## ალექსანდრე ტვარდოვსკი

* * *

მადლობა მიწავ, გულად რომ გიძევს
ოქროს ზოდივით გიზგიზა კერა;
ყველაფრისათვის, რაც შენით ვიგრძენ
და რასაც ჩემთვის ვატარებ ჯერაც;

რომ ძველი წლები მეც ნაღვლით მავსებს,
რომ ვირგე ტანჯვა მეც ჩემი წილი...
ყველაფრისათვის, რაც მიყვარს ასე,
ტკივილია თუ ტრფობაა ტკბილი.

რაც ჩემმა გზამ და ცხოვრებამ მარგო,
რაც შენგან ბევრჯერ ამცდა, იმედო.
სიკეთისათვის მე გმადლობ, კარგო,
წამებისათვის არ გამიმეტო.

მადლობა მისთვის, რომ არ გსურს გავქრე,
რომ უსაზღვრო გაქვს განი და კიდე...
მისთვის, ყოველგვარ ტვირთსა და საქმეს,
გამძლე ბეჭებით რომ ვზიდავ კიდევ.

გამბედავი და ძლიერი მუდამ.
არც არაფერს არ ვერიდები,
ძალა შემწევს და სიმღერას ვბედავ.
ქვეყნად ვიყო და ვიცოცხლო უნდა
შენი სახელით, შენი დიდებით,
შენი მომავლით, მშობელო დედავ!..

* * *

მივალ და ვხარობ და ვსუნთქავ ლაღად,
წვიმს და ნიავი ფოთლებთან ანცობს..
მე შენ ვერ გიცნობ, იმ ომში სადღაც
ამ მიწისათვის გამქრალო კაცო!

წამოგეწია მტრის ტყვია უნდო
და თავი დასდე, შენ ჩემო კბილავ,
რომ მიწა მწვანე, თბილი და მყუდრო,
ასე დაეტკბო ზაფხულის დილას.

აქ ზანტი ნისლი დგას ველზე ეშხით
და ყველაფერი საყვარელია
იასამნის რტო მიჭირავს ხელში
და გზაზე ჩემთვის მივალ ნელიად.

შენ კი წევხარ და სიჩუმე გახლავს.
ერთ დროს მთას სძრავდი. რკინას ამტვრევდი...
კარგო, მე შენი მემკვიდრე ახლა.
სხვანაირ სიკვდილს არც ვინატრებდი

თარგმანი ვასილ გვეტაძისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 7 (132) ივლისი, 1962 წ.

გამოცემის XII წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

# რუსული პოეზიის დღეები საქართველოში

1962



ალექსი სურკოვი.

## თეთრი არყის ხე

### სერგეი ვასილიევი

მახსოვს, დაიჭრა სისხამზე
არყის ხე ჭურვის ნამსხვრევით,
წვენი დიოდა ხის კანზე,
ტიროდა სიმწრით და ცრემლით.
ტყის იქით ჰქქდნენ ტანკები
და ალამებდა კვამლი დღეს.
მოსკოვთან მკერდით ალვსდექით,
გადავარჩინეთ არყის ხეც.
ადრიან გაზაფხულისას
საშინელ ომში დაჭრილმა
მწვანე ფოთლები მოისხა
და მიწა ჭრელად დაჩრდილა.
მას შემდეგ ყველა მუქარა
სამართლიანად გვანრისხებს,
ვამბობთ: — მეორედ ყუმბარა
ვერ მოხვდეს რუსულ არყის ხეს.

თარგმანი **ოთარ ჭელიძისა.**

## თამარ აბაკელიას ხსოვნას

### პაველ ანტოკოლსკი

ქართველ მხატვარ ქალს მე ვკითხე, როცა
მისი მშვენების გავხდი მხილველი:
— ამდენი ძალა რა ძალამ მოგცა,
ამდენი ხელი გასაკვირველი?
რიყრაყის ფერი რომ გამოსტაცე,
ძვირფას ქვათაგან იყო რომელი?
სად ნახე ვეფხვის თვალი, ოსტატო,
ასე ცეცხლივით ჩაუქრობელი?
ეგ მოწითალო სად იყო თიხა,
ფერი დღეების, ზღვის და ჰაერის,
ან ეგ სანგინი სად ნახე, მითხარ,
ჩემი მღელვარე სისხლისნაირი?
როგორ დახატე ტურფა მთა-ბარი,
როგორ კითხულობ სახეებს, ნეტავ?
მითხარი, როგორ გახდი მხატვარი,
ისეთი, ახლა როგორსაც გხედავ?
და მან პასუხად, ღიმილით წყნარით
ქვები მაჩვენა ხელით ნათალი,
მერე თეატრის გამიღო კარი
და დამანახვა ცრუ და მართალი.
მიამბო, მისი სული მყინვარებს,
როგორ აწყდება ღამით და დღისით,
რომ მოიპოვოს ფერი ბრწყინვალე
სამარადისოდ ალბექდვის ღირსი.
თქვა და გამომყვა ნაბიჯით ნელით,
დამშორდა კარის ზღურბლზე მომდგარი,
მან ჩამომართვა ღიმილით ხელი,
ხელი — ფერის და ქვის მეგობარი.

თარგმანი **გრიგოლ აბაშიძისა.**

### ალექსეი სურკოვი

• • •

წერს ნახევარწრეს ყოველი ტყვია,
როცა ჰაერში მიფრინავს ჩქარა,
და იგი სადმე თუ მომეწია,
მიიღებ ჩემი მეგობრის ბარათს.

საზენიტოთა ცეცხლი თუ ტყვია,
რის შეადუღებს ქვასა და ლითონს,
მოგითხრობს მოძმის წერილი ღია
ყველაფერს, რასაც გეტყოდი თვითონ:

რომ სივრცეს ნისლი ეხვია რკალად,
როცა მეომარს მიმუხთლა ძალამ,
ჩემი სიცოცხლის დასასრულამდი,
რომ გულზე მედო შენი სურათი;

რომ იმ სურათზე მომახულ წვერით
რკინამ დასტოვა სიკვდილის კვალი;
რომ ჰოსპიტალში შენს ყოველ წერილს
მე მიკითხავდა მეგობრის თვალი;

რომ შენი სიტყვით გამთბარი კაცი
ვდუმდი, მგმინავი ვერასდროს მნახეს;
რომ სიკვდილის წინ, ვით სულის ნაწილს,
მე ვახსენებდი შენს მოკლე სახელს.

კაცი სიკვდილზე არ ფიქრობს რიგით
შეტევის ქარში და ბრძოლის გზაზე.
მაგრამ თუ მაინც მეწვევა იგი, —
იქნება ასე.

თარგმანი **ხუტა ბერულავასი.**

## შორეთი

ფ 831

### ილია ფონიაკოვი

ჯერ ცხოვრების უხილავ წიაღში დუღს
რევოლუციის სისხლი ალისფერი.
გაკრულ სტრიქონებში გრიგალი ქუხს,
რევოლუცია იწერება კალმისწვერით.

ფარდა ჩამოხსენი სარკმელს!
ვარსკვლავი დაჰკანკალებს ხრამებს,
ტყეთა თავზე,
ციმბირის თავზე
დგას ვარსკვლავებიანი ღამე.

დარდი დავიწყებია სოფელს და სძინავს,
მგლები ღობესთან სტოვებენ კვალს.
ოთახში კაცი ყინულმბრწყინავ
ტოლჩიდან მოხვრეპავს წყალს.

ჭადრაკის დაფაზე წუთით ხარბად
ეტიუდს შეავლებს თვალს,
გადმოსახლებულმა მეგობარმა
გუშინ რომ დაუწყო მას.

ირგვლივ თოვლია თვალმომჭრელი!
ცისკარო, მზეს როდის იკერავდე?
შორსაა, ჯერ ისევ გზაა გრძელი
ოქტომბრამდე,
„ავრორამდე",
პიტერამდე.

შორია, შორია ცხენოსნამდე,
ქუდზე რომ ვარსკვლავი უელავს.
მკრთალ ლაწვებს რიყრაყის შემოსვლამდე
სარკმლიდან სიცივე უბერავს.

ქვეყნად რამდენია გზები დახლართული, —
ყველა შეიცანი და ყველა სძლიე...
შორსაა თანამგზავრი გუმბათალმართული,
კოსმოსურ ხომალდამდე შორია ძლიერ.

ლენინი წერს...
ყამირს აპობს,
ნახნავი ქაღალდზე ჩაღრმავდა...
სანთლის ენა ლაპარაკობს
სარკმელში შემოსულ ვარსკვლავთან.

თარგმანი **თ. ჯანგულაშვილისა.**

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ა. ტვარდოვსკი თბილისში, შეხვედრა აეროდრომზე.



# ჩვენი ქვეყნის დიადი პროგრამა

## ლიტერატურისა და ხელოვნების აყვავებისათვის

თავისი იდეური შინაარსის სიმდიდრით, თავისი მაღალი ოსტატობით საბჭოთა ლიტერატურამ და ხელოვნებამ დიდი ხანია ფართო ავტორიტეტი და აღიარება მოიპოვა მთელს მსოფლიოში. საბჭოთა სახელმწიფოს მწერლების, კომპოზიტორების, მხატვრების, კინოსა და თეატრის მუშაკთა მხატვრულმა ოსტატობამ შორს გაუთქვა სახელი საბჭოთა კულტურას.

უკანასკნელ ხანს შექმნილ ნაწარმოებებში ასახულია ჩვენი ქვეყნის ხალხთა დიადი სვლა კომუნიზმის ნათელ გზაზე. ეს მიღწევები უბრალო განვითარების მაჩვენებელი როდია. ამ მიღწევებს, მის ტრადიციებს, როგორც ამას ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავდა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ისინი მოასწავებენ ახალ ეტაპს კაცობრიობის მხატვრულ განვითარებაში. ჩვენი ქვეყნის გამოცდილებით დამტკიცებულია, რომ მხოლოდ სოციალიზმის პირობებში იქმნება ყველაზე ხელსაყრელი შესაძლებლობანი თავისუფალი მხატვრული შემოქმედების აყვავებისათვის, კულტურულ ფასეულობათა შექმნაში ფართო მასების აქტიური მონაწილეობისათვის. საბჭოთა ხელოვნება ამდიდრებს მთელი კაცობრიობის სულიერ საგანძურს, კაფავს კომუნისტური კულტურის გამარჯვების გზას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალ პროგრამაში მითითებულია რომ „კულტურული განვითარება კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში დიდი კულტურული რევოლუციის დამამთავრებელი ეტაპი იქნება. ამ ეტაპზე უზრუნველყოფილია ყველა საჭირო იდეოლოგიური და კულტურული პირობის შექმნა კომუნიზმის გამარჯვებისათვის“.

ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ საწარმოო ძალთა აღმავლობა, ადამიანის შრომის ნაყოფიერება, ყოველგვარი პროგრესი ტექნიკაში, სოფლის მეურნეობაში, ყოფაცხოვრების ყველა უბანზე განპიროვნებულია ადამიანთა სულიერი კულტურით, მისი განვითარების დონით... ამიტომაა, რომ ადამიანთა კულტურული ზრდის ისეთი სფეროების განვითარებას, როგორებიცაა ლიტერატურა და ხელოვნების მრავალი დარგი, დიდი მნიშვნელობა ენიჭება. კომუნიზმის კულტურა თავისში მოიცავს ყოველივე საუკეთესოს რაც კი მსოფლიო კულტურას დღემდე შეუქმნია. იგი არის უმაღლესი საფეხური კაცობრიობის კულტურულ განვითარებაში. კომუნიზმის კულტურა განასახიერებს „საზოგადოების სულიერი ცხოვრების მთელ მრავალფეროვნებასა და სიმდიდრეს, ახალი სამყაროს მაღალ იდეურობასა და ჰუმანიზმს. ეს იქნება უკლასო საზოგადოების, საერთო-სახალხო, საერთო-საკაცობრიო კულტურა“.

პარტიის ახალ პროგრამაში უდიდესის სინათლითაა დასახული კულტურული განვითარების ყველა გზები, საზოგადოების ცხოვრების ყოველმხრივი განვითარება. კომუნიზმზე გადასვლის პირობებში საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნების მრავალფეროვანი დარგები ახალ სიმაღლეებს მიაღწევს თავისი იდეურობითა და მხატვრული ოსტატობის დონით. ჩვენ დღეს მოწმენი ვართ ხალხის გენიის ფართო განვითარებისა კულტურულ ფრონტზე: მილიონობით საბჭოთა ადამიანი წარმოებიდან მოუწყვეტლად ჩაბმულია მხატვრულ წრეებში და თავის უნარს შემდგომ განვითარებისაკენ უკვლევს გზას. მაღალოსტატობამდე, პროფესიონალ შემსრულებელთა დონეზე ადის ჩვენი ხალხის თვითმოქმედება სახალხო თეატრებში. ხშირ შემთხვევაში, იგი ღირსეულად უდგას გვერდში პროფესიულ თეატრებს. ფართო გასაქანი მიეცა კინომოყვარულობას. შეიქმნა ათასობით ახალი ლიტერატურული და კინო ნაწარმოები, რომელთა ავტორები მუშები, გლეხები, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის მუშაკები არიან.

პარტიის ახალი პროგრამა ითვალისწინებს სახალხო თეატრების, მასობრივი თვითმოქმედების, ტექნიკური გამომგონებლობის, ხალხური შემოქმედების სხვადასხვა ფორმების მძლავრ განვითარებას. „მასების მხატვრულშემოქმედებითი საქმიანობის აღმავლობა, — ვკითხულობთ პროგრამაში, — ხელს შეუწყობს ახალი ნიჭიერი მწერლების, მხატვრების, მუსიკოსების, მსახიობების დაწინაურებას. საზოგადოების მხატვრული საგანძურის განვითარება და გამდიდრება ხდება მასობრივი მხატვრული თვითმოქმედებისა და პროფესიული ხელოვნების შეხამების საფუძველზე“. პროგრამაში ნათქვამია, რომ პარტია დაუცხრომლად იზრუნებს ლიტერატურის, ხელოვნების, კულტურის აყვავებისათვის; თვითეული ადამიანის პირადი უნარის რაც შეიძლება სრულ გამოსავლინებლად ყველა პირობის შექმნისათვის; ყველა მშრომელის ესთეტიკური აღზრდისათვის, ხალხში მაღალი მხატვრული გემოვნებისა და კულტურული ჩვევების ჩამოყალიბებისათვის.

პროგრამაში მითითებულია იმ დარგების განვითარებაზე, რაც შექმნის კულტურის მატერიალურ ბაზას შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის. ესენია წიგნის გამომცემლობის საქმისა და პრესის ყოველმხრივი განვითარება, ბიბლიოთეკების, სამკითხველოთა, თეატრების, კინოთეატრების, კულტურის სახლების, კლუბებისა და სხვათა ქსელის გადიდება, რადიოფიკაციისა და ტელევიზიის სრული განვითარება, სახალხო უნივერსიტეტების, თვითმოქმედების მძლავრი აღმავლობა, ლაბორატორიების, სამხატვრო სახელოსნოების, კინოსტუდიათა ფართო ქსელის შექმნა და სხვა.

საბჭოთა ლიტერატურის და ხელოვნების განვითარების მთელი გზა განუყრელადაა დაკავშირებული ჩვენს ხალხთან, ჩვენს პარტიასთან, საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის, განვითარებისა და უძლეველობისათვის გმირულ ბრძოლებთან. საბჭოთა მწერლობამ და ხელოვნებამ განაზოგადა ჩვენი ხალხის, ჩვენი სახელმწიფოს მიერ განვლილი ისტორიული გზები. საბჭოთა მწერლობა და ხელოვნება მუდამ ხალხთან იყო და მისი ინტერესებით ცხოვრობდა. დიდი კლასიკოსის მაქსიმ გორკის „დედას“ მსგავსად, ჩვენმა ეპოქამ შექმნა ნაწარმოებები, რომლებიც თვალნათლივ გამოხატავენ ჩვენი დიადი სამშობლოს განვითარების ზუსტ და მხატვრულ განზოგადოებულ პერიოდებს. ეს ქმნილებები ჩვენი ხალხის სულიერი აღზრდის უმნიშვნელოვანეს ძალად იქცნენ.

პარტიის ოცდამეორე ყრილობა და მის მიერ მიღებული ისტორიული დოკუმენტები, ჩვენი პარტიის ახალი პროგრამა, უდიდეს გზებს უსახავს ჩვენს ლიტერატურას, ჩვენს ხელოვნებას კომუნიზმისათვის ბრძოლის გზაზე. საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება, რომლებიც გამსჭვალული არიან ოპტიმიზმით და ცხოველმყოფელი კომუნისტური იდეებით, —ნათქვამია პროგრამაში, — დიდ იდეურ-აღმზრდელობით როლს ასრულებენ, საბჭოთა ადამიანს უვითარებენ ახალი სამყაროს მშენებლის თვისებებს, ისინი მოწოდებული არიან იყონ სიხარულისა და შთაგონების წყარო მილიონობით ადამიანისათვის, გამოხატავდნენ მათ ნებას, გრძნობებსა და ფიქრებს, იყონ მათი იდეური გამდიდრებისა და ზნეობრივი აღზრდის საშუალება.

ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების მთავარი ხაზია კავშირის განმტკიცება ხალხის ცხოვრებასთან, სოციალისტური სინამდვილის, სიმდიდრისა და მრავალფეროვნების მაღალი და მაღალმხატვრული ასახვა, ახლის, ნამდვილად კომუნისტურის შთაგონებული და მკაფიო წარმოსახვა და ყოველივე იმის მხილება, რაც ეწინააღმდეგება საზოგადოების წინსვლას.

ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების მეთოდი სოციალისტური რეალიზმია. ჩვენს ხელოვნებას საფუძვლად უდევს ხალხურობისა და პარტიულობის პრინციპები, ახლის ძიება ცხოვრების მხატვრულ ასახვაში, რაც შეხამებულია მსოფლიო კულტურის პროგრესულ ტრადიციებთან. კულტურის მუშაკთა წინაშე გაშლილია მთელი შესაძლებლობანი პირადი შემოქმედებითი ინიციატივის, ოსტატობის, შემოქმედებითი ფორმების სტილისა და ჟანრის მრავალფეროვნების გამოყენებისათვის.

პარტია ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ კიდევ უფრო ამაღლდეს ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების დონე; მწერლებმა და ხელოვანებმა რაც შეიძლება მეტი გააკეთონ სამშობლოსათვის, ჩვენი ხალხისათვის.

სოციალისტური რეალიზმის მეთოდის ძალაა სინამდვილეში მთავარისა და გადამწყვეტის ასახვა. ამ დიადი ამოცანის შესრულებისას არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ადგილი არ მივცეთ უგემოვნობობას, — როგორც ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი ამბობს, — „რითაც უნდა იჩენდეს იგი თავს — ფორმალისტური გატაცებით, თუ მეშჩანური წარმოდგენით ხელოვნებაში, ცხოვრებაში „ლამაზის“ შესახებ“.

ყველაზე მშვენიერია ადამიანის შრომა და არ არის იმაზე უფრო კეთილშობილური ამოცანა, ვიდრე მართლად ვუჩვენოთ ახალი ადამიანი — მშრომელი, მისი სულიერი ინტერესების სიმდიდრე, მისი ბრძოლა ძველის, დრომოჭმულის წინააღმდეგ.

ჩვენს დიად კომუნისტურ პარტიას ღრმად სწამს, რომ ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი კვლავ საიმედო იარაღი, ჭკვიანი და კეთილი მრჩეველნი იქნებიან კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხისა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# [illegible]

თამარისის მეფრინველეობის ფაბრიკას რამდენიმე წლის ისტორია აქვს. იგი 1959 წელს შეიქმნა მტს-ის ბაზაზე. დაარსების პირველ დღეებში ფაბრიკაში მხოლოდ 10 ათასი ფრთა ფრინველი ჰყავდათ. მწვავედ იგრძნობოდა გამოცდილი სპეციალისტების ნაკლებობა, წარმოებაში არ იყო დანერგილი ავტომატიზაცია და მექანიზაცია, აკლდათ ფრინველისათვის საჭირო სასმელი წყალი და კეთილმოწყობილი სადგომები...

ამ სიძნელეებმა გული როდი გაუტეხა ახალგაზრდა კოლექტივს. მონდომებულმა და თავდადებულმა შრომამ მალე თავისი ნაყოფი გამოიღო და თამარისელმა მეფრინველეებმა სასახელო წარმატებების მოპოვება შეძლეს.

ფაბრიკაში ამჟამად 105 ათასი ფრთა ფრინველი ჰყავთ. მომავალი წლის დამდეგისათვის კი გეგმით გათვალისწინებული 121 ათასის ნაცვლად 180 ათასი ფრთა ეყოლებათ, მათ შორის 50 ათასზე მეტი კვერცხისმდებელი ქათამი

გასულ სამეურნეო წელს აქ 808 ათასი წიწილა გამოზარდეს, რაც 2 ათასით აღემატება გეგმას. ასევე წარმატებით შესრულდა კვერცხისა და ფრინველის ხორცის დამზადების გეგმები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალ პროგრამაში აღნიშნულია, რომ ჩვენს ქვეყანაში უახლოეს 10 წლიწადში ხორცის წარმოება 3-4-ჯერ უნდა გაიზარდოს.

თამარისელმა მეფრინველეებმა კარგად იციან — ამ ამოცანის წარმატებით შესრულების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს ფრინველის სულადობის სწრაფი ზრდა წარმოადგენს. სწორედ ამიტომაც, ფაბრიკის მთელმა კოლექტივმა მტკიცედ გადაწყვიტა, შვიდწლედის ბოლოსათვის ფრინველის სულადობა სულ ცოტა 200 ათას ფრთამდე აიყვანოს. ამ დროისათვის აქ 100 ათასზე მეტი კვერცხმდებელი ქათამი ეყოლებათ. ფრინველის ხორცის წარმოება 800 ტონას მიაღწევს, კვერცხისა კი — 5 მილიონ ცალს.

უკვე მიმდინარე წლის ბოლოსათვის ფაბრიკაში 2 მილიონ კვერცხს მიიღებენ, 2,5-ჯერ მეტს, ვიდრე შარშან. ხორცის წარმოება გაიზრდება 2 ათას ცენტნერამდე, საერთო პროდუქციის თვითღირებულება 15 პროცენტით შემცირდება.

ასეთი დიდი და საპატიო ვალდებულებების შესასრულებლად თამარისელმა მეფრინველეებმა წინდაწინვე ჩაყარეს მტკიცე საძირკველი: მეფრინველეობის ფაბრიკა უკვე მთლიანად უზრუნველყოფილია ქათმებისათვის საჭირო სასმელი წყლითა და კეთილმოწყობილი საფრინველეებით. მოაწყეს საკუთარი ინკუბატორი, რომელიც საშუალებას იძლევა ყოველწლიურად 400 ათასი ფრთა წიწილა გამოჩეკონ. 60 ჰექტარზე დაითესა სიმინდი, იონჯა და ფრინველის გამოსაკვებად საჭირო სხვა მცენარეები, წარმოებაში ინერგება მექანიზაცია.

— ახლა ყველაფერი მეფრინველეთა უნარზე და თავდადებულ შრომაზეა დამოკიდებული, — გვეუბნება თამარისის მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი პ. გუნია, — მაგრამ წინდაწინვე შემიძლია დაბეჯითებით გითხრათ: ჩვენი კოლექტივი არც ახლა შეირცხვენს თავს ახალი წარმატებების მოსაპოვებლად.

გულდასმით ვათვალიერებთ საფრინველეებს და ვრწმუნდებით, რომ სრულ სიმართლეს ამბობს დირექტორი. მეფრინველეობის ფაბრიკაში ოთხი ბრიგადაა და ოთხივეში ნათლად იგრძნობა, თუ როგორი მონდომებით, საქმის ცოდნითა და გულისყურით ეკიდებიან მეფრინველეები თავიანთ სამუშაოს.

აი ეს თეთრხალათიანი ქალიშვილები, მოუსვენრად რომ დაფუსფუსებენ ახალგამოჩეკილ წიწილებს შორის, ფაბრიკის მოწინავე მეფრინველეები მედეა ბუალაძე და ნაზი აბუაშვილი არიან.

ისინი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოვიდნენ ფაბრიკაში და ახლა თავდადებული შრომის საუკეთესო მაგალითს უჩვენებენ სხვებს.

მედეა და ნაზი შარშან გეგმით გათვალისწინებული 7 ათასი წიწილის ნაცვლად 9-9 ათას ფრინველს უვლიდნენ. მათ წიწილების სიკვდილიანობა ნავარაუდევ 10 პროცენტიდან 4 პროცენტამდე დაიყვანეს და 24-24 ათასი ფრთა ფრინველი გამოზარდეს.

ახალგაზრდა მეფრინველეების წარმატების „საიდუმლო" უპირველეს ყოვლისა საქმისადმი სიყვარულსა და მონდომებაში უნდა ვეძიოთ. დობილები თავიდანვე თანმიმდევრულად და კეთილსინდისიერად ასრულებენ ზოოვეტერინარული წესებით გათვალისწინებულ რეჟიმს, ფრინველებს კვებავენ წინასწარ გულმოდგინედ შემზადებული საკვების ზუსტად დაწესებული რაციონით.

ნაზი და მედეა ქათმებს, როგორც წესი, დღეში 5-ჯერ კვებავენ, მათ შორის, თითოჯერ მშრალი და მარცვლეული საკვებით, 3-ჯერ სველი ნარევით. დიდ ყურადღებას აქცევენ აგრეთვე ფრინველების სეირანზე გაშვებას, სისუფთავის დაცვასა და ზამთრის პერიოდში სათანადო დათბუნებას.

მედეა ბუალაძესა და ნაზი აბუაშვილთან ერთად მთელი ფაბრიკა ამაყობს ისეთი მოწინავე მეფრინველეებით, როგორიც არიან: მერი ლობჟანიძე, მარიამ რეხვიაშვილი, სვეტლანა ანტიფიევა, ვერა რეხვიაშვილი და სხვები.

სასახელო შრომით საქმიანობასთან ერთად, ისინი ახალბედა მეფრინველეებს გულმოდგინედ უზიარებენ თავიანთ მდიდარ გამოცდილებას, სხვადასხვა დარიგებებს აძლევენ მათ, პრაქტიკულად ეხმარებიან საწარმოო წარმატებების მოპოვებაში.

ერთ მტკიცე კოლექტივად შეკრულან და შეხმატკბილებულან თამარისელი მეფრინველეები, შეკრულან და ძალასა და ღონეს არ ზოგავენ, რათა პირნათლად შეასრულონ სამშობლოს დავალება — თავიანთი წვლილი შეიტანონ კვების პროდუქტების სიუხვის შექმნის საქმეში.

გ. ალანიძე.

# თამარისელებს



3

# გული ფეთქავს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. გიორგაძე



— სკალპელი!...

— პეანი!... კოხერი!... სწრაფად!

ქირურგის თითებში თვალისმომჭრელად ელავს საოპერაციო იარაღები. ოთახში დაძაბული მდუმარებაა ჩამომდგარი. მარტო ფოლადის ჟღარუნი და დასტაქარის მოგუდული ხმა თუ არღვევს სიჩუმეს.

მაგიდაზე თეთრი ზეწრის ქვეშ მშვიდად სძინავს ადამიანს, სძინავს და ვერ გრძნობს, თუ რა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა გამართული მის მკერდში შეპარულ სიკვდილთან.

ქირურგს შუბლი ოფლით აქვს დაცვარული. ოფლში გახვითქულან მისი ასისტენტებიც. შალვა მახარაძეს თითქოს თვალებიც გაჰყინვია სათვალეს სქელ მინებს უკან. მარტო თითები, მარდი, გონიერი თითები მოძრაობენ ელვის სისწრაფით, უშეცდომოდ.

— გაბერეთ, ფილტვი!.. მძლავრად გაბერეთ!..

ემელიან ქურდიანი, ამ განყოფილების უფროსი მეცნიერი მუშაკი, სწრაფად რთავს აპარატს. ფილტვის გაბერვა ხელსაყრელია ქირურგისათვის — გული მარტოვდება, იქმნება მოქმედების ვრცელი არე, იოლდება სიკვდილთან ბრძოლა.

— ფრთხილად, ვიწყებ გულის ოპერაციას!

ქირურგის ეს ყრუანტელისმომგვრელი ხმა არაერთხელ მოუსმენიათ ამ ოთახში. მოუსმენიათ მაშინაც, როცა მაგიდაზე გულის ანგინით დაავადებული ადამიანი იწვა, როცა ავადმყოფს აორტის სტენოზის გაფართოება სჭირდებოდა და, როცა ქვედა ღრუში ვენის გადაკვანძა მოახდინეს გულის დეკომპენსირებული რევმატიული მანკის დროს. მოუსმენიათ ხშირად. დღეს ეს სიტყვები უკვე სამოცდამეთექვსმეტედ გაისმის აქ, სამოცდამეთექვსმეტედ სულ რაღაც ორიოდე წლის განმავლობაში. ორი წელია, რაც ნიჭიერი ქირურგების, თერაპევტების და მედიცინის დებისაგან შემდგარი ეს პატარა კოლექტივი დაუღალავად იბრძვის ადამიანის გულის აღდგენისა და სიცოცხლისათვის.

თბილისის კარდიოლოგური ინსტიტუტის ამ საოპერაციო ოთახში შალვა მახარაძემ, ომარ ჭანტურიამ, შოთა გარსევანიშვილმა, ემელიან ქურდიანმა, ტრისტან ხუციშვილმა და აკაკი კარსანიძემ პირველებმა გადადგეს გაბედული ნაბიჯი ქართულ ქირურგიაში გულის მძიმე დაავადებათა ოპერაციების ჩატარებისათვის. ნიჭიერმა ქირურგებმა გადმოიტანეს თავიანთი სახელოვანი მასწავლებლების, აკადემიკოს ბაკულევისა და პროფესორ მეშალკინის ბრწყინვალე გამოცდილებანი გულის ქირურგიაში. მათმა მადლიანმა მარჯვენამ არაერთხელ გამოსტაცა სიკვდილს ადამიანები, რომლებიც გულის მძიმე დაავადებით იტანჯებოდნენ.

— ფრთხილად, ვიწყებ გულის ოპერაციას!...

მაგიდაზე წევს ბიძინა ქარჩავა. ბიძინა ორჯერ დასცა ინფარქტმა. მისი ბედი გადაწყვეტილი იყო, აორტის სარქველს შევიწროების გამო მარცხენა პარკუჭის კუნთი გადაგვარებოდა. ეს კი დაღუპვას უქადდა ქარჩავას. საჭირო იყო მკვდარი კუნთის გამოცოცხლება.

— წნევა? — კითხულობს მახარაძე.

— ორმოცი ოცდაათზე, — ესმის შეშფოთებული პასუხი.

— ქაფური, კარდიამინი, სწრაფად!..

დასტაქარები გაშეშდნენ, სუნთქვაც კი შეწყვიტეს. მოძრაობს მხოლოდ შალვას ხელები. გამეტებულად სრესავს გაყინულ გულს, ზელავს, აღვიძებს. ყრუდ ქშინავს სასუნთქი აპარატი, ზუზუნებს ელექტროაპარატურა. აკაკი კარსანიძე საჩქაროდ უსხამს სისხლს ვენაში. ოთახში სიკვდილის სიომ დაუბერა, დაუბერა და ყველა შეაძრწუნა. შალვა ოფლში იხვითქება, თავს არ ანებებს მიძინებულ გულს, მოსვენებას არ ჰძლევს და ცდილობს თავისი თითებით გაუთბოს სისხლის ძარღვები.

---

# თაყვანისცემა

ი. ერენბურგი

(ნაწყვეტი მემუარებიდან „ადამიანები. წლები. ცხოვრება“)

ცხოვრებაში მაინც ხდება ბედნიერი შემთხვევები, ზოგჯერ მწერლები რთული და გამოუვალი ისტორიების კეთილი დასასრულისათვის რომ იყენებენ. გოლოვინის პროსპექტზე შევხვდით ოსიპ ემელიანის ძე მანდელშტამს. ძალიან გაგვეხარდა მისი ნახვა. იმას ჩვენი.

აქაურობას მოშინაურებულმა მანდელშტამმა საქმიანად გვითხრა: „ახლა ჩვენ წავალთ ტიციან ტაბიძესთან. ის წაგვიყვანს შესანიშნავ დუქანში“...

ტიციან ტაბიძე ჩვენმა მისვლამ აღაფრთოვანა. ყველას გვეხვეოდა, გვიკითხავდა ლექსებს. მერე გაიქცა თავისი მეგობრის პაოლო იაშვილის მოსაყვანად.

პაოლო იაშვილი პარიზის კაფე „როტონდაში“ გავიცანი. ეს გახლდათ 1914 წელი. პაოლო მაშინ გამხდარი, მკვირცხლი, ოცი წლის ჭაბუკი იყო. მეკითხებოდა: — რომელ კაფეში იჯდა ვერლენი? როდის მოვა აქ პიკასო? თქვენ მართლა წერთ კაფეში? მე ხომ ვერ შევძლებდი... შეხედეთ, როგორ კოცნაობენ! აღმაშფოთებელია! მე ეს ძლიერ აღმაფრენს.

თბილისში პაოლოს ნახვა ისე გამეხარდა, როგორც თანაპოლკელისა. თუმცა პარიზში ჩვენი შეხვედრები შემთხვევითი და წუთიერი იყო.

მაგიდის გარშემო შემოსხდომა ვერ მოვასწარით, რომ პაოლომ და ტიციანმა გვაუწყეს: ისინი არიან პოეტური ორდენის, „ცისფერყანწელების“ ფუძემდებლები. მე ვიფიქრე, რომ ამას არავითარი კავშირი არ ქონდა სუფრასთან, ჰომ არის ჟურნალი „ცისფერი მხედარი“, გამოფენები „ცისფერი ვარდები“, მაგრამ მედუქნემ ორი უზარმაზარი ყანწი (მართალია, არა ცისფერი) შემოიტანა. ყანწში, რომელიც პაოლომ მომაწოდა, ერთი კვარტი ღვინო ჩაეტია. ყანწი ჭიქა ხომ არ არის მაგიდაზე დადგა! ვყოყმანობდი რამდენიმე წუთს. მერე ნირწამხდარმა სულმოუთქმელად დავცალე. ხოკტაბელში ძალიან გავძვალტყავდი, ამიტომ ადვილი მისახვედრია, რა დამემართებოდა ყანწის დაცლისას. ქართველმა მეგობრებმა წამიყვანეს რომელიღაც სახელგანთქმული ვირტუოზის კონცერტზე. ბუნდოვნად მახსოვს, როგორ ვეგდე კონსერვატორიის ერთ-ერთ ოთახში არფებსა და გვირგვინთა ბაფთებს შორის.

თბილისში ორი კვირა ვიცხოვრეთ. მე მომეჩვენა, რომ ეს იყო, ლირიული უკანდახევა.

ყოველდღე ვსადილობდით. უფრო მეტიც, ყოველ საღამოს ვვახშმობდით. პაოლოს და ტიციანს ფული არ ჰქონდათ, მაგრამ ისინი გვიმასპინძლდებოდნენ, როგორც შუასაუკუნეთა თავადები, დარდიმანდები, არჩევდნენ ყველაზე სახელგანთქმულ დუქნებს, გვიმასპინძლდებოდნენ რჩეული კერძებით.

ზოგჯერ ჩვენ ერთი დუქნიდან მეორეში გადავდიოდით. სადილი გადადიოდა ვახშამში. ქართული კერძების სახელები ჟღერდნენ, როგორც ლექსთა სტრიქონები: სულგუნი, ცოცხალი, საცივი, ლობიო. ჩვენ ვეახლებოდით კალმახს, პილპილიან წვნიან საჭმელებს. შემწვარ სულგუნს, ნიგვზითა და კოწახურით შეზავებულ საწებელს, შამფურზე შებრაწულ ქათმის ღვიძლსა და ღორის შიგნეულს. აღარაფერს ვამბობ მრავალნაირ მწვადებზე. თურქულ დუქნებში ჩვენთან მოჰქონდათ თიხის ჯამებში შემზადებული ფლავი და ცხვრის ხორცი. ჩვენ არჩევანში ვიყავით, რომელი ღვინო დაგველია — თელიანი თუ ყვარელი.

აღმოსავლეთში მანამდე არასოდეს ვყოფილვარ, ამიტომ ძველი თბილისი მომეჩვენა ქალაქად „ათას ერთი ღამიდან“. ჩვენ დავეხეტებოდით „მოედანზე“. იქ ჰყიდიდნენ ზურმუხტს და ცხელ ლავაშს, ინგლისურ პიჯაკებსა და ხანჯლებს, საკმეველსა და გრამაფონებს, სურნელოვან ბალახბულახსა და შაშხანებს, თამარ მეფის სურათებსა და დოლარებს.

ჩვენ ვსვამდით ღვინოს. ვერის ბაღებში. დაბლა შლეგი მტკვარი წითელ-ყვითელ ნაკვერცხლებს ეთამაშებოდა! მაგიდაზე კი სურნელს აფრქვევდა ქინძი და ტარხუნა.

უძველეს ტაძრებში ჩვენ ვუცქერდით ქვის დედოფლებს, ავაზები რომ ეალერსებოდნენ. ჩვენ აღტაცებაში მოვყავდით დუქნებში, ქართველი რუსოს — თვითნასწავლი მხატვრის ნიკო ფიროსმანიშვილის სურათებს, რომელიც მწვადის და ღვინის საფასურში ხატავდა სარდაფის კედლებს. იგი იყო უბრალო, პათეტიური, განცვიფრებდა კომპოზიციითა და ფერის სიუხვით.

მთელ დროს ახალ მეგობრებთან პაოლო იაშვილთან და ტიციან ტაბიძესთან ვატარებდი, მე ისინი ძალიან მალე შევიყვარე.

მათ ერთმანეთთან აკავშირებდა არა მარტო საერთო პოეტური შეხედულებები, არამედ ძლიერი მეგობრობაც. ეს მეგობრობა ლიტერატურულ სკოლებზე უფრო ხანგრძლივი აღმოჩნდა — ისინი ერთად დაიღუპნენ. მაგრამ როგორ არ გავდნენ ისინი ერთმანეთს! პაოლო მაღალი იყო, მგზნებარე, ზედმიწევნით ენერგიული, შეეძლო ყველაფრის ორგანიზება: „ცისფერყანწელთა“ დეკლარაცია იქნებოდა ეს თუ სადილი რომელიმე დუ-

[illegible] გივი [illegible] ავადმყოფს ქუთუთოებს უსინჯავს და უიმედოდ აქნევს თავს, გულნარა ჩიმაკაძე გაფითრებული მიშტერებია „კარდიოსკოპს“, კარდიოგრამის ზიგზაგი ხაზები ალარსად ჩანან. სულერთიანად მიილია ავადმყოფის მაჯისცემა. წნევა ნულს მიუახლოვდა. ბიძინა ქარჩავა მკვდარი იყო.

— დეფიბრისტორი! — მოისმის შალვა მახარაძის დაძაბულობისაგან ჩახლეჩილი ხმა.

ლითონის ბრტყელთავიანი მაშები სწრაფად უახლოვდება ადამიანის გულს.

— მოსცილდით მაგიდას!

შალვამ მაღლა აღმართა ელექტრომაშები, მკერდის ღრუში მობუზულ გულს დაუმიზნა და ლითონის ფირფიტები პარკუჭებს დააბჯინა.

— ორიათასი ვოლტი!

მძლავრი ელექტრონი შეიჭრა ავადმყოფის გულში. პარკუჭები უცებ ათრთოლდნენ, აცახცახდნენ, თითქოს მზემ გამოანათა და ყინული დადნაო, გული ამოძრავდა, აძიგძიგდა, „კარდეოსკოპის“ ეკრანზე კვლავ გამოისახა ზიგზაგები. აიწია, აქშინდა სასუნთქი აპარატი, ამოძრავდა ფილტვი, გაყინულ არტერიებში სისხლი ამოძრავდა. ქირურგები ერთხანს კიდევ უცქერდნენ გაცოცხლებულ გულს და, როცა დარწმუნდნენ მას საფრთხე აღარ ელოდა, საქმეს შეუდგნენ.

— ნემსი, ძაფი!

ქირურგი იწყებს გაკერვას...



ქარჩავა გადარჩა. კიდევ რამდენიმე კვირა და გაჯანსაღებული, გაახალგაზრდავებული დაუბრუნდება იგი საყვარელ სამუშაოს.

ვინ მოსთვლის რამდენი საბჭოთა ადამიანი გამოსტაცეს ამ ოთახში სიკვდილის კლანჭებს: რუსთაველი მუშა ლევან ოლეინიკოვი, კოლმეურნე ფედორ გობოზოვი, ქუთაისის აბრეშუმკომბინატის მუშა ნაზი ნერგაძე, ახმეტელი კოლმეურნე ელენე ნონიაშვილი და მრავალი სხვა.

კვლავ ფეთქავს მათი გული, კვლავ დგებიან კომუნიზმის მშენებელთა რიგებში ისინი, რომლებიც მანამდე თავის ცხოვრებას ნაადრევად, მეტისმეტად ნაადრევად დამთავრებულად თვლიდნენ.

ქირურგთა ეს პატარა კოლექტივი, რომელსაც კარდიოლოგიური ინსტიტუტის ერთი მცირე კუთხე უკავია, საქართველოში გულის ახალი ქირურგიის წინამორბედია. მათი მადლიანი მარჯვენა, გამოცდილება და ცოდნა ჯერ კიდევ ბევრ სასწაულს მოახდენს ადამიანთა სიცოცხლისათვის ბრძოლაში.



# ექიმი გამომგონებელი

ვ. ტარსაიძის სახელობის თვალის დაავადებათა რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს ფიზიოლოგიური ოპტიკის ლაბორატორიის გამგე ლაკონი ხუროძე ცამეტი წელია, რაც მედიცინის ერთ-ერთ ურთულეს დარგში — ოფტალმოლოგიაში მუშაობს. უკანასკნელ წლებში მან გამოაქვეყნა 16 სამეცნიერო შრომა, რომლებმაც დიდი აღიარება მოიპოვეს.

პირველი საავტორო მოწმობა ლ. ხუროძის სახელზე გაიცა 1955 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომზე — „თვალის ბადისებრი გარსის ფუნქციის დიაგნოსტიკის მეთოდი“. ეს ნაშრომი მნიშვნელოვანი შენაძენია ოფტალმოლოგიური დიაგნოსტიკის დარგში.

ახალგაზრდა გამომგონებელ-ნოვატორის მეთოდი საშუალებას იძლევა ზუსტად გავარკვიოთ ბადურის ფუნქციონალური მდგომარეობა თვალის წრის ამღვრეულობის დროს და შეუცდომლად გადავწყვიტოთ საკითხი თვალის ოპტიკური ოპერაციის მიზანშეწონილობის შესახებ.

მეორე საავტორო მოწმობა ლ. ხუროძის სახელზე გაიცა 1961 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომზე — „გამშუქებელი ელექტრორეტინოგრაფიისათვის“.

ამ გამოგონების პრაქტიკაში დანერგვით ელქტრორეტინოგრაფიამ შეიძინა მეტად დიდი მნიშვნელობა თვალის ბადისებრი გარსის სხვადასხვაგვარი დაავადების ხარისხის დიფერენცირების სფეროში.

ლ. ხუროძემ ამჟამად დაამუშავა ლოკალური რენტგენპერიმეტრის მეთოდიკა, რომლის მეოხებით შესაძლებელი ხდება თვალის წრის ამღვრეულობის დროს თვალის ბადისებრი გარსის შუქმგრძნობელობის გამორკვევა.

გამომგონებელ-ნოვატორი ლ. ხუროძე შემოქმედებითი ენერგიით არის აღსავსე და კვლავ დაუღალავად ეძებს ახალ გზებსა და მეთოდებს ოფტალმოლოგიის დარგის შემდგომი განვითარებისათვის.

ო. ქავთარაძე.

# ართველოს მთებს...

ქანში. მისი ლექსები იყო ცოცხალი, ჭკვიანი. ტიციანი კი იყო მეოცნებე. გაოცებდა თავისი სილბილით. ლამაზი იყო, გულზე მუდამ წითელი მიხაკი ჰქონდა, ლექსებს კითხულობდა, თითქოს მღეროდა, და მისი თვალები ისეთივე ცისფერი იყო, როგორც მთის ტბაა. მე მისი ლექსები ქართულადაც მომისმენია. მახსოვს ტიციანმა მითხრა, რომ პოეზია მეწყერია. მრავალი წლის შემდეგ მე წავიკითხე თარგმანში მისი ლექსი, სადაც იყო სტრიქონები: „მე ლექსს არა ვწერ, ლექსი თვითონ მწერს“...

მე მგონია ამ სიტყვებში ტიციანი ვერ იმალება. ვერ იმალება მისი სიწმინდე, მისი ამაღლებულობა. ის, უპირველეს ყოვლისა, იყო პოეტი.

იაშვილი და ტაბიძე მშვენივრად იცნობდნენ, უყვარდათ რუსული და ფრანგული პოეზია: პუშკინი და ბოდლერი, ბლოკი და ვერლენი, ნეკრასოვი და რემბო, მაიაკოვსკი და აპოლინერი. მათ დალეწეს ქართული ვერსიფიკაციის ძველი ფორმები. ძნელია, მე მგონი, ნახო პოეტები, რომელთაც ისე უყვარდეთ თავისი სამშობლო, როგორც მათ უყვარდათ. პაოლოსა და ტიციანს რა რიგ გაახარებდათ, თუ ეტყოდით, რომ ესა თუ ის ქართული სიტყვა ძალიან მეტყველია, თუ შეამჩნევდით მთის ყვავილს, ქალიშვილის ღიმილს რუსთაველის პროსპექტზე. ისინი რომ შესანიშნავი პოეტები იყვნენ, ახლა უკვე შეიძლება წაიკითხოთ ყველა ცნობარში. მე მინდა დავუმატო: ისინი იყვნენ ნამდვილი ადამიანები.

მე კვლავ ვეწვიე თბილისს 1926 წელს. ჩამოვედი ტიციანთან და პაოლოსთან. შემდეგ ჩვენ ერთმანეთს შევხვდით მოსკოვში. დრომ გამოცადა ჩვენი მეგობრობა.

1937 წლის მიწურულში ესპანეთიდან ჩამოვედი, ტერუელიდან თბილისში, შოთა რუსთაველის იუბილეზე. პაოლო და ტიციანი აღარ დამხვდნენ. იმის შესახებ თუ რა მოუვიდათ მათ, მე ვიტყვი გურამ ასათიანის სიტყვებით „ტაბიძე, ისე როგორც მისი შესანიშნავი თანადროულნი, პაოლო იაშვილი, მ. ჯავახიშვილი და ნ. მიწიშვილი ხალხთა უბოროტესი მტრების მსხვერპლნი გახდნენ“.

თბილისში მხოლოდ ერთი „ცისფერყანწელი“ პოეტი ვნახე. ეს იყო გოგლა ლეონიძე. მე იგი გავიცანი 1926 წელს. მან წამიყვანა სახლში ახალი წლის წინა ღამეს. უცებ შეწყდა სადღეგრძელოები. ჩვენ ავწიეთ ჭიქები და არაფერი ვთქვით. ჩვენ წინ იყვნენ ტიციანი და პაოლო... მე ხშირად ვფიქრობ იაშვილის ლექსებზე, რომელიც მან დაწერა სიკვდილის წინ რამდენიმე წლით ადრე.

ტიციანი და პაოლო უყვარდა ბევრ რუს მწერალს: ესენინს, პასტერნაკს, ტიხონოვს, ზაბოლოცკის, ანტოკოლსკის. ჩვენ კი ვიყავით პირველი საბჭოთა პოეტები, რომლებმაც თბილისში ვიპოვეთ არა მარტო სულიერი სიმშვიდე, არამედ რომანტიკა, სიმაღლის შეგნება, ჟანგბადი. მე ვლაპარაკობ მთებზე და ადამიანებზე, ხომ არ შეიძლება პაოლო და ტიციანი დავაშოროთ გარემომცველ პეიზაჟს.

საქართველოში მოგზაურობის შემდეგ 1926 წელს მე ვწერდი: „შევთანხმდეთ: მთები მხოლოდ ალპინისტის ასტმა როდია, არც მარტო ოხვრაა კანიკულიარული სილამაზის მოყვარულისა, ის აგრეთვე ბუნების მოუსვენრობაა, მისი მოთხოვნილება, და იგი ღრმად შეესაბამება ადამიანის ბუნებრიობას... ვაზი და მხეცნი ანანურის მონასტერისა ღრეობენ, მწიფდებიან, ცხოვრობენ. მათ სიყვარულით შეცქერიან მწყემსები და ვარსკვლავები. ვერის ბაღებში ტირის ზურნა საყვარელი ქალივით, რომლის ხმასაც, თუნდაც გაიაროს ათასმა წელმა, მაინც იცნობ. დაე, უყვარდეთ „ცისფერყანწელ“ პოეტებს რემბო და ლოტრეამონი, უცოდველი სულები უმეორებენ მათ ლექსებს მიამიტ ქალიშვილებს გრიბოედოვის საფლავის გვერდით. როცა ერთ მთლიანობაში ირწყმება ასტრონომთა ვარსკვლავეთი, სოლოლაკის ჩირაღდნები და ამაღელვებელი თვალის ჩინები, დუქნების კედლებზე სისხლისაგან იცლებიან ნიკო ფიროსმანიშვილის მიერ დახატული საზამთროები“.

ალპები საფრანგეთში — სპორტია, ტურიზმი, სანატორიუმები, თხილამურები, სასტუმროები, რუკზაკები, ღია ბარათები. კავკასიონის გარეშეც კი ძნელია წარმოიდგინო რუსული პოეზია: იქ ისვენებდა სულიერად იგი. იქ იყო მისი სასტარტო მოედანი. მაგრამ მე ახლა ალვწერ მხოლოდ და მხოლოდ 1920 წლის შემოდგომის ორ კვირას, როცა ქართველმა მეგობრებმა შეგვიფარეს და გაგვათბეს ჩვენ. ისინი უკვე აღარ არიან, რჩება ერთი: თაყვანისცემა საქართველოს მთებს.

იაშვილმა და ტაბიძემ გამოგვაცილეს საქართველოს სამხედრო გზით პირველ გადასახვევამდე. ჩემს ყურებს თითქოს ახლაც ესმის ტიციანის მაღალი, განმგმირავი ხმა:

„ივერიის მთებზე
წევს ღამე ბნელი...“

3



# ჩვენი სამშობლოს დიდი შვილი

თავისი ერის კულტურის აღორძინებაში იშვიათად თუ რომელიმე მოღვაწეს შეუსრულებია ისეთი დიდი და მრავალმხრივი როლი, როგორც ეს საქვეყნოდ სახელმოხვეჭილ მეცნიერს, ქართული ფილოლოგიის მამასა და შესანიშნავ საზოგადო მოღვაწეს, აკადემიკოს კორნელი კეკელიძეს.

მას წილად ხვდა ბედნიერება ყოფილიყო მეცნიერების ახალი დარგის — ქართული ლიტერატურის ისტორიის დამფუძნებელი; იგი ქართველ მეცნიერთა მცირე გუნდთან ერთად არის ჩვენი ხალხის მეცნიერული აზრის შტაბის — ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელთაგანი. მრავალ უდიდეს გამოკვლევათა ავტორი-მეცნიერი იყო საგანგებო მასწავლებელი და აღმზრდელი. მან შექმნა ლიტერატურის ისტორიის მკვლევართა დიდებული სკოლა, რომელიც სათავეში უდგას ქართულ ფილოლოგიას და, თავის მხრივ, ახალახალ, ნიჭიერ მეცნიერებს უზრდის სამშობლოს.

კორნელი კეკელიძის მიერ განვლილი ცხოვრების ხანგრძლივი გზა მეცნიერების, ხალხის, თავისი ქვეყნის სამსახურის შესანიშნავი მაგალითია. თავისი სიცოცხლის ოთხმოცდასამი წლიდან მან თითქმის შვიდი ათეული წელიწადი მეცნიერებას შესწირა. ჭაბუკობიდანვე ქართული ლიტერატურის შესწავლამ გაიტაცა, თავისი ცხოვრების მთავარ საგნად თითქმის სრულიად გაუტეხავი ყამირი — ჩვენი ერის ლიტერატურის ისტორიის კურსის შექმნა გაიხადა.

თავისი ერის სულიერი კულტურის სიყვარულითაა გამსჭვალული კ. კეკელიძის სიტყვები: „ქართულ ლიტერატურას, მეტი თუ არა, თექვსმეტსაუკუნოვანი ისტორია მაინც აქვს — ლიტერატურული ძეგლები ჩვენ უკვე მეხუთე საუკუნიდან მოგვეპოვება — ამ მხრივ ჩვენი ლიტერატურა მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ლიტერატურაა. დიდია და განუზომელი ამ ლიტერატურის მნიშვნელობა: მასში აღბეჭდილია ქართველი ერის კულტურულ-ისტორიული ცხოვრების პერიპეტიები; მის ძეგლებში, ორიგინალურსა და ნათარგმნში, გამოვლინებულია უდაო ნიშნები ქართველთა შემოქმედებითი პოტენციალისა“.

ჯერ კიდევ თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლისას კ. კეკელიძის სერიოზული ჩანაფიქრებისათვის ყურადღება მიუქცევია სემინარიის მასწავლებელს, ცნობილ ისტორიკოსს თედო ჟორდანიას. მან თავის მოწაფეს საქართველოს ისტორიისა და ძველი მწერლობის სიყვარული კიდევ უფრო გაუღვივა. ჭაბუკის სურვილი — გამგზავრებულიყო პეტერბურგს და იქ უკვე სახელმოხვეჭილ ქართველ მეცნიერებთან ალ. ცაგარელთან და ნ. მართან ესწავლა, განუხორციელებელი დარჩა ხელმოკლეობის გამო. სემინარიამ კი, ბრწყინვალე ნიჭით და ცოდნით ყმაწვილი კიევის სასულიერო აკადემიაში გაგზავნა სახელმწიფო ხარჯით. თეოლოგიის პარალელურად, აკადემიაში ფართოდ ისწავლებოდა ისტორიულ-ფილოლოგიური საგნები და კორნელიც გატაცებით დაეწაფა ამ დარგებს. კ. კეკელიძის შემდგომი მუშაობა განუსაზღვრავს ნიკო მარის შრომას, რომელიც ეხებოდა მისი და ივ. ჯავახიშვილის მიერ სინას მთაზე და იერუსალიმში მიკვლეულ ქართულ მასალებს. ამიერიდან კ. კეკელიძისათვის ნათლად გამოიკვეთა მომავლის მუშაობის გეგმა: იგი მთელის არსებით მიეცა ძველი ქართული ლიტერატურის კვლევაძიების დიდად საპატიო, ძნელ საქმეს და სიკვდილამდე ახალგაზრდულის გატაცებით ემსახურებოდა მას.

აკადემიის დამთავრების შემდეგ კ. კეკელიძე მოსკოვსა და პეტერბურგში ეცნობოდა ქართულ ხელნაწერთა ფონდებს. შემდეგ საქართველოში: ქუთაისის ქალთა საეპარქიო სკოლა, თბილისის სასულიერო სემინარია, ძირითადად კი ფილოლოგიური კვლევა-ძიებანი...

კ. კეკელიძე თავისი მეცნიერული მუშაობით, რიგი ბრწყინვალე გამოკვლევებით, (მათ შორის გელათის ხელნაწერთა კოლექციაში ნაპოვნი ძეგლი, მე-II საუკუნის ბერძენი ლიტერატურის იოანე ქსიფილინოსის ქმნილების ქართული თარგმანი. საინტერესოა, რომ ამ ძეგლის შესახებ ბიზანტიელებმა საერთოდ არაფერი იცოდნენ), ქართული ლიტერატურის ადრინდელი ძეგლების — „შუშანიკის წამების“, „აბო ტფილელის“, „სერაპიონ ზარზმელის“ რუსული თარგმანებით და სხვა, ხელს უწყობდა მეცნიერთა იმ ჯგუფის მუშაობას, რომელთაც საფუძვლები მოუმზადეს საქართველოში უნივერსიტეტის დაარსებას. კ. კეკელიძე ერთი იმ ცხრათაგანია, რომლებმაც ი. ჯავახიშვილის მეთაურობით, კერძო ინიციატივით 1918 წელს თბილისში უნივერსიტეტი გახსნეს. პირველ რექტორად გამოჩენილი მეცნიერი, ქიმიის სახელმოხვეჭილი პროფესორი პ. მელიქიშვილი დაინიშნა, სიბრძნის-მეტყველების ფაკულტეტს სათავეში ი. ჯავახიშვილი ჩაუდგა, ხოლო კ. კეკელიძემ იტვირთა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის ხელმძღვანელობა, რომელსაც სიკვდილამდე განაგებდა. დროდადრო იგი სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტს დეკანობდა, იყო უნივესიტეტის პრორექტორი.

ფასდაუდებელია კ. კეკელიძის მუშაობა ძველი ქართული მწერლობის ძეგლების მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემის დარგში.

მან დაადგინა ამ ძეგლთა მნიშვნელობა, მიუჩინა მათ თავისი ადგილი საერთო განვითარების ისტორიაში. სასულიერო მწერლობის უბადლო მცოდნე, საერთო ლიტერატურის ბრწყინვალე სპეციალისტი და გამომცემელიც იყო. ამ მხრივ დიდია მისი ღვაწლი „შვიდი მთიების“, „შატბერდის“, „ვისრამიანის“, „კალმასობისა“ და სხვათა მეცნიერული გამოცემების საქმეში. 1928 წელს მის მიერ გამოქვეყნებულმა შენიშვნამ გელათის კოლექციაში დაცული პორფირი ღაზელის ცხოვრების ამსახველი ხელნაწერის შესახებ, ბელგიელ ორიენტალისტს პეეტერსს აღუძრა სურვილი შეესწავლა ეს ძეგლი და გამოეცა იგი, რაც ამერიკელი პროფესორის —ბლეიკის დახმარებით შეასრულა კიდეც. ქართულ ტექსტს დაერთო ლათინური თარგმანი და კომენტარები ფრანგულ ენაზე. ასევე აღსანიშნავია ი. ჯავახიშვილის მიერ სინას მთაზე გადმოწერილი კალენდარის კეკელიძისეული გამოცემა, რომელიც საფუძვლად დაედო ბელგიელი პროფესორის გარითის გამოცემას. ასეთი მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანდა. კორნელი კეკელიძე იყო ბრწყინვალე რუსთველოლოგი. მან თავისი გამოკვლევების მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა ამ გენიალურ პოემას და მის ავტორს. იგი იყო ვეფხისტყაოსნის აკადემიური გამოცემის ერთ-ერთი რედაქტორი და ტექსტების დამდგენი.

მაგრამ კ. კეკელიძის ფასდაუდებელი სამსახური მეცნიერების წინაშე მაინც, უმთავრესად, არის ის უზარმაზარი ნაშრომი, რომელიც „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ სახელითაა ცნობილი და აგერ, ორმოცი წლის მანძილზე უკვე ოთხჯერ გამოიცა. ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსის შექმნაზე და მის აუცილებლობაზე ბევრი დიდი მეცნიერი ოცნებობდა. აკადემიკოს ნ. მარს ეკუთვნის ძველი ქართული ლიტერატურის, უმთავრესად საერთო მწერლობის ისტორიის ჯერ გამოუქვეყნებელი კურსი, რომელსაც იგი მრავალი წლის მანძილზე ავსებდა და ასწორებდა. მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ალ. ხახანაშვილის „ნარკვევებმა“, მაგრამ იგი, რასაკვირველია, არაა ჩვენი ლიტერატურის ისტორიის სრული და სისტემატური კურსი. ალ. ცაგარელი თავის დროზე ოცნებობდა „მთლიანი, მწყობრი“ კურსის შესახებ, რომელიც დაიწერებოდა ხანგრძლივი მუშაობის, ძეგლების სრული, ყოველმხრივი შესწავლისა და სისტემატიზაციის კვალობაზე.

ეს გრანდიოზული შრომას გასწია კ. კეკელიძემ, რომელმაც წელთა მანძილზე თავისი დაკვირვებებით, მასალის ღრმა შესწავლითა და განზოგადოების დიდი უნარის მოშველიებით, ჩამოაყალიბა, და 1923-24 წლებში გამოსცა „ქართული ლიტერატურის ისტორია“ ორ ტომად. ამ ბუმბერაზულ ნაშრომში განხილულია მთელი ჩვენი ლიტერატურა მეხუთედან — მეთვრამეტე საუკუნემდე.

ოთხმოც წელს გადაცილებული მხცოვანი მეცნიერი სწერდა: „ჩვენი მიზანია ფარდა ავხადოთ, რამდენადაც შესაძლებელია, ქართველების ძველ წერილობით კულტურას, ვუჩვენოთ ე. წ. „დიდ“ ერებს კაპიტალისტური სამყაროდან, რომელნიც კულტურტრეგერების პრეტენზიებით გამოდიოდნენ და ახლაც გამოდიან, რომ შემოქმედებითი უნარი კულტურულ-ლიტერატურულ დარგში არასოდეს არ შეადგენდა მათს მონოპოლიასა და პრივილეგიას, რომ ასეთ პატარა ხალხს, როგორიც იყო ქართველობა, არამც თუ მთლიანად აუთვისებია მოწინავე კულტურის მონაპოვარი, თავისი საკუთარი წვლილიც შეუტანია მსოფლიო კულტურისა და ლიტერატურის საგანძურში“.

ქართული ლიტერატურის დიდებული გზა და, აგრეთვე, მისი სისტემატური კურსი, რომელიც ეკუთვნის აკადემიკოს კ. კეკელიძეს, ნამდვილად დიდი შენაძენია მსოფლიო კულტურისა.

გამოჩენილი ბელგიელი პროფესორი პ. პიეტერსი სამართლიანად სწერს კ. კეკელიძის ნაშრომის შესახებ: „ათასორას გვერდიანი ქართული ლიტერატურის ისტორია არის დასაბუთება საქართველოს ინტელექტუალურ ღირსებათა და იმის უფლებისა, რომ იცხოვროს თავისი საკუთარი ცხოვრებით. ღირსებანი ბრწყინვალეა და უფლება უცილობელი“.

კ. კეკელიძე დიდ მეცნიერულ მოღვაწეობას შესანიშნავად უთანხმებდა დიდი პედაგოგის კეთილშობილ საქმეს. იგი იყო გულთბილი აღმზრდელი და მეგობარი ყველასი, ვინც მეცნიერების წმიდათაწმიდა საქმეს, ხალხის სამსახურს მოახმარდა თავის ძალასა და ენერგიას.

88 წელს მიღწეული კ. კეკელიძე გარდაიცვალა მიმდინარე წლის 8 ივნისს.

თბილისის უნივერსიტეტის ეზოში შესული მგზავრი ქუდმოხდილი, მოწიწებით ჩაუვლის ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი დიდი მეცნიერის, საზოგადო მოღვაწისა და დიდი მოქალაქის აკადემიკოს კორნელი კეკელიძის საფლავს, რომელიც მშვიდად განისვენებს თავის მეგობართა და თანამებრძოლთა — პეტრე მელიქიშვილისა და ივანე ჯავახიშვილის გვერდით. სამივეს თავს დაჰქათქათებთ შენობა ქართული უნივერსიტეტისა, რომლის დაარსებას, დავაჟკაცებასა და სახელმოხვეჭილობას მათ მთელი სიცოცხლე შესწირეს.

# სახალხო თეატრი —



## ხალხის გულისთქმა

ოთარ ეგაძე

ხელოვნებას ხალხი წარმოშობს და იგი ხალხსავე ემსახურება.

თეატრი კი მით უფრო დასაბამიდან ხალხს უმადლის, მაგრამ არც ვალში რჩება მას: აღანთებს, აშაღლებს, ატკბობს, წარმართავს.

ეს ევალებოდა ხელოვნებას ყოველთვის და ყველგან ასეა ახლაც, ჩვენშიაც. ქართული თეატრალური ხელოვნება გადაიქცა დიდ სულიერ ძალად, რომელიც თავს ადგას ადამიანების მიზანს, მისწრაფებას, ბრძოლას, შრომას, ალამაზებს და აზრიანს ხდის ცხოვრებას.

დიდია ქართული კლასიკური თეატრის ღვაწლი. და აკი დაფასდა კიდეც ჩვენი თეატრის ნოვატორების — კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის როლი, — ქართული ოპერის ფუძემდებლების — ზაქარია ფალიაშვილისა და მელიტონ ბალანჩივაძის ღვაწლი ქვაკუთხედად იქცა მშობლიური თეატრალური ხელოვნების აღმართზე. საქართველო მოიფინა დიდი და პატარა თეატრებით. რუსთაველის, მარჯანიშვილის, მესხიშვილის და ერისთავის სახელობის თეატრების, ბათუმისა და სოხუმის, ჭიათურისა და თელავის, მახარაძისა და ზუგდიდის, ცხინვალის, საოპერო და მუსკომედიის, მოზარდ მაყურებელთა და თოჯინების თეატრალური კოლექტივების გვერდით შეიქმნა სხვა — სახალხო თეატრები. ისინი ყველა ერთად ჩვენი ხალხის სულიერი და მატერიალური აღორძინების სადღეისო და სახვალიო საქმეს ემსახურებიან.

ორი წელი გავიდა სახალხო თეატრების შექმნიდან და უკვე ჩვენს მიწა-წყალზე ოცდათორმეტი სახალხო თეატრი აღმოცენდა. ცოტა შემოქმედი როდი ამოუდგა მხარში ხალხის წიაღიდან წამოსულ ამ თაოსნობას. ცხრაას სამოცდაორი მსახიობი მიიღეს სახალხო თეატრებმა. ესენი არიან კოლმეურნენი, მუშები, მოსამსახურეები, ექიმები, ინჟინრები, აგრონომები, ეკონომისტები, პედაგოგები. ორი სეზონის განმავლობაში სახალხო თეატრის ენთუზიასტებმა უჩვენეს ოცდაცხრამეტი ახალი დადგმა, აღადგინეს თოთხმეტი ძველი სპექტაკლი, გამართეს ოთხას თერთმეტი წარმოდგენა. ოთხმოცი ათასზე მეტმა მაყურებელმა ინახულა სახალხო თეატრის სპექტაკლები.

დღეს მადლიერების გრძნობით იხსენიებენ ისეთ სახალხო თეატრებს, რომელთაც სიხარული შეაქვთ სოფლებში. იქ ხომ ადამიანები ხელებდაკარწახებული შრომობენ, ქმნიან დოვლათს, ზრდიან სოფლის ბარაქას.

ბევრი მოწინავე სახალხო თეატრის ჩამოთვლა შეიძლება, ბევრის მოღვაწეობა უკვე მაღალ პროფესიულობას უტოლდება, მაგრამ ისინი მაინც არ სცილდებიან მინდვრებს, ქარხნებს, დაწესებულებებს.

ერთ-ერთი პირველი სახალხო თეატრი ამბროლაურში შეიქმნა რეჟისორ გიგა ჯაფარიძის თაოსნობით. ნიჭიერ მსახიობთა ენთუზიაზმით აქ წარმატებით დაიდგა რამდენიმე სპექტაკლი. ამბროლაურელებმა ორ სეზონში უჩვენეს გ. ჯაფარიძის — „უდღეური მზაკვრობა“, გ. ფიგეირედის — „მელია და ყურძენი“, აკ. დევიძის — „მეუღლენი“, ქ. ხაფავას — „მზექალა“, მიხ. ჯაფარიძის — „ქამთაბერის ასული“, მ. როზოვის — „ხალისიანი მეგობრები“, ვ. დარასელის — „კიკვიძე“, ა. პარნისის — „აფროდიტეს კუნძული“, მ. მრევლიშვილის — „ბარათაშვილი,“ ლ. სანიკიძის „ქუთათურები“, ლ. კარასევის „შუქურა“.

მაყურებელი კმაყოფილია იმით, რომ ჩვეულებრივი თეატრალური დასი ფართო საზოგადოებრიობის მიერ აღიარებულ სახალხო თეატრად იქცა.

სახალხო თეატრები კარგი რეჟისორული ძალებით შეივსო. მათ შორის აღსანიშნავია: იგივე გიგა ჯაფარიძე, ამჟამად ონის სახალხო თეატრის რეჟისორი, გიორგი ხმალაძე — (ბორჯომის სახალხო თეატრი), ვალ. წულაძე— (ლანჩხუთი), თეიმურაზ კობახიძე — (ქუთაისი), სოსო მებურიშვილი — (გურჯაანი), გაიოზ ქართველიშვილი — (თბილისის რკინიგზელთა სახალხო თეატრი), თენგიზ ნასარიძე — (ხაშური), კარლო კალანდაძე — (ცხაკაია), გრიგოლ მდივანი — (ცაგერი), ლეონიდე ტურძილაძე — (ამბროლაური), ვიქტორ მურღულია — (სამტრედიის სახალხო თეატრი), გრიგოლ ლაღიძე — (ტყიბულის სახალხო თეატრი). ამ უკანასკნელმა წარმატებით დადგა სამი ახალი სპექტაკლი. შემოქმედებითად მუშაობს ბოლნისის სახალხო თეატრში რეჟისორი ილია ქაჯაია. ცოტა დამსახურება როდი მიუძღვოდა ცაგერის სახალხო თეატრში თინათინ ლოლაძეს.

სახალხო თეატრებში წარმოებისაგან მოუწყვეტლად მოღვაწეობენ თეატრალური ხელოვნებით გატაცებული ადამიანები, რომლებიც მაღალ პროფესიულ დონეს ავლენენ. მათ რიცხვს ეკუთვნის ფეხსაცმელის მკერავი, სამტრედიის რკინიგზის კლუბის სახალხო თეატრის მსახიობი არქიფო სიგუა. ამბროლაურის სახალხო თეატრის მსახიობები ჯ. გოგოლაშვილი, ი. გეწაძე. ონის თეატრიდან გ. ჯაფარიძე და სხვა.

ხშირია შემთხვევა, როცა სახალხო თეატრებში შემოქმედებითი ანგარიშით გამოდიან რესპუბლიკის ცნობილი მსახიობები. ვ. კანდელაკის „მაია წყნეთელში“ მეფე ერეკლეს როლი შეასრულა ქართული სცენის გამოჩენილმა ოსტატმა ვასო გოძიაშვილმა, დ. გოთუას „მეფე ერეკლეში“ ანა ბატონიშვილი განასახიერა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა დოდო ჭიჭინაძემ.

ასეთი პრაქტიკა უფრო ფართოდ უნდა დაინერგოს სახალხო თეატრების მუშაობაში.

სახალხო თეატრების წარმატების ერთ-ერთი საწინდარია თეატრალური მხატვარი. ამჟამად ბევრი ნიჭიერი დეკორატორი მუშაობს პერიფერიაში. მათი შემოქმედება ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის განხილული და შეფასებული თეატრალური კრიტიკის, ადგილობრივი და რესპუბლიკური პრესის მიერ. სერიოზულ შემოქმედებით მუშაობას ეწევიან მხატვრები: ავთანდილ გოგლაძე (ახალციხე), ელგუჯა არჩვაძე (ამბროლაური), ოთარ ხუციშვილი (ბორჯომი), ტარიელ ოთარაშვილი (დუშეთი), მიხეილ უტიაშვილი (გურჯაანი), გურამ ნინიძე (ჩოხატაური), დიმიტრი ბარქაია (ცხაკაია), იოსებ ტყემალაძე (ცაგერი).



სახალხო თეატრების მუშაობა საზოგადოების ყურადღების ცენტრშია. მაყურებელი კმაყოფილია. კმაყოფილნი არიან თვით შემოქმედნიც. ამოცანა ახლა ის არის, რომ კიდევ უფრო ავამაღლოთ სახალხო თეატრების პროფესიული კულტურა, დავხვეწოთ მაყურებლის გემოვნება, თეატრალური ხელოვნება ვაქციოთ მასობრივ, ხალხისათვის ყოველმხრივ მისაწვდომ სულიერ საზრდოდ, მის ესთეტიკურ საზრდოდ.



## ტყიბულის თეატრში

ერთი წელია, რაც ტყიბულში სახალხო თეატრი დაარსდა. ამ პერიოდში თეატრმა უკვე მოასწრო და დადგა ფ. შილერის — „ვერაგობა და სიყვარული“, დ. თაქთაქიშვილის სამმოქმედებიანი კომედია — „ჭკვიანი ცოლი“, გ. ლალიძის — „ბაბუები და შვილიშვილები“. სცენისმოყვარეები შემოქმედებითად იზრდებიან და პროფესიონალურად ოსტატდებიან.

თეატრალური კოლექტივის მსახიობები ტყიბულის მკვიდრები არიან. სამთო ტექნიკოსები ა. ცხადაშვლი და ე. ჭლიკაძე, საბინაო სამმართველოს მუშები: ც. ქარქაშაძე, ც. მარგველაშვილი და ლ. ქასრაშვილი სახალხო თეატრის შექმნამდე, შახტის კლუბთან არსებულ თვითმოქმედ მხატვრულ კოლექტივებში მონაწილეობდნენ. როცა ტყიბულში კულტურის სასახლის კარები გაიღო, ისინი სახალხო თეატრის პროფესიონალი მსახიობები გახდნენ. თეატრალურ კოლექტივს სათავეში უდგას საქართველოს სსრ დამსახურებული მოღვაწე გრ. ლალიძე, რომელმაც განახორციელა სამივე სპექტაკლის დადგმა.

სპექტაკლებში მაყურებელთა საერთო მოწონებას იმსახურებენ ა. ცხადაშვილი, ე. ჭლიკაძე, ნ. ქათამაძე, ც. ქარქაშაძე, ც. ქურციკიძე, რ. ჟორჟოლიანი, ი. მომცელიძე, ც. მარგველაშვილი, ზ. ჯორჯაძე და სხვები.

გ. გეწაძე.

4



# გულის წინამძღვარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათი წლის წინათ, ზაფხულის ერთ საღამოს თბილისში, მედიცინის მუშაკთა სახლში დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. გამოჩენილ თერაპევტს, აკადემიკოს მიხეილ დოროთეს ძე წინამძღვრიშვილს იმ დღეს სამოცდაათი წელი შეუსრულდა და ღვაწლმოსილ მეცნიერს იუბილეს უხდიდა ქართველი საზოგადოება. ხალხმრავალ დარბაზში მიხეილ დოროთეს ძის მეგობრების, კოლეგებისა და მოწაფეების გარდა ისხდნენ მკვდრეთით აღმდგარი ადამიანები, რომლებსაც ამ მადლიანი კაცის მეშვეობით ჯანმრთელობა და სიცოცხლე დაუბრუნდათ. ისინი უცქერდნენ სავარძელს რომელშიც პროფესორი იჯდა და ვერ წარმოედგინათ, რომ ავადმყოფობა შესაძლოა ამ კაცსაც მოერიოს, კაცს, რომელსაც სიკვდილისაგან უხსნია ათასობით ადამიანი.

არავის უფიქრია მაშინ, რომ ათი წლის შემდეგ, როცა ამ დარბაზში კვლავ თავს მოიყრიდა ხალხი, იუბილარისათვის განკუთვნილი სავარძელი ცარიელი იქნებოდა. მართლაც, ძნელი იყო დაგვეჯერებია დაძაბუნება ამ დაუღალავი გონების, გამრჯე მარჯვენის, დაუშრეტელი ენერგიის და დიდი ენთუზიაზმისა, რომლითაც ასე გამოირჩეოდა მიხეილ დოროთეს ძე წინამძღვრიშვილი.

დიდია აკადემიკოს მიხეილ წინამძღვრიშვილის ღვაწლი სამშობლოსა და ხალხის წინაშე. ხალხმა მას სიცოცხლეშივე გულის დიდი მესაიდუმლე შეარქვა. იოსებ გრიშაშვილმა ეს კიდევ უფრო კარგად გამოხატა ლექსში, როცა მკურნალს გულის წინამძღვარი უწოდა.

მიხეილ წინამძღვრიშვილს გულის დიდ მესაიდუმლეს ეძახდნენ იმ უჩვეულო ინტუიციის გამო, რომელიც მას ავადმყოფის მიმართ გააჩნდა. გარდა დღეისათვის ცნობილი საექიმო ხერხებისა, იგი რაღაც საკუთარი, წინამძღვრიშვილისეული ალღოთი ღრმად წვდებოდა დაავადების საიდუმლოს. უბადლო კლინიცისტი-ინტერნისტი, დიდი ერუდიციისა და გამოცდილების მქონე პროფესორი ავადმყოფთა შემოვლის დროს არჩევდა რა თვითეულ შემთხვევას, ყურადღებას ამახვილებდა ავადმყოფის მიმართ მასში დაავადების მიმდინარეობის თავისებურებაზე. მის მახვილ სმენას ძნელად თუ გამოეპარებოდა რამე. მიხეილ დოროთეს ძის მიერ დასმული ე. წ. „მუნჯი მანკის" კლინიკური დიაგნოზები სამაგალითო საექიმო დიაგნოზის რიცხვს მიეკუთვნება. მისი შემოვლები ნამდვილი სკოლა იყო მომავალი ექიმების, ახალგაზრდა სპეციალისტებისა და გამოცდილი კლინიცისტებისათვისაც.

ვიდრე დიდი მეცნიერისა და კლინიცისტის სახელს მოიხვეჭდა, მ. წინამძღვრიშვილმა ცხოვრების რთული და საინტერესო გზა განვლო „პროტესტანტული" ბუნების გამო. თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის პერიოდში, იგი დასაჯეს და სემინარიის დამთავრებისას პირველი ხარისხის დიპლომი არ მისცეს. ამით მისთვის დაიკეტა უმაღლესი სასწავლებლის კარები. ახალგაზრდა მ. წინამძღვრიშვილმა ნაფლეთებად ქცეული მეორე ხარისხის დიპლომი რექტორს კონვერტით გაუგზავნა და სიმწიფის ატესტატის მისაღებად გამოცდები ხარკოვის გიმნაზიაში ჩააბარა.

მიხეილმა სამედიცინო განათლება და საექიმო ნათლობა ხარკოვში მიიღო. იქვე ჩააბარა სადოქტორო გამოცდები და პროფესორ გიორგიევსკის კლინიკაში დაწერა თავისი პირველი სამედიცინო ნაშრომები. ერთი მათგანი გათვალისწინებული იყო როგორც სადოქტორო დისერტაცია. სამშობლოს მოწყურებული ახალგაზრდა მეცნიერი საქართველოში დაბრუნდა. აქ დაიწყო ჯერ პრაქტიკული მუშაობა, ხოლო თბილისის უნივერსიტეტთან სამედიცინო ფაკულტეტის ჩამოყალიბების შემდეგ პედაგოგიური მოღვაწეობა.

1921 წელი ღირსშესანიშნავი თარიღია მის ცხოვრებაში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ქართულ ენაზე მიხეილ წინამძღვრიშვილმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. ეს იყო პირველი სამედიცინო [illegible] სადოქტორო დისერტაციის დაცვა ქართულ ენაზე.

ოცდაათიან წლებში მიხეილი მივლინებული იქნა საზღვარგარეთ — გერმანიასა და საფრანგეთში, სადაც მუშაობდა წამყვან თერაპიულ კლინიკებში ისეთ გამოჩენილ კლინიცისტებთან, როგორიც იყვნენ ვენკენბახი და ვაკეზი.

1932 წელს მ. წინამძღვრიშვილი სამშობლოში დაბრუნდა და ამ წლიდან მოყოლებული სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ავადმყოფებზე ზრუნვასა და სამედიცინო კადრების აღზრდაზე ფიქრი არ მოშორებია.

სადაც არ უნდა გენახათ მიხეილ წინამძღვრიშვილი, ავადმყოფის საწოლთან თუ კათედრაზე, სტუდენტებთან, კოლეგებს შორის თუ ყრილობებზე, იგი მუდამ დიდ შთაბეჭდილებას ტოვებდა აუდიტორიაზე, როგორც ექიმი, პედაგოგი და მეცნიერი. ყველას ხიბლავდა მისი კლინიკური ანალიზით და სინთეზით მდიდარი ლექციები. მისი ნათელი აზრები მსმენელთათვის მუდამ გასაგები და სიახლით იყო ძოცული. მიხეილ დოროთეს ძის საჯარო გამოსვლებსა ან მეცნიერულ დისკუსიებზე აუდიტორია ხალხს ვერ იტევდა.

მიხეილ წინამძღვრიშვილი ქართული თერაპიული სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელია, კარდიოლოგიური პროფილის კლინიცისტია. მას შინაგან მედიცინაში ყველაზე უფრო გულთან დაკავშირებული საკითხები აინტერესებს, მისი ძირითადი სურვილები და ფიქრები საქართველოში კარდიოლოგიის განვითარებას შეეხებოდა.

დიდი სიყვარულით მოეკიდა იგი მეტად მნიშვნელოვან და კეთილშობილურ საქმეს: მისი ინიციატივითა და თაოსნობით საქართველოს დედაქალაქ თბილისში გაიხსნა საბჭოთა კავშირში პირველი და ერთადერთი „კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის ინსტიტუტი". მისი მოღვაწეობა კარდიოლოგიის ინსტიტუტში ახალი შემოქმედებითი მიღწევებით აღინიშნა. ამ პერიოდში მუშაობს ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორიცაა ჰიპერტონიული დაავადება, ათეროსკლეროზი და გულის კუნთის დაავადებები.

მისი ხელმძღვანელობით შესრულებულია ასობით სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაგან რამდენიმე ათეული მედიცინის მეცნიერებათა დოქტორისა და კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მისანიჭებლადაა წარდგენილი და დაცული.

დაბადებიდან ოთხმოცი წლის თავზე მიხეილ დოროთეს ძე წინამძღვრიშვილს მადლობის გრძნობით იხსენებს სამედიცინო საზოგადოება, მთელი ქართველი ხალხი, რომელთა სამსახურს შეალია მან მთელი თავისი ცხოვრება.

დოც. გ. ბახტაძე.

# სიმინდის სიმდიდრე

ამერიკის კონტინენტის აღმოჩენის დროს კოლუმბი და მისი თანამგზავრები გააკვირვა ერთმა მცენარემ, რომლისაგანაც ადგილობრივი მცხოვრებლები გემრიელ საჭმელებსა და სასმელებს ამზადებდნენ. ეს იყო სიმინდი. ხორბალსა და ბრინჯთან ერთად სიმინდი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მარცვლოვანი კულტურაა.

ამერიკის კონტინენტიდან სიმინდი ევროპასა და სხვა კონტინენტზე ვრცელდება XVI საუკუნიდან. გერმანიაში, იტალიასა და ინგლისში მას უწოდებდნენ „თურქულ მარცვალს", თურქეთში და სომხეთში „ეგვიპტურ მარცვალს", ეგვიპტეში „სირიულ მარცვალს", ირანში — „მექურ ხორბალს", საფრანგეთში „მაისს" და ა. შ.

მაისის კულტურას ფეხი მოუდგამს ამერიკის მთელ კონტინენტზე. ინკებს (პურეულებს) თურმე სიმინდის ნათესებში თევზის ნარჩენებისაგან დამზადებული სასუქი შეჰქონდათ. ძაღლები რამდენიმე დღით დაბმული ჰყავდათ, რომ მათ არ შეეჭამათ ყანაში გატანილი თევზი. შემორჩა ინკების ანდაზაც უთევზოდ სიმინდი არ არსებობსო.

ზოგიერთი მეცნიერი დღეს ეჭვქვეშ აყენებს სიმინდის ამერიკული წარმოშობის საკითხს. თვით ამერიკელი მეცნიერების გ. უოლესისა და ე. ბრასმანის აზრით სიმინდი აზიური წარმოშობის უნდა იყოს. ფრანგული ენციკლოპედია „ლარუსი" ამტკიცებს, რომ სიმინდი ამერიკის აღმოჩენამდე გავრცელებული იყო ინდოეთსა და აფრიკაში.

ზოგიერთი მეცნიერ-ლინგვისტის აზრით სიმინდი აფრიკაში ამერიკის აღმოჩენამდე 500-900 წლით ადრე მოჰყავდათ. შემდეგში, დღეისათვის უცნობი პირობების გამო, გადაშენებულა. სიმინდის არსებობას ძველ აფრიკასა და აზიაში ადასტურებს არქეოლოგიური ნამარხებიც.

მარცვლეულ კულტურებს შორის ბრინჯის შემდეგ სიმინდს ხორბალთან ერთად მოსავლიანობით პირველი ადგილი უჭირავს. მიახლოებითი გამოანგარიშებით მსოფლიოში სიმინდის საშუალო წლიური მოსავალი აღწევდა 140-145 მილიონ ტონას, ხორბლისა 130-135 მილიონ ტონას, ბრინჯისა 130-135 მილიონ ტონას. მარტო სიმინდის წლიური მოსავალი ჭარბობს სამი დანარჩენი გავრცელებული მარცვლეული კულტურების — ქვავის, ქერისა და შვრიის მოსავალს (120-125 მილიონი ტონა). სხვა მარცვლეულისაგან განსხვავებით სიმინდს ფრიად ფართო გამოყენება აქვს. 1908 წელს პარიზის გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სიმინდის 108 სამრეწველო ნაწარმი. დღეისათვის კი სიმინდისაგან იმდენი რამ მზადდება, მათ ჩამოსათვლელად მთელი წიგნის დაწერა იქნებოდა საჭირო. მაგალითად, სიმინდისაგან ამზადებენ: სასუქს, პლასტმასას, აცეტონის საშენ და საიზოლაციო მასალას, ლაქსაღებავებს, ფეთქებად ნივთიერებებს, საწამლავს პარაზიტების წინააღმდეგ, პატეფონის ფირფიტებს, მინას, ხელოვნურ აბრეშუმს, ქაღალდს, წებოს, ლინოლიუმს, ქალის ფეხსაცმლის ქუსლებს. მას ფართო გამოყენება აქვს მედიცინაშიც. სიმინდის თაფლისაგან დამზადებული პრეპარატით მკურნალობენ ჰიპერტონიას. მოსკოვის კვების მრეწველობის ტექნოლოგიის ინსტიტუტის დოცენტმა ვ. ლუბუშკინმა სიმინდში აღმოაჩინა ახალი ნივთიერება, რომელსაც „F" ვიტამინი ეწოდა. „თურმე სიმინდის ზეთი შეიცავს 85 პროცენტამდე „F" ვიტამინს. ეს ვიტამინი ადამიანს 20-25 წლით აახალგაზრდავებს. ამიტომაც, მას სხვაგვარად „სიჭაბუკის ვიტამინს" უწოდებენ.

სიმინდის შესახებ მართლაც სამართლიანად ამბობენ, მისგან შეიძლება დამზადდეს ყველაფერი, რაც გნებავთ.

გ. ზარიძე.

# საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

ივნისის შუა რიცხვებში გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი „საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანებზე კადრების შერჩევის განაწილებისა და აღზრდის დარგში.“ პლენუმზე მოხსენებით გამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მჟავანაძე.

ამხ. მჟავანაძემ ვრცლად ილაპარაკა იმ გრანდიოზულ ცვლილებებზე, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ განიცადა უკანასკნელ წლებში. შვიდწლედის სამ წელიწადში მრეწველობის საერთო პროდუქცია საბჭოთა კავშირში 33 პროცენტით გადიდდა გეგმით გათვალისწინებული 27 პროცენტის ნაცვლად. ამ ხნის განმავლობაში სახალხო მეურნეობას მოხმარდა 77 მილიარდ მანეთზე მეტი — ერთიორად და უფრო მეტი, ვიდრე ომამდელი 22 წლის მანძილზე. 1953-დან 61 წლამდე მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის საერთო პროდუქცია 1,6-ჯერ გადიდდა. მიღწეული წარმატებების მიუხედავად პარტიამ ა/წ მარტის პლენუმზე მთელი პირდაპირობით განაცხადა, რომ მარცვლეულის, ხორცის, რძისა და მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების დონე ჯერ კიდევ არ შეესაბამება სოფლის მეურნეობის უდიდეს შესაძლებლობებს და მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს.

მომხსენებელი ფართოდ შეჩერდა ჩვენი რესპუბლიკის დიდ მიღწევებზე სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. გასული წლის გეგმა საერთო პროდუქციის გამოშვებაში შესრულდა 102,5 პროცენტით. გადაჭარბებითაა შესრულებული მიმდინარე წლის 5 თვის გეგმა.

ამხ. მჟავანაძე ლაპარაკობს წარმოების ორგანიზატორთა კადრების შესახებ. რესპუბლიკაში უმაღლესი და საშუალო განათლების სამას ათასზე მეტი სპეციალისტი მუშაობს.

კადრები პარტიული და სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის გადამწყვეტი ძალაა. ჩვენი დიადი მშენებლობის გზაზე სულ უფრო იზრდება კადრების და მათ წინაშე მდგომი ამოცანების მნიშვნელობა.

თუ არ იქნება ორგანიზატორული მუშაობა, ყველაზე კარგი გადაწყვეტილებაც კი, შეიძლება, მხოლოდ კეთილ სურვილებად დარჩეს.

სკკპ ოცდამეორე ყრილობამ აღნიშნა, რომ კადრებთან მუშაობაში მთავარია ზუსტად ვიცავდეთ კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის ლენინურ პრინციპს.

ამხ. მჟავანაძე ლაპარაკობს სამრეწველო საწარმოთა ბევრ გამოცდილ ხელმძღვანელზე, რომლებიც კვალიფიციურად უძღვებიან მეურნეობას, მთელ თავიანთ ძალღონეს, ცოდნასა და ენერგიას ახმარენ რესპუბლიკის ინდუსტრიის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის განვითარების საქმეს.

შემდეგ ამხ. მჟავანაძეს მოჰყავს ფაქტები, როცა სხვადასხვა სამინისტრო და უწყება ცუდად იყენებს სპეციალისტებს.

სრულიად შეუწყნარებელია, — ამბობს მომხსენებელი, — რომ ხელმძღვანელ თანამდებობაზე და მატერიალურად პასუხსაგებ სამუშაოზე სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ორგანიზაციებში კვლავ იპარებიან ისეთი პირები, რომლებმაც სახელი გაიტეხეს და ვაჭრობასთან საერთო არა აქვთ რა...

კატეგორიულად უნდა აიკრძალოს მატერიალურად პასუხსაგებ, მომარაგება-გასაღების და სარევიზიო სამუშაოზე ისეთი ადამიანების მიღება, რომლებიც ნასამართლევი ან სამუშაოდან დათხოვნილი არიან მექრთამეობისათვის, დატაცებისა და სხვა ანგარებითი დანაშაულისათვის, ისეთი ადამიანების მიღება, რომლებმაც სახელი გაიტეხეს და ნდობის ღირსნი არ არიან.

ყველაზე უნდობელი ბრძოლა უნდა გავაჩაღოთ მექრთამეობის წინააღმდეგ.

საჭიროა ყველგან ვცდილობდეთ ისეთი მდგომარეობის მიღწევას, — ამბობს ამხ. მჟავანაძე, — რომ მოქალაქეთა კანონიერი მოთხოვნები დაუჭიანურებლად კმაყოფილდებოდეს. თაღლითებსა და ვიგინდარებს, მექრთამეებსა და საქმოსნებს შეიძლება ყველა გზა და ხვრელი მთლიანად დავუხშოთ მხოლოდ იმ პირობით, თუ უთუოდ დავიცავთ კანონებს, წესრიგს, თუ უაღრესად ფართოდ ჩავაბამთ საზოგადოებრიობას სავაჭრო, საფინანსო, საყოფაცხოვრებო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობისადმი კონტროლში.

უნდა გაძლიერდეს მორალური პასუხისმგებლობა და მომთხოვნელობა პარტიის ყველა წევრის, ყველა კომკავშირელის მიმართ. საჭიროა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ თვითეული საბჭოთა ადამიანი აქტიურად იბრძოდეს მომხვეჭელთა წინააღმდეგ.

პარტიული ორგანიზაციები, ამბობს ამხ. მჟავანაძე, —უნდა ცდილობდნენ მიაღწიონ იმას, რომ ხელმძღვანელობის ყოველ უბანზე დააწინაურონ ადამიანები, რომლებმაც პრაქტიკულ მუშაობაში გამოავლინეს თავიანთი პოლიტიკური და საქმიანი თვისებები, გამოიჩინეს მასების დარაზმვის საქმისადმი შემოქმედებითად მიდგომის უნარი, შემდგომი ზრდის პერსპექტივის მქონე ადამიანები.

ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ იდეური სიწმინდისათვის, არ დავუშვათ, რომ ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე, რადიოთი და ტელევიზიით, აუდიტორიების ტრიბუნებიდან წარმოებდეს მანკიერი, უბადრუკი იდეების ქადაგება, რომლებიც ზიანს აყენებენ მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეს.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციები ყველა ღონისძიებას განახორციელებენ და ახალ შესანიშნავ წარმატებებს მიაღწევენ სკკპ ოცდამეორე ყრილობის ისტორიულ წინასწარდასახულობათა შესრულებაში, თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

ამხ. მჟავანაძის ვრცელ, ღრმა შინაარსიანი მოხსენების ირგვლივ გამართულ აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა, წარმოებისა და სოფლის მეურნეობის, კულტურის მუშაკებმა.



# პირველი მეტალურგი ქალი

გაზაფხულის ნათელი დილა იდგა. ფოთის საშუალო სკოლის ეზოში სწრაფი ნაბიჯით შემოვიდა ბრგე აღნაგობის მამაკაცი.

ეს შავგვრემანი, ენერგიული სახის ახალგაზრდა კაცი გიორგი ნიკოლაძე იყო, რომელიც ფოთში სპორტულ შეჯიბრებათა ჩასატარებლად ჩამოვიდა.

გამოჩენილ ინჟინერ-მეტალურგთან, მათემატიკოსთან და სპორტსმენთან — პროფესორ გიორგი ნიკოლაძესთან სიახლოვემ, მასთან გულთბილმა საუბარმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ახალგაზრდებზე. მეათე კლასის მოსწავლემ ლიზა ნადირაძემ სწორედ იმ დღეებში გადაწყვიტა, რომ მეტალურგი გამხდარიყო და მთელი ცოდნა სამშობლოს სამსახურისათვის მოეხმარებინა.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ლიზამ სისრულეში მოიყვანა თავისი გადაწყვეტილება: თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მოეწყო და ჩვეული გულმოდგინებით შეუდგა მეტალურგის რთული პროფესიის დაუფლებას.

წარჩინებული სტუდენტი ლიზა ნადირაძე მალე უკრაინაში — იუზოვკის მეტალურგიულ ქარხანაში მიავლინეს. აქ მას საწარმოო პრაქტიკა უნდა გაევლო.

ქართველი ქალიშვილის მეხსიერებაში მუდამ წარუშლელ მოგონებად დარჩება უკრაინელ მეგობრებთან გატარებული დღეები. იუზოვსკის მეტალურგიულ ქარხანაში მიიღო მან პირველი წრთობა, ეზიარა შრომის მადლსა და გამარჯვების სიხარულს.

უკრაინაში ყოფნისას ლიზას თბილისიდან მოუვიდა სიხარულის მაცნედ მოფრენილი ბარათი, რომელშიც გიორგი ნიკოლაძე გულთბილ მოკითხვას უთვლიდა თავის მოწაფეს, შემდგომ წარმატებებს უსურვებდა შრომაში და სხვადასხვა კონკრეტულ რჩევა-დარიგებებს აძლევდა.

— „მომწერეთ რამდენი ბრძმედი მუშაობს, — წერდა გიორგი ნიკოლაძე ქალიშვილს. — უსათუოდ წადით „ბრძმედის“ სამყაროს „საორთქლქვაბეებში“ და ნახეთ იქ „აირსაყვანის“ კლაკნილი, რომელიც უშველებელ ობობას გავს. ეს „აირსაყვანი“ ჩემი კონსტრუქციის არის, ჩემი დახაზული და გამოანგარიშებულია. ამ კლაკნილის ნახაზიც რომ იშოვოთ და ჩამომიტანოთ, ძალიან მადლობელი ვიქნები. აგრეთვე ეცადეთ, № 1 ბრძმედის ნახაზები იშოვოთ“...

რამდენიმე წლის შემდეგ, როცა თბილისის გარეუბანში — დიდუბეში ფერომარგანეცის პირველი საცდელი ქარხანა ააგეს, სხვა ხელმძღვანელ სპეციალისტებთან ერთად ლიზა ნადირაძეც გააგზავნეს ამ საწარმოში სამუშაოდ.

პირველი ქართველი მეტალურგი ქალი ძალასა და ენერგიას არ ზოგავდა, რათა პირნათლად შეესრულებინა დაკისრებული ამოცანა და თავისი საპატიო წვლილი შეეტანა საერთო გამარჯვებაში.

დიდუბის ფერომარგანეცის ქარხნის სრული დატვირთვით ამუშავების შემდეგ, ლიზა ნადირაძე თავის კოლეგებთან ერთად დასავლეთ საქართველოში — ზესტაფონში მიეშურება. ზესტაფონში მაშინ საფუძველი ეყრებოდა ფერომარგანეცის მძლავრი ქარხნის დაბადებას.

საქართველოს მეტალურგიის ისტორიაში 1933 წლის ოქტომბერს ახალი ბრწყინვალე ფურცელი ჩაიწერა: ზესტაფონის ქარხანამ გამოუშვა თავისი პირველი პროდუქცია — ქართული მაღალხარისხოვანი ფეროშენადნობი.

ამ დიდ სიხარულს სხვებთან ერთად ალალი გულით იზიარებდა ლიზა ნადირაძეც. მან ცოტა წვლილი როდი შეიტანა ქართველ მეტალურგთა ამ მორიგ გამარჯვებაში.

საქმის მცოდნე და გამოცდილი მეტალურგი ქალი მომდევნო წლებში ავჭალის ცენტროლიტის ქარხანაში ეწევა ნაყოფიერ მუშაობას, შემდეგ კი საქართველოს მეტალურგიის გულში — რუსთავში გადაჰყავთ სამუშაოდ...

სწრაფად გაირბინა შემოქმედებითი შრომითა და ძიებით აღსავსე წლებმა. უკვე კარგა ხანია, რაც ჭაღარამ იელვა თმაში, მაგრამ გული და ენერგია ისევ ახალგაზრდული შემორჩა ლიზას. 30 წელია ლითონის სამყაროში ტრიალებს იგი, უმწიკვლოდ ემსახურება თავის საყვარელ საქმეს. წინ ისევ დიდი და ნათელი გზაა გასავლელი, ისევ ახალი მიღწევები და გამარჯვებები უხმობს ლიზას.

ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ლიზა ნადირაძე ამჟამად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ერთ-ერთ ლაბორატორიაში მუშაობს.

მისი ფიქრი და ენერგია ახლა იქითკენ არის მიმართული, რომ შექმნას და წარმოებაში დანერგოს დახურული ტიპის სადნობი ღუმელი, რომელიც 2 ათას გრადუსიან ცეცხლთან ტრიალსა და მომქანცველ შრომას ააცილებს მეტალურგებს.

მეტალურგის პროფესია — მეტად მძიმე, რთული და პასუხსაგები პროფესიაა, — ღიმილით ამბობს ლიზა ნადირაძე, — მაგრამ ხელმეორედ რომ შეიძლებოდეს ახალგაზრდობის განმეორება, უყოყმანოდ კვლავ მეტალურგი გავხდებოდი და მთელ ჩემს ცოდნას სამშობლოს სამსახურს მოვახმარდი.

მ. თომაძე.



5

# პორფირი

**გურამ ხარაიძე** მოთხრობა

მხატვარი ქ. მახარაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვიმას აპირებდა. ღრუბელი იდგა ცაზე. უხალისოდ მიჰყვებოდა გზას პორფირე. ცალ ფეხს მიათრევდა და ნელ-ნელა მიდიოდა დიდი შენობისაკენ. ასევე ნელა ავიდა კიბეზე; ოთახში შევიდა. ახლომხედველივით მოწკურა თვალები. მხარაწეული დიდხანს იქექებოდა პიჯაკის ჯიბეში. ეძებდა რაღაცას.

—გამარჯობათ, პორფირიჩ! — შესძახა რვა ბიჭმა.

პორფირემ კიდევ უფრო მოწკურა თვალები, ნაძალადევად გაიღიმა.

—რა არის ახალი ქვეყანაზე, რით გაგვახარებთ?

—ისეთი არაფერი, მოვიტანე ინფორმაცია...

— გუშინდელი თუ შარშანწინდელი? აბა, აბა მოგვეცი, თორემ მეოთხე დღეა გაზეთი არ გამოდის...

ბიჭები იცინიან და, პორფირეს მოეჩვენა, ოთახში კი არა, მშიერი ლომების გალიაში შეაგდეს.

—დაბრძანდით, პორფირიჩ! — ვიღაცამ სკამი მიართვა.

— გმადლობთ, მე აქვე, თქვენ თქვენთვის იმუშავეთ..

ოთახში რვა მაგიდაა. ბიჭები მაგიდას უსხედან. მეცხრე პორფირეა. ფანჯრის რაფასთან მოწყობილა.

რვა ბიჭი რაღაცას წერს. წერს მეცხრეც. შემდეგ ერთმა მაგიდაზე დადო კალმისტარი, მხრები გაშალა, დაიღალეო და პორფირეს გასძახა:

— პორფირიჩ, ვითომ მართალია, ჩვენ ლიფტიორს ავტოინსპექტორმა მართვის უფლება წაართვაო?

პორფირე უარის ნიშნად თავს იქნევს, არაფერი იცის ამის შესახებ. პირველად ესმის.

ოთახში მხიარული სიცილია.

— პორფირიჩ, პამფლეტებს თუ წერდით ოდესმე, ანდა იგავ-არაკებს? — სიცილი ძლიერდება. ბიჭებმა კალმისტრები გვერდზე გადადეს.

— პორფირიჩ...

— პორფირიჩ...

— პორფირიჩ...—ყოველი მხრიდან, ყოველი კუთხიდან ეძახიან ბიჭები პორფირეს.

პორფირე უმწეოდ იხედება, ხან აქეთ, ხან იქეთ. ტუჩი უცახცახებს, თვალებს ახამხამებს. ცდილობს გაიღიმოს და ვერ ახერხებს. ერთი, მათი ტოლი ჰქნა ახლა, მკლავი ერჩოდეს, ყბებს დაუმტვრევდა ამ უდღეურებს, მაგრამ.....

...ზის რვა ბიჭი. წერენ. იჯერეს გული სიცილით და წერენ. ივსება საგაზეთო ფურცლები. ერთმა კვლავ გადასდო კალმისტარი, პორფირეს ეძახის. მერე მეორეც ეძახის პორფირეს. მესამე. ბიჭები იცინიან. ყველა იცინის პორფირეს გარდა. პორფირე დამნაშავესავით ხუჭავს თვალებს. ცდილობს თვითონაც გაიცინოს. ასეა ყოველდღე.

მხოლოდ ერთხელ მოეჩვენა პორფირეს, რომ ბიჭებმა თავი დაანებეს.

— პორფირიჩ! არ მოგწყინდათ პაწაწინა ინფორმაციების წერა?

პორფირე გრძნობდა, ამას ოდესმე ეტყოდნენ ბიჭები.

— შეეცადეთ ნარკვევი დაწეროთ, პორფირიჩ, თქვენ უდავოდ ნიჭიერი კაცი ხართ, ჩვენც დაგეხმარებით. არა, ბიჭებო?

რვა ბიჭი თვალს ერთმანეთს უკრავს. მეცხრე ვერ ამჩნევს და მადლობის გრძნობა აღრჩობს. იღიმება.

მხოლოდ ერთხელ მოეჩვენა პორფირეს, რომ ბიჭებმა თავი დაანებეს.

* * *

მოულოდნელად გაქრა მოხუცი. ერთი თვე არ გამოჩენილა. ცარიელია ადგილი ფანჯრის რაფასთან.

ბიჭებმა იციან, პორფირე ახლა სახლში ზის, ნარკვევს აცხობს.

გაქრა პორფირე და ოთახში ესა აქვთ სალაპარაკო ბიჭებს: — მოვა, ნახავ, მოიტანს ნარკვევს.

ქუჩაში სახლები ისევ ებჯინებიან საწვიმრად გავსებულ ცას.

პორფირე გამოჩნდა. კვლავ გვერდულად შემოვიდა ოთახში და ფანჯრის რაფას მიაშურა.

— პორფირიჩ! პორფირიჩ! სად დაიკარგეთ, აბა, ერთი დაგვენახვე!

პორფირე აქეთ-იქით იყურება. ცდილობს გაიღიმოს და, არა და არა, არ გამოსდის ნაძალადევი ღიმილი.

— პორფირიჩ, როგორ არის თქვენი ნარკვევის საქმე?

მოხუცს სახეზე სანთლისფერი დაჰკრავს, აკანკალებული ხელი შუბლისაკენ მიაქვს. სათვალეს ისწორებს. ქვედა ტუჩი უთრთის. წელში ილუნება. ახლა საყელოსაკენ მიაქვს ხელი.

— აბა, პორფირიჩ, რას უპირებთ ნარკვევს?—ესმის ხმა პორფირეს. კედელს ეკვრება.

— ჯობს ისევ ინფორმაციებს დავწერ... ვცადე... არ გამომდის.

— იქნებ ფელეტონების წერა უფრო შესძლოთ?

პორფირე ცდილობს გაიღიმოს, მაგრამ არა და არა, არ გამოსდის ნაძალადევი ღიმილი.

* * *

ოთახი ასეთ სიწყნარეს მიუჩვეველი იყო. ბიჭებს თაროდან გადმოეღოთ გაზეთის ძველისძველი, მტვრიანი კომპლექტები და შიგ იქექებოდნენ. ერთი მეორეს მიჰყვებოდა, იფურცლებოდა გაცრეცილი ქაღალდები.

— ჩელუსკინის დაღუპვა.

— პაპანინელები.

— კოლხეთში ჭაობების ამოშრობა.

— ალიოშა ჯაფარიძე მწვერვალს მწვერვალზე იპყრობს. ყველა ამ წერილის ავტორები იყვნენ ისინი — ვინც ათეული წლების წინათ ამ ოთხ კედელში შრომობდნენ.

— ბიჭებო, პორფირიჩი!—დაარღვია სიჩუმე ერთმა და ყველამ კარისაკენ გაიხედა. იქ არავინ იყო.

— არა, ბიჭებო, აქ მოდით. აგერ, პორფირიჩის ნარკვევი.

— პორფირიჩი? ნარკვევი?!

— ბიჭებო, დედას გეფიცებით, მოდით აქ,—თქვა ახლა მეორემ.

ბიჭები ერთად წამოიშალნენ.

— ხედავთ, ნარკვევი,—„მივდივარ ომში“.

ეს იყო და ეს. ამის შემდეგ მას არაფერი დაუწერია. რედაქციის კარი ხუთი წლით დაიკეტა. ბიჭები ერთმანეთს შეაცქერდნენ: რაღაც უხილავმა ძალამ შეაკრთო ისინი: იყო ომი. დაუნდობელი, მშიერი. ის ნთქავდა ადამიანებს. ომმა ჩვენს მიღმა, ბავშვებს მიღმა, ახლოს გადაიარა. პორფირიჩი კი ომში იყო. მტერს უტევდა. ეცემოდა. დგებოდა. გარბოდა. ცდილობდა კლანჭებში არ ჩავარდნოდა ომს. არც ჩაუვარდა. ომმა მხოლოდ გაჰკაწრა ის და ნახეთ რა უყო? ოდესღაც ამ ოთახში ისხდნენ სხვა ადამიანები. პორფირეც აქ იყო. ამ რაფასთან იდგა მისი მაგიდა. მაგიდასთან იჯდა პორფირე და წერდა. წერდა ნარკვევებს, ფელეტონებს, მოთხრობებს. ეს ყველაფერი ჟურნალისტური ოსტატობის ნიმუში იყო. პორფირეზე ამბობდნენ, რომ იგი დროთა განმავლობაში ძალიან ბევრს მიაღწევსო.

ეს ყველაფერი ომამდე იყო, დიდხანს დაიკეტა ამ ოთახის კარი პორფირესათვის. ერთ ნაღვლიან, ნაცრისფერ, წვიმიან დღეს კი, ამ ოთახს მოაკითხა ვიღაც სახედანაოჭებულმა, გათეთრებულმა მოხუცმა—დაკბილული ნაიარევით შუბლზე. ერთხელ მოვიდა და მოჰყვა ყოველდღე სიარულს: მწერალი ვარო, დაგიწერთ რამეს: ინფორმაციას, ნარკვევს, ოღონდაც დამავალეთო, ითხოვდა მოხუცი. ამის მეტი თავის თავზე არასოდეს არაფერი წამოსცდენია.

რა ხანია პორფირე აღარ გამოჩენილა!

* * *

გარეთ წვიმას აპირებდა. იდგა ღრუბელი ცაზე. პორფირე უხალისოდ მიჰყვებოდა ქუჩას. ცალ ფეხს მიათრევდა. ნელნელა ავიდა დიდი შენობის კიბეებზე. როგორც ყოველთვის, ოთახში გვერდულად შევიდა. დადგა. ახლომხედველივით მოწკურა თვალები, დიდხანს იქექებოდა პიჯაკის ჯიბეში.

ყველაფერი ძველებურად დახვდა პორფირეს. უჩვეულო მხოლოდ ერთი რამ იყო: ბიჭები ყიჟინით არ შეეგებნენ. თითქო რაღაც გადაუდებელ საქმეს აკეთებენო: ცხვირები ჩაერგოთ ქაღალდებში.

პორფირე ფანჯრის რაფისკენ დაიძრა. სიჩუმემ შეაწუხა მოხუცი.

—ჰა, რას მიპირებთ? რაიმე ახალ ფინტს მიმზადებთ ხომ? ხმა ამოიღეთ,—ემუდარებოდა თვალებით პორფირიჩი ბიჭებს.

რვა ბიჭი დუმდა. პორფირიჩი რაფასთან შედგა და აქ ადგილი ველარ იპოვა სკამის დასადგმელი. პორფირიჩმა რვა ბიჭს ერთდროულად გადახედა. ოთახი მოათვალიერა: რაფასთან პატარა მაგიდა იდგა. ზედ ლურჯი მაუდი ეფარა. იდგა სამელნე. იდო კალმისტარი. საწერი ქაღალდები ეყარა და ახალი გაზეთი, ზედ საღებავის სუნი რომ არ შეშრობოდა ჯერაც.

— ჰა რას მიპირებთ, რად დუმხართ ბიჭებო? ვისია მეცხრე მაგიდა? თქვით ვინ წამართვა ფანჯრის რაფასთან სკამი?—თქვა პორფირიჩმა.

რვა ბიჭი დუმდა. ვერავის გაებედა ეთქვა: შენია, პორფირიჩ, მაგიდა, გვაპატიე...



ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ








# ალპინისტები [illegible]




ფოტო
ზ. თიკანაძისა





ეროვნული ბიბლიოთეკა



იალალებზე

ფოტო ბ. დადვაძისა

# კვლავ ბესიკის დიპლომატიური მოღვაწეობის გამო

პროფ. ა. იოსელიანი

ბესიკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მეტად მცირე მასალები მოგვეპოვება. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ყოველი ახალი ცნობა მისი ცხოვრების შესახებ, გარკვეულ ინტერესს იწვევს.

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოს ძველი საბუთების არქივში აღმოჩნდა ბესარიონ ზაქარიას ძე გაბაშვილის წერილები, რომლებიც შუქს ჰფენენ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მეტად საყურადღებო პერიოდს. ეს წერილები წარმოადგენს ავტოგრაფებს, მათი ქრონოლოგიური ჩარჩო 1788 — 1789 წლებით იფარგლება.

ახლად მიკვლეული საარქივო დოკუმენტების საფუძველზე საშუალება გვეძლევა გავეცნოთ ბესიკის ცხოვრებისა და სახელმწიფოებრივ - დიპლომატიური მოღვაწეობის უკანასკნელ პერიოდს, რომელიც რუსეთ-ოსმალეთის მეორე ომს (1787-1791 წლები) დაემთხვა.

ეს ომი თურქებმა ატეხეს. მათ მოითხოვეს რუსეთის კონსულის გაწვევა ქ. იასიდან, ბუქარესტიდან და ალექსანდრიიდან; თურქები ასევე კატეგორიულად მოითხოვდნენ რუსეთის მხედრობის გაწვევას საქართველოდან და საქართველოს თურქეთის ვასალად აღიარებას.

ასეთ დაძაბულ ისტორიულ ვითარებაში წარგზავნეს ბესიკი დასავლეთ საქართველოდან რუსეთში. ბესიკის იმდროინდელი მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტები ამასთან ერთად გარკვეულ წარმოდგენასაც გვაძლევს პოეტის პოლიტიკურ მრწამსზე. ირკვევა, რომ ბესიკის პოლიტიკური მოღვაწეობა სწორ ისტორიულ პერსპექტივებს ემყარებოდა, რომ ბესიკი ქართველი ხალხის უკეთეს მომავალს, მისი კულტურული და ეკონომიური დაწინაურების საფუძვლებს რუსეთ-საქართველოს მეგობრობაში ხედავდა.

რუსეთ-ოსმალეთის მეორე ომის დროს, ისევე როგორც პირველი ომის პერიოდში (1768 —1774 წლები), საქართველო კვლავ რუსეთის ერთგულ მოკავშირედ გამოვიდა. მეორე ომის დროს აღმოსავლეთ საქართველო უკვე რუსეთის მფარველობის ქვეშ იყო.

დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები გაერთიანებული ძალებით უპირისპირდებოდნენ ოსმალთა გააფთრებულ შემოტევებს და თავგანწირვით იცავდნენ სამშობლოს დამოუკიდებლობას. ამ უაღრესად გართულებულ მდგომარეობაში იმერეთის სამეფოდან რუსეთში წარგზავნილ იქნა საგანგებო მისია ბესიკის მეთაურობით.

1787 წლის 28 მაისით დათარიღებულ საბუთში იმერეთის მეფე დავითი პოტიომკინს სწერდა: „ეგ ჩვენის გონების უეჭველად მისანდობელი ყმა, ჩვენი უპირველესი მდივანი და მწიგნობართ უხუცესი კნიაზი ბესარიონ ზაქარიას ძე გაბაონელისძე გვიახლებია თქვენის უმაღლესობის წინაშე, ყოველის ჩვენის სიტყვით და საქმის სისრულით და რომელიც ჩვენი საქმე, სიტყვა და აზრი გამოგეცხადოსთ, ეგ დაირწმუნეთ, ვითარცა პირით ჩემით და გულით თქვენს აღმატებულებას მე მოვახსენებდე“.

ბესიკის ახლად მიკვლეული ავტოგრაფებით და სხვა საბუთებით ბევრი რამ საყურადღებო ირკვევა: ახლებურად წარმოგვიდგება ბესიკის რუსეთში გამგზავრების პერიოდში იმერეთის სამეფოს პოლიტიკური სურათი, ამ დოკუმენტებს აგრეთვე გარკვეული მნიშვნელობა აქვს ქართული მწერლობისა და ისტორიოგრაფიისათვის, კერძოდ, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკვლევი პერიოდის ისტორიისათვის.

დაზუსტდა ბევრი რამ ბესიკის ბიოგრაფიაშიც. მაგალითად, დღემდე არსებობდა მოსაზრება, რომ საქართველოდან რუსეთში წარგზავნილი ბესიკი, ჯერ თითქოს პეტერბურგს მივიდა და იქიდან ქ. კრემენჩუგს გაემგზავრა.

იმის დასადგენად, პირველად რუსეთის რომელ ქალაქში ჩავიდა ბესიკი, ზუსტ ცნობას გვაწვდის თვით ბესიკის მიერ ბურნაშოვისადმი გაგზავნილი წერილი. ბესიკი სწერს —ცხრა თვეა რაც მე კრემენჩუგს ვიმყოფებიო. ეს წერილი თარიღდება 1788 წლის 2 ივნისით. მაშასადამე, 1787 წლის მაისში საქართველოდან რუსეთში წასული ბესიკი კრემენჩუგს უნდა ყოფილიყო განწესებული და დაბინავებული.

ქ. კრემენჩუგში, პოტიომკინის ბანაკში, არა მარტო დასავლეთ საქართველოს სამეფოს ელჩობა მივიდა, არამედ მირიან ბატონიშვილის მეთაურობით აქვე ჩავიდა ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩობაც, რომელშიც შედიოდნენ: სულხან თუმანიშვილი, მიტროპოლიტი იონა, არქიმანდრიტი გაიოზი და სხვ.

1788 წლის 17 სექტემბერს ბესიკი მირიან ბატონიშვილთან იმყოფება.

ცნობილია, რომ დიდმა ქართველმა პოეტმა დავით გურამიშვილმა, რომელმაც 46 წელი უკრაინაში გაატარა, სწორედ ამ დროს გაიგო კრემენჩუგში ქართველთა მისიის ჩამოსვლა. იგი თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან, მირგოროდიდან, კრემენჩუგს ჩავიდა, თან ჩაიტანა თავისი უკვდავი „დავითიანი“ და მირიან ბატონიშვილს გადასცა საქართველოში წამოსაღებად.

ვინაიდან ბესიკი დიდხანს იმყოფებოდა კრემენჩუგში მირიან ბატონიშვილთან ერთად, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ახალგაზრდა ბესიკი პირადად გაეცნო უკრაინაში დასახლებულ მხცოვან მგოსანს.

ბესიკის წერილიდან ვიგებთ, რომ იგი კრემენჩუგიდან კიშინიოვში გადასულა. კიშინიოვში დაწერილი წერილი დათარიღებულია 1789 წლის 14 ოქტომბრით. 1789 წელს აფხაზ-იმერთა კათალიკოსი და ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე მაქსიმე ბესიკს ბარათს უგზავნის, რომელშიაც აცნობებს მოსალოდნელ ზავზე. მაქსიმე აფრთხილებს ბესიკს, რომ რუსეთ-ოსმალეთის საზავო მოლაპარაკების დროს „შერიგებაში რომ ჩვენი კაცი არ დაესწროს, ჩვენთვის ავია... უშენობა კი არ იქნებაო“.

1790 წლის დეკემბერში რუსეთის არმიამ სუვოროვის სარდლობით იზმაილი აიღო. ამის შემდეგ დაიწყო წინასწარი საზავო მოლაპარაკება. მოწინააღმდეგე მხარეებს საბოლოო შეთანხმებისათვის ჯერ კიდევ არ მიეღწიათ, როცა ადმირალმა უშაკოვმა გაანადგურა თურქეთის ფლოტი და ბოსფორამდე მიაღწია. ამ ამბებმა დიდად დააჩქარა ომის დამთავრება. 1791 წლის 29 დეკემბერს, რუსეთისათვის ხელსაყრელ ვითარებაში, ქალაქ იასში ხელი მოაწერეს თურქეთთან საზავო ხელშეკრულებას.

ბესიკი ამ დროს უკვე ცოცხალი აღარ იყო. იგი გარდაიცვალა 1791 წლის დასაწყისში, 24 იანვარს, როგორც გვაუწყებს ბესიკის საფლავის ქვის წარწერა.

გარკვევით ჩანს, რომ ბესიკი იასაში ჩავიდა იმერეთის მეფის დავალებით რუსეთ-ოსმალეთის წინასწარ საზავო მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებად. შესაძლოა დადასტურდეს ისიც, რომ იზმაილის აღების შემდეგ, ქ. იასაში გამართულ წინასაზავო მოლაპარაკებაში ბესიკიც მონაწილეობდა.

ცნობილია, რომ ქ. იასის საზავო ხელშეკრულების საფუძველზე თურქეთს აეკრძალა საქართველოს საქმეებში ჩარევა და მასზე ყაჩაღური თავდასხმები. ამგვარი გადაწყვეტილების მიღებაში ბესიკს გარკვეული როლი უნდა შეესრულებინა.

ამრიგად, ბესიკი იყო არა მარტო დიდი პოეტი, არამედ განსაცდელში ჩავარდნილი სამშობლოს ხსნისათვის თავდადებული მებრძოლიც.

ვფიქრობთ, ასევე საინტერესოა ალ. ცაგარელის მიერ გამოქვეყნებული ბესიკის მიერ თითქოს 1791 წლის 3 დეკემბერს შედგენილი სათხოვარი მუხლები პოტიომკინისადმი, რომლიდანაც ვიგებთ, რომ ბესიკი პოტიომკინს თხოვდა:

1. ტრაქტატის დადებას იმერეთის სამეფოსთან და
2. იმავე უფლებების მინიჭებას იმერეთის მეფისადმი, რაც მეფე ერეკლეს ჰქონდა.
3. ახალციხეში რუსეთის საკონსულოს დაწესებას.
4. ბათუმის, ფოთის, გურიისა და ოდიშის ნავსადგურებში რუსეთის ვაჭრობის გავლენის გაძლიერებას, ბათუმში საკონსულოს დაარსებას და ტყვეთა ვაჭრობის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებას.
5. აფხაზეთზე თურქეთის გავლენის მოსპობას.
6. იმერეთის სამეფოს ისტორიული საზღვრების აღდგენისათვის ბრძოლაში თურქეთის წინააღმდეგ რუსეთის დახმარებას და სხვ.

ბესიკის დიპლომატიურ — პოლიტიკური მოღვაწეობა, მისი ცხოვრების უკანასკნელი პერიოდი, ამ იდეის განხორციელებისათვის ბრძოლას შეეწირა.



# ქართული თეატრის სახელოვანი მოღვაწე

ქართული საბჭოთა თეატრის პირველი ორმოცწლეულის მეისტორიე სიყვარულითა და პატივისცემით ხშირად მოიხსენიებს სცენის ამაგდარ მოღვაწეს, რეჟისორსა და თეატრალური ხელოვნების ნიჭიერ ორგანიზატორს დოდო ანთაძეს, რომლის დაბადების 60 და საზოგადოებრივ-შემოქმედებით მოღვაწეობის 40 წლისთავი ზეიმით აღინიშნა ამ ცოტა ხნის წინათ. მისი სახელი დაკავშირებულია საქართველოს თითქმის ყველა მოწინავე თეატრთან. მას წილად ხვდა ბედნიერება საქვეყნოდ ცნობილ რეჟისორ კოტე მარჯანიშვილთან და მის მოწაფეთა მცირე გუნდთან ერთად ყოფილიყო საქართველოში საბჭოთა თეატრის ჩამოყალიბების მონაწილე.

დოდო ანთაძე ერთი თავკაცთაგანი იყო კოტე მარჯანიშვილის მიერ დაარსებული ქუთაისის თეატრისა, რომელიც თბილისში გადმოსვლის შემდეგ კოტე მარჯანიშვილის სახელითაა ქვეყნად ცნობილი. დოდო ანთაძესთან მჭიდროდაა დაკავშირებული ქუთაისის თეატრის კვლავ აღდგენა და მისი წარმატებანი წლების მანძილზე. გრიბოედოვისა და რუსთაველის სახელობის თეატრების კოლექტივები სიყვარულით ახსენებენ მას, როგორც ამ თეატრების რეჟისორსა და ხელმძღვანელს.

თითქმის ყველა თეატრალური მოღვაწე სცენისმოყვარეობით იწყებს თავის შემოქმედებით ბიოგრაფიას. დოდო ანთაძეც ერთი მათგანია, რომელიც ჯერ კიდევ 1915 წელს პირველად ეზიარა სცენას და მცირე როლის განსახიერებით სამუდამო ფიცით შეეკრა თეატრს, — სიკვდილამდე მისი ერთგული მსახური ყოფილიყო. თეატრთან განუყრელობის ფიცი ერთად დასდო სამმა თანატოლმა ამხანაგმა — უშანგი ჩხეიძემ, შალვა ღამბაშიძემ და დოდო ანთაძემ. კლასიკურ გიმნაზიაში გულმოდგინე სწავლას გადარჩენილ დროს ყმაწვილები ქუთაისის სახელგანთქმული თეატრის კულისებში ატარებდნენ: სცენის კორიფეებს უსმენდნენ და, საჭიროების შემთხვევაში სპექტაკლებში შეუმჩნეველ მონაწილეობით კმაყოფილდებოდნენ.

შემდეგ თბილისი, უნივერსიტეტი, ჯაბადარის დრამატული სტუდია. აქაც განუყრელი მეგობრები უშანგი და დოდო ერთად არიან... მალე მათ შალვაც შემოუერთდება და ერთად გასწევენ თეატრის მძიმე ჰაპანს...

რაგინდ დიდი არ უნდა ყოფილიყო ახალგაზრდათა სწრაფვა და ინტერესი დიდი ქართული თეატრის შესაქმნელად, ამაოდ დაშრებოდა მათი ნდომა, თუ თეატრს სათავეში ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწე არ ჩაუდგებოდა... სწორედ მაშინ, როდესაც ქართული თეატრის ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგა, რუსეთიდან თბილისში, რუსულ თეატრში სპექტაკლის დასადგმელად ჩამოვიდა სახელგანთქმული რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი.

კოტე მარჯანიშვილს მხარში ამოუდგნენ საოცრად ნიჭიერი ახალგაზრდები, რომელთა უნარი ბრწყინვალედ გაიშალა დიდი ხელოვანის წინამძღოლობით.

დოდო ანთაძე ერთი ყველაზე ახლობელი იყო კოტესი, როგორც რეჟისორის თანაშემწე და ახალი საქმის ორგანიზატორთაგანი.

1925 წელს კოტე მარჯანიშვილმა თავის მოწაფეს დამოუკიდებელი სამუშაო მისცა. ეს იყო შემდგომ სახელოვანი დრამატურგის პოლიკარპე კაკაბაძის პიესა „ლისაბონის ტუსაღები“ (პიესა იმავე წლის ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნდა პირველად). დოდო ანთაძე ახლაც სიყვარულით უვლის პორტფელს, რომელიც მისმა მასწავლებელმა ასეთი წარწერით აჩუქა დებიუტანტს: „ჩემო დოდო! მჯერა ნიჭი გაქვს. მეტი დაკვირვება დი ფართო გზა გაგეშლება წინ, მიიღე ჩემი დალოცვა.

შენი კ. მარჯანიშვილი“.

1926 წელს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ალ. ახმეტელმა დოდო თავის მოადგილედ აირჩია. ამ პერიოდს ეკუთვნის მის მიერ დადგმული ფ. შილერის „ვილჰელმ ტელი“. სპექტაკლი კარგად მიიღო მაყურებელმა და პრესაც თბილად გამოეხმაურა მას.

კოტე მარჯანიშვილის თეატრიდან კინოში წასვლის შემდეგ დოდო ერთ ხანს თბილისის წითელ თეატრში რეჟისორობდა, ხოლო 1928 წელს, როცა კ. მარჯანიშვილმა თავის ერთგულ მოწაფეებს მოუხმო და ქუთაისში დრამატული თეატრის ჩამოყალიბება განიზრახა, დოდო ერთი პირველთაგანი გამოეხმაურა მასწავლებლის მოწოდებას და ამ დღიდან კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირა მას თავისი შემოქმედებითი ცხოვრება.

პირველსავე წელს თეატრმა ერთ საუკეთესო სპექტაკლად წარმოადგინა ე. ტოლერის „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“, რომელიც დოდო ანთაძემ მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით დადგა.

კოტე მარჯანიშვილი სწორედ ის ადამიანი იყო, რომელმაც დიდათ შეუწყო ხელი ეროვნული დრამატურგიის შექმნას. იგი საოცარი გულთბილობითა და სიყვარულით ეკიდებოდა ყოველგვარ ახალს, თუგინდ ის ჯერ კიდევ არ მდგარიყო პროფესიონალიზმის მაღალ საფეხურზე. მან მიიზიდა ნიჭიერ ქართველ მწერალთა მთელი გუნდი, დააინტერესა და ხელი შეუწყო მათ პიესების წერაში. ასე შეიქმნა მაშინ სულ ახალგაზრდის, პოეტ კარლო კალაძის პიესები „როგორ“, „ხატიჯე“, დემნა შენგელაიას „თეთრები“, ალექსანდრე ქუთათელის „შუაღამე გადაიარა“, პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“, შალვა დადიანის „კაკალ გულში“. ამ საპატიო საქმეში მარჯანიშვილს დიდ დახმარებას უწევდნენ ს. ჩიქოვანი, ბ. ჟღენტი. ქართველ მწერალთა მოწინავე ფრთას სავალდებულოდ მიაჩნდა წვლილი შეეტანა ეროვნული თეატრის აღორძინების საქმეში, რაშიც მათ თეატრის ხელმძღვანელის დიდი ენთუზიაზმი და პრაქტიკული დახმარებაც უწყობდა ხელს. (სამწუხაროა, რომ ასეთი ერთობლივი, მეგობრული თანაშემოქმედება დღეს ნაკლებად შეიმჩნევა).

მარჯანიშვილმა კალაძის „როგორის“ დადგმა დ. ანთაძეს მიანდო... მას აქეთ 33-34 წელი გავიდა და ამ სპექტაკლის მაყურებელს ახლაც თვალწინ უდგას საოცარი გონებამახვილობით დიდი მხატვრული ღირსებებით აღსავსე ეს სპექტაკლი და ერთგვარ სინანულს იწვევს ის გარემოება, რომ მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით დ. ანთაძის მიერ დადგმული ეს პიესა და სხვა მისთანანი, ახლა არ ამკობს ჩვენი თეატრის რეპერტუარს.

1930 წლიდან ქუთაისის თეატრის მთელი შემადგენლობა თბილისს გადმოსახლდა. აქაც მასწავლებელმა თავის უახლოეს თანაშემწედ კვლავ დოდო ანთაძე მოიწვია და მას რეჟისორულ მუშაობასთან ერთად თეატრის ადმინისტრაციული და სამეურნეო ორგანიზაცია დაევალა. კ. მარჯანიშვილი დიდათ აფასებდა დოდო ანთაძის ამ შრომას და ერთ-ერთ წერილში სწერდა: „დოდო! შენი პირველი რეპეტიცია მოსაწონად და კეთილად დაიწყო. მე ძალიან ვწუხვარ, რომ რეჟისორთა შორის შენ, როგორც უფროსს, მოგიხდა ადმინისტრაციული საქმისათვის ასე ბევრი დროს დაკარგვა. მე მჯერა შენი რეჟისორული ძალღონის და ამიტომ გისურვებ გამარჯვებას ამ გზაზე.

შენი კ. მარჯანიშვილი“.

სხვა ადგილას, იგი მიმართავდა დოდოს: „შენ საჭირო ხარ, როგორც რეჟისორი“.

თბილისში გადმოსვლისას თეატრმა სხვა ახალ სპექტაკლთა შორის წარმოადგინა გ. ბააზოვის პიესა „მუნჯები ალაპარაკდნენ“, რომელიც დ. ანთაძემ დადგა (მეტად საინტერესო იყო პ. ოცხელის გონებამახვილური დეკორაციები თავისი რთული კონსტრუქციით).

1933 წლის 17 აპრილს მოსკოვის ორ თეატრში გამალებული მუშაობის დროს უეცრად გარდაიცვალა კ. მარჯანიშვილი. საბჭოთა თეატრის ამ უდიდესი რეჟისორის დაკარგვა ცხარე ცრემლით დაიტირა თეატრალურმა მოსკოვმა, მისმა მრავალრიცხოვანმა მოწაფეებმა მთელს კავშირში. ბუნებრივია, ამ დღეების ჭირისუფალი მარჯანიშვილის სახელობის თეატრი იყო, რომელმაც თავისი მასწავლებლის ცხედრის წინაშე ფიცი დასდო—მტკიცედ ევლო წინ ისე, როგორც შეეფერებოდა დიდი კოტეს სახელს.

დოდო ანთაძე, როგორც დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, მთელის არსებით მიეცა რთულ და საპატიო მოვალეობის შესრულებას. ამ პერიოდში მის მიერ დადგმული „ნინოშვილის გურია“ და „იცკა რიჟინაშვილი“ ხელს უწყობდნენ მარჯანიშვილისეული ტრადიციების გაგრძელებას.

კ. მარჯანიშვილის და მისი მოწაფეების ქუთაისიდან წამოსვლის შემდეგ იქ, შეიძლება ითქვას, თეატრალური ცხოვრება ჩაკვდა. ერთ დროს სახელოვანი ქუთაისის თეატრის სცენაზე წარმოდგენილი სპექტაკლები უფრო სცენისმოყვარეთა ნახელავს გავდა, (გარდა შესანიშნავი რეჟისორის ვ. ყუშიტაშვილის მიერ შექმნილი რამდენიმე სპექტაკლისა).

1938 წლიდან ქუთაისის თეატრს სათავეში ჩაუდგა მარჯანიშვილის მოწაფე დ. ანთაძე, რომელმაც სამუშაოდ მოიწვია ძველი და ახალი თაობის ნიჭიერი წარმომადგენლები. 1952 წლამდე დ. ანთაძემ ქუთაისის თეატრში მრავალი დადგმა განახორციელა, აქ აღიზარდა ბევრი ნიჭიერი მსახიობი.

შემდეგ კვლავ თბილისი, გრიბოედოვის სახ. თეატრის დირექტორობა, მოსკოვში ჩატარებულ ქართული ხელოვნების დეკადაზე გახმაურებული დ. ანთაძის დადგმა „ხევის ბერი გოჩა“. კვლავ რუსთაველის თეატრის დირექტორობა; თეატრის ორგანიზაციაზე მომუშავე ხელოვანის სანაქებო დადგმები ვ. კანდელაკის „ქართლის ჩირაღდნები“, ლ. სანიკიძის „ქუთათურები“.

როცა დ. ანთაძის მოღვაწეობაზე ჩამოვარდება საუბარი, არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ იგი ქართული მოზარდ მაყურებელთა თეატრის ერთი დამაარსებელთაგანია. იგი მოიხსენიება საქართველოს თეატრალური საზოგადოების დამფუძნებელთა შორის; არის თბილისის საქალაქო საბჭოს რამდენიმე მოწვევის დეპუტატი; აქტიურად მონაწილეობს ჟურნალ-გაზეთებში როგორც რეცენზენტი და მემუარისტი.

მას ამშვენებს უმაღლესი ჯილდოები — ორდენები და მედლები, არის რესპუბლიკის სახალხო არტისტი.

დ. ანთაძე ჯანღონით სავსე ხელოვანი და ორგანიზატორია. ამიტომაც ვუსურვებთ მას კვლავაც ნაყოფიერად ემოღვაწეოს მშობლიური ხელოვნების საკეთილდღეოდ.



## მისტერ კამინგსი სიკვდილის მოვაჭრე

ეს ოცდათოთხმეტი წლის ახალგაზრდა კაცი წარმოშობით ამერიკელი გახლავთ, ხასიათით — საქმოსანი, პროფესიით — სიკვდილით მოვაჭრე. მისი სახელია სემ კამინგსი. ათი წლის წინათ მან 25 ათასი დოლარით შექმნა „იარაღით ვაჭრობის საერთაშორისო კორპორაცია", ანუ „ინტერარმკო". ამჟამად კამინგსი მოკალათებულია მონაკოში და წარმართავს კონცერნს, რომელსაც დღეისათვის უკვე 13 საწარმოო ფილიალი და ნახევარმილიარდი დოლარი აქვს.

კამინგსის საქმიანობაზე ყველაზე უკეთ მისი საფირმო რეკლამები ლაპარაკობენ. ისინი კლიენტებს სთავაზობენ... „სახმელეთო, საზღვაო, საავიაციო შეიარაღების საუკეთესო ნიმუშებს.. მისი საქონლის სია მოიცავს ყველაფერს დაწყებული ხიშტებითა და დამთავრებული რაკეტებით. იგი ამარაგებს 50 ქვეყნის არმიასა და კერძო პირებს. სამხრეთ ამერიკიდან აღმოსავლეთ აზიამდე გენერლებმა იციან: ვინც ომობს, იარაღს კამინგსისაგან ყიდულობს".

„კამინგსის საწყობებსა და არსენალებში უფრო მეტი სახმელეთო იარაღია, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის არმიებში ერთად აღებული", —აღფრთოვანებული აცხადებს დასავლეთ გერმანული ჟურნალი „კვიკი".

კამინგსის დოლარებს უკვე ასდის ათეულ ათასობით ადამიანის სისხლის სუნი. მისგან შეძენილი „ვამპირის" სისტემის რეაქტიული თვითმფრინავები დაეხმარა დომინიკელ დიქტატორს ტრუჰილიოს ჩაეხშო სახალხო რევოლუცია. ახლა კი, როცა ტაილანდის ტერიტორიაზე მიმდინარეობს სწრაფი საომარი მზადება ლაოსის წინააღმდეგ, „ინტერარმკოს" თავკაცი ბანგკოში ტაილანდის პრემიერის სარიტა ტანარატას ვაჟის გვერდით მდიდრულად გაშლილ სუფრას უზის და გულმშვიდად აწარმოებს მოლაპარაკებას ამ ქვეყნისათვის ახალი იარაღის მიყიდვის შესახებ.

— „სემ კამინგსი, — წერს „კვიკი", — ცუდად არ ცხოვრობს..." ოღონდაც! — დავუმატებთ ჩვენ, „ცუდად არ ცხოვრობს ადამიანთა სისხლით.

## კარდინალი სპელმანი კმაყოფილია

ქ. ნიუ-იორკში მეხუთე ავენიუ არაფრით არ განსხვავდება სხვა ქუჩებისაგან. იგივე ჩოჩქოლი, იგივე მყვირალა რეკლამები, მანქანებისა და რეპროდუქტორების გნიასი. მაგრამ ადამიანთა ნაკადში აქ ყოველთვის შეიძლება მრავალი კათოლიკე მლოცველის ნახვა. ისინი მიიჩქარიან მოდერნისტული ეკლესიისაკენ, რათა თაყვანი სცენ შუახნის მკვრივად აგებულ, თავგაპარსულ კაცს, — კარდინალ ფრენსის სპელმანს, რომელიც შემწყნარებლურად დაჰყურებს მათ სათვალის სქელი მინებიდან და კმაყოფილი იღიმება.

აქ, მეხუთე ავენიუზე, ყოველწლიურად იმართება „ქრისტეს შვილთა" სამწყობრო დათვალიერებანი და აღლუმებიც. მწყობრი რიგებით მიაბიჯებენ მორწმუნე ფანატიკოსების კოლონები. ყველა, თორმეტი წლის ბიჭუნებიც კი, კბილებამდე არიან შეიარაღებულნი. უფროსებს მომარჯვებული აქვთ ხიშტებწამოცმული შაშხანები. სპელმანის სიხარულს საზღვარი არა აქვს: ეს მისი სამწყსო მოდის მარშით, მოაბიჯებს ამერიკული კათოლიციზმი...

მაგრამ ეს კათოლიციზმი არა მარტო მეხუთე ავენიუზე დადის მარშით, არამედ ყველგან, სადაც კი ხელი მისწვდებათ პენტაგონსა და ნატო-ს. შეერთებული შტატების კათოლიკური ეკლესია ვატიკანის ყველაზე მდიდარი ფილიალია. მარტო ნიუ-იორკის კარდინალის ფრენსის სპელმანისაგან იგი იღებს უფრო მეტ შემოსავალს, ვიდრე ევროპის ყველა კათოლიკური ეკლესიისაგან.

რელიგიური უბიწოებისა და „ქრისტიანული დასავლეთის" დაცვის დროშით ამერიკული კათოლიციზმი ქებას ასხამს და ადიდებს მოქმედების იმ გეგმებს, რასაც მისდევს პენტაგონი, აკეთებს ბიზნესს საომარ ისტერიასა და ომის ფსიქოსზე. ტყუილად როდი განაცხადა ამას წინათ სპელმანმა: ქრისტესმოყვარე ამერიკელი მხედრობისათვის აუცილებელია საუკეთესო თანამედროვე იარაღით აღჭურვაო. თუ რა სახის იარაღზე ლაპარაკობს პენტაგონის ეს ღვთისმოსავი კარდინალი, ძნელი არ არის მიხვედრა. როცა პრეზიდენტმა კენედიმ გადაწყვიტა ატომური იარაღის გამოცდის გაგრძელება, სპელმანი აღფრთოვანებით შეხვდა მის განზრახვას: პრეზიდენტის პირით თვით მამა ღმერთი ქადაგებსო. კარდინალი არ ტყუის. განა ბიბლიის მეორე სჯულის მეშვიდე თავში ზეციური მამა პირდაპირ არ მოუწოდებს თავის მორწმუნეებს: „გძულდეს სხვა ხალხი, დაამხე მათი საკურთხეველი, შემუსრე მათი სვეტი, ამოკვეთე მათი ყანები და კერპები მათი დაწვი ცეცხლში, ვინაიდან შენ აგირჩია უფალმა ღმერთმა შენმა, რომ შენ იყო საკუთრივ მისი ხალხი ყველა დანარჩენ ხალხთა შორის, რომელიც არსებობს ქვეყანაზე".

დაუფარავი სიამოვნებით გამოდის კარდინალი სპელმანი შეერთებული შტატების თავდაცვის დეპარტამენტის წევრების წინაშე. აქ მას ბევრი მეგობარი ჰყავს. სხვათა შორის, მისი დიდი მეგობარი იყო ამერიკის ჯაშუშთა ყოფილი მეთაური ალენ დალესიც. დალესი შედიოდა იმ ჯგუფში, რომელსაც წინამძღვრობდა კარდინალი სპელმანი. ამ ჯგუფმა 1958 წლის შემოდგომაზე რომის პაპის წინაშე პირობა დასდო, რომ გააქტიურებდა კათოლიკური ეკლესიის მოღვაწეობას სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ.

ანაფორაში გახვეულმა ამ მილიტარისტმა კარგად იცის, რომ ღმერთი მოწყალე და მომთმენია, რომ მისი სახელით შეიძლება დაიფაროს მრავალი ბინძური და სისხლიანი საქმე, ჯაშუშობა, ადამიანთა მასობრივი მოსპობა, მოზრდილებისა და ბავშვების მუშტვრა.

პენტაგონისა და ნატოს კარდინალს, ვატიკანის ამერიკელ ბანკირს ყველაზე ნაკლებ აღელვებს მშვიდობისა და კაცობრიობის ბედი. იგი გასცქერის მლოცველთა ბრბოს, ჯარისკაცებისა და მის მიერ გაბრიყვებული ახალგაზრდების მარშით მომავალ კოლონებს და, ახალი ბიზნესის მოლოდინში კმაყოფილებით იღიმება: იარაღასხმული ამერიკული კათოლიციზმი ღვთისა და მისი წყალობით ერთგულად ემსახურება თავის ბატონებს— გენერლებსა და მილიონერებს პენტაგონიდან.







## „დამსახურებისათვის"

ბედლებითა და მახვილით დამშვენებული ეს მეომარი 57 წლის გენერალი მინორუ ჰენდაა. იგი მონაწილეობდა 1941 წელს პირლ-ჰარბორში ამერიკის საზღვაო ფლოტზე იაპონიის სამხედრო-საჰაერო ძალების მოულოდნელი თავდასხმის გეგმის შემუშავებაში.

ამას წინათ მას გადასცეს კიდევ ერთი ჯილდო... ამერიკული ორდენი „დამსახურებისათვის". ეს ორდენი ჰენდამ მიიღო იაპონიის სამხედრო-საჰაერო ძალების ხელმძღვანელის თანამდებობიდან გადადგომის გამო. ჯილდო გადასცა შეერთებული შტატების გენერალმა ლაიმენ ლემნიტცერმა ტოკიოში.

გასული წლის სექტემბერში, ლონდონში ყოფნისას, გენერალმა ჰენდამ პირლ-ჰარბონში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით განაცხადა; „ერთი დარტყმის ნაცვლად ჩვენ დარტყმების მთელი სერია უნდა მიგვეყენებიაო".

ჰენდა იყო იაპონიის 1-ლი საჰაერო ფლოტის შტაბის ოფიცერი, როცა იგი მონაწილეობდა პირლ-ჰარბორზე თავდასხმის გეგმის შემუშავებასა და მის განხორციელებაში.




## ახალი „ფიურერი" ძველ სამოსელში

შეხედეთ ამ თავდავიწყებით აღიარებულ ვაჟბატონს. მხეცური სიძულვილით გამსჭვალული ყოველივე პროგრესულისა და ადამიანურის მიმართ, იგი ცოფებს ჰყრის კომუნისტების, ებრაელების, ზანგებისა და ხალხთა შორის მშვიდობის წინააღმდეგ.

ეს ბარბაროსი „ამერიკული ნაცისტური პარტიის" წევრებმა თავიანთი „ფიურერად" გამოაცხადეს. „დემოკრატიულ" ამერიკაში მას მოქმედების სრული თავისუფლება აქვს მინიჭებული. ჯორჯ როკუელი დაუსჯელად მოგზაურობს შეერთებულ შტატებში და ყველგან აკოწიწებს მოიერიშეთა რაზმებს.

მაგრამ ისტორიას დიდი ხანია, რაც მისთვის განაჩენი აქვს გამოტანილი.





## ნანო იორამაშვილი

მოთხრობა

პირველი ხელფასი ავიღე და პლეხანოვის ქუჩაზე ჩავიარე. ქვეყანა ჩემია. არაფერი მტკივა, მივდივარ არხეინად, ფული მაქვს, რასაც მინდა ვიყიდი. თუმცა არა, ეხლა მარტო ფეხსაცმელებს ვიყიდი. სხვა, სხვა დროს. ასეთი ფეხსაცმელებით სიარული სხვა არა იყოს რა სირცხვილია. რა უბედურებაა, ჩემი ზომის არსად არ მხვდება. ყველგან ნორმალური ადამიანებისათვის კერავენ, მე კი დავრბივარ და ყველგან ვკითხულობ.

— რა ნომერი გაქვთ ყველაზე დიდი?

— ყველაზე დიდი? — გამყიდველი შებრუნდება, ყუთებში ხელს აურევს, რომელიღაცას გადმოატრიალებს და თვალების ჭუტვით წაიკითხავს — ორმოცდაოთხი.

— ცოტა მიჭერს, თუ ძმა ხარ, მონახე რა, იქნებ ცოტა დიდი იყოს სადმე.

ყუთები ისევ აირდაირევიან და გამყიდველი ხელებს შლის — რა ვქნა ძმაო, ამაზე დიდი ზომის არაფერია.

გამოვდივარ და სხვა მაღაზიებშიც იგივე მეორდება. ერთ ვიტრინაში უშველებელი კალოშები დავინახე. აქ შეიძლება ყველაფერი ნამყენი იყოს, გავიფიქრე და შევედი. ბედმა, მართლაც, გამიღიმა. გადმოვალებინე შავი ფეხსაცმელები. თითქოს კარგად მაქვს. ოდნავ მიჭერს, მაგრამ ეს არაფერია, გაიწევს. ჯიბეებში ხელები ჩავიწყე და სარკეებს გვერდზე გავუარე. ტერფებში მოვლუნე, შევათვალიერე და ეხლაღა შევნიშნე, საბავშვო ფეხსაცმელების განყოფილებიდან ორი ცისფერი თვალი ჩემ ფეხსაცმელებს უცინოდა. ფეხსაცმელებმა არც შეიმჩნიეს, მე კი, ცისფერ თვალებს გავუღიმე. თვალებმა ფეხსაცმელებს თავი დაანებეს და ახლა მე გამიღიმეს. მერე იმ თვალების პატრონი მიბრუნდა. მეც მოვბრუნდი და ფული გადავიხადე.

ძველი ფეხსაცმელები ახალ ყუთში ჩავაწყე და გარეთ გამოვედი. მომეჩვენა, რომ ცისფერმა თვალებმა დამიძახეს. კვლავ მაღაზიაში შევტრიალდი და საბავშვო ფეხსაცმელების განყოფილებასთან დავდექი. მან გვერდზე გაიხედა, მაგრამ ვგრძნობდი მთელი ყურადღებით ჩემსკენ იყო.

ღმერთო ჩემო, რა ლამაზია. როცა თვალები დახრილი აქვს, გგონია შავი თვალები ექნებაო. აიხედავს და ცისფერი კი შეგრჩება. ცისფერი კი არა, უფრო ზღვისფერი. თანაც სულ იცინიან. თითქოს მათი მოვალეობა მარტო სიცილია. მისი თვალები დახრის ქვეშ რაღაცას ჩაჰკირკიტებენ, სასაცილო არაფერია და ვგრძნობ, რომ მაინც ეშმაკურად იცინიან.

ასეთი ლამაზი გამყიდველები, რომ იყვნენ ყველგან, მაღაზიაში ჰედვა იქნება. გავიფიქრე მე.

— ბავშვის ფეხსაცმელი გნებავთ? — მკითხა ჩემი თვალებისაგან გაწითლებულმა ქალიშვილმა.

— ბავშვის? — გავიმეორე კითხვა, გულში გამეცინა და ეჭვი რომ არ აელო, საჩქაროდ დავუმატე — დიახ! ბავშვის, თუ გექნებათ. — არ ვიცი ეს რატომ ვთქვი, ფეხსაცმელები აუარებელი ელაგა.

თვალებმა სიცილი შეწყვიტეს და ტუჩებმა უხალისოდ მკითხეს:

— რა ნომერი გინდათ?

რაც უფრო პატარაა, მით უფრო იაფი ეღირება, — გავიფიქრე მე და ცერი და საჩვენებელი თითით ვანიშნე, — პატარები, სუყველაზე პატარები.

მომაწოდა პატარა თეთრი ფაჩუჩები. მათ ხელში დიდხანს ვატრიალებდი, გულში კი მეცინებოდა. — ამას ახლა მამა ვგონივარ.

— აიღებთ?

– მმმ .... ამაზე პატარა ხომ არ გექნებათ —ვთქვი მე, რომ დრო გამეყვანა.

— ამაზე პატარა? — გაიკვირვა ქალიშვილმა... —მაშინ თოჯინა იყიდეთ და იმას გახადეთ.

— კარგით, ეს შემიხვიეთ. ფულს ნელ-ნელა ვთვლიდი და ჩემ თავზე ვბრაზობდი. რაღა ცოლშვილიანობა მოვიგონე და სულ დავაფრთხე. გამეცნო სხვანაირად, მაშინ საქმე უკეთესად წავიდოდა. ცისფერი თვალები სიცილს არ შეწყვეტდნენ. გაიღიმებოდნენ მისი ლამაზი ტუჩებიც, მეც გავიღიმებდი და ლაპარაკს თავი თავისთავად მოებმებოდა, ღიმილი ხომ ყოველგვარი ბედნიერების სათავეა.

ახლა კი ის თითქოს გულდაწყვეტილი დგას და ველარც მამჩნევს. ეწყინა, ნამდვილად ეწყინა, მე, რომ „მამა“ ვარ და სხვას მიუტრიალდა. მე კი ვიდექი, ვიდექი, ვერაფერი მოვიფიქრე და წამოვედი.

იმ ღამეს, ცისფერი თვალების ღიმილმა დამაძინეს და მისმა გულგრილმა გამოხედვამ გამომაღვიძა დილას. ასეთი რამე უზრდელობაა, მაგრამ მაპატიეთ, ჩემ ოთახში არავინ იყო და გავიზმორე. მარჯვენა ხელი სკამზე მოვაფათურე, ფაჩუჩები ავიღე, თავისივე წითელი ზონრით ერთმანეთს გადავაბი და საწოლის თავზე გადავკიდე. რა სითბო და რ[illegible] სინაზე აქვთ ამ ფაჩუჩებს. [illegible] უყურებ, უეჭველად უნდა გაიღიმ[illegible] და მოეფერო. რა კარგია მოფერება რა კარგია სითბო. ჩემს ოთახში კი არის ერთი საწოლი, ერთი მაგიდა კარადა, ცოტა წიგნები, კედელზ[illegible] ვრუბელის „დემონი“ და მთელ ოთახში, ყველაფერს ამ დემონივით თავპირი ჩამოსტირით. მე კი მინდა, ჩე[illegible] ოთახში იყოს ბევრი სინათლე, სითბო და სიცილი. მოვიდე სახლში, დამხვდეს ცისფერთვალება ცოლი, სადილი იყოს ცხელი. დავსხდეთ ერთად ვილაპარაკებთ, უეჭველად ვიცინებთ, მერე მე გაზეთის კითხვას დავიწყებ, ის ლაპარაკით ხელს შემიშლის, მე გავბრაზდები, არა არ გავბრაზდები, ავდგები, ვაკოცებ, მერე ჩავიცმევთ და სადმე წავალთ. ხალხ[illegible] შემოგვხედავს და გა[illegible]იქრებს, რო[illegible] ჩვენ ორივე ძალია[illegible]ამაზები და კარგები ვართ. რა კარგი იქნება. მე ჯერ სხვა, არაფერი არ მინდა.

აი ახლა ავდგები. ჩავიცმევ კოსტუმს, გაუთოებულ პერანგს, ყელსახვევსაც უეჭველად გავიკეთებ, ჩავიცმევ ჩემ ახალ შავ ფეხსაცმელებს და წავალ გუშინდელი შეცდომის გამოსასწორებლად.

ბოლოს და ბოლოს ამ პაწაწკინტელა ფაჩუჩებსაც ხომ უნდა თავი პაწაწა პატრონი.





ესკიზი

## ლილი ნუცუბიძე

ნეტა, ფეხები მომტეხოდა და აქ არ მოვსულიყავი. არ იქნა და არ მომეშვა მამიდაჩემი, ერთი-ორი დღით კიდევ დამენახეო. დავუჯერე და ახლა სანანებლად გამიხდა.

ყველაფერი მაინც იმ შავტუხა კალატოზის ბრალია.

მამიდა ახალ ქუჩაზე ცხოვრობს, მშვენიერ ბინაში. მისი სახლის წინ დიდი სკოლა შენდება. როგორც ინათებს, ხარაჩოებს ოსტატები შეესევიან.

ალბათ მალე დაამთავრებენ... მშენებლობაზე ახალგაზრდობა ჭარბობს. ზოგს გრუზა თმა და განიერი მხარბეჭი აქვს. ზოგი ტანწვრილი და ქერაა. ერთი სიტყვით, ავ თვალს არ დაენახვებიან ბიჭები. მე ამათგან ერთი შავტუხა კალატოზი მაინც გამოვარჩიე. თუმცა მისთვის როდი მცალია; ინსტიტუტში შესასვლელად ვემზადები და დღენიადაგ წიგნს ჩავკირკიტებ.

ფანჯარასთან მივჯდები. გადავშლი და ვკითხულობ და ვკითხულობ. მოცლა არა მაქვს. ხანდახან თვალი ჩემდა უნებლიეთ მშენებლებისაკენ გამეპარება.

ვგრძნობ, ისინიც მითვალთვალებენ და მიხარია.

იმ დღესაც ფანჯარა გამოვაღე. დავჯექი და კითხვა დავიწყე.

— თვალები დაგელღება, ლამაზო! — გადმომძახა ვიღაცამ ხარაჩოდან.

გაბუტული მოვშორდი ფანჯარას. ქარმა რაფაზე მიტოვებული წიგნი ჯერ მიმოფურცლა და მერე შრიალ-შრიალით წაიღო ქუჩაში.

ოთახში საშინაო კაბით ვიყავი. გარეთ ასე ვერ გავიდოდი. დავფაცურდი გამოსაცვლელად.

კიბეზე ფეხის ხმა მომესმა. ვიღაც ჩემს კარებთან შედგა. კარი მოგვიანებით გამოვაღე.

უცნობს წიგნი სახელურში გაეჩარა.

ვინ ამოიტანა?

განა, სულ ერთი არ არის?

ოთახში შევბრუნდი. ისევ ფანჯარასთან მივედი. ფარდასმოფარებული მშენებლებს ვუთვალთვალებ. ხანშიშესულმა კალატოზმა რომელიღაც ახალგაზრდას ხელი შეაშველა. ეს შავტუხა კალატოზია. შავტუხა ხარაჩოს თავზე მოექცა, აქეთ-იქიდან უყიჟინებენ.

— დაგწვა, ძმობილო? — ეკითხება ერთი.

— რა დროს სიყვარულია. ცაში ხარ გაკიდებული. მიწაზე. რომ ფეხს დაადგამ, მერეც მოესწრები, — ეხუმრება მეორე.

შავტუხა, თითქოს არ ესმისო, ფიქრში წასულა და მონუსხულივითაა.

— კარგი რა! ხელს ნუ მიშლი. მეც მაცდენ, შენც ცდები.

ნიავმა აბრეშუმის ფარდა ზეაიტაცა. თითქოს დანაშაულზე წამასწრეს. დავიმალე.

— გამოჩნდა შენი მზეთუნახავი, — ესა თქვა და ხმამაღლა გაიცინა ქერათმიანმა მშენებელმა, თანაც შავტუხას მხარზე ხელი წაჰკრა.

დღეები მიდიან, მიდიან. ფანჯარასთან იშვიათად ვდგები.

შავტუხა მუშაობის დროს ღიღინებდა. ახლა ხმას აღარ იღებს. წარბები შეუკრავს. ხანდახან გავხედავ. ის ვერ მამჩნევს.

ბოლო ხანს მშენებლობა წინ წავიდა. სახლს მალე დახურავენ...

აგერ ნაცრისფერი „ვოლგა“ შეჩერდა მშენებლობასთან. სამმართველოს უფროსი და მთავარი ინჟინერი გადმოვიდა. მე მათ უკვე ვიცნობ, ხშირად მოდიან, ათვალიერებენ...

სამუშაოთა მწარმოებელი ხარაჩოებიდან დაეშვა. მიკვირს, რა მუხლები უძლებს? დღეში ასჯერ ავა და ჩამოვა. წამოვიდა და თან შავტუხა გამოიყოლა.

— ნელა, ნელა, — ვჩურჩულებ. — ნაწვიმარია და ფეხი არ დაგიცდეს.

შავტუხამ ფარულად ამოხედა ჩემს ფანჯარას. ვერ შემნიშნა.

— ხომ ხედავ, რომ არ ვფეთდები!.. მაგრამ მაინც ფრთხილად. შე უღმერთო.

... იქნებ თქვენც განგიცდიათ, არა, მე ვიცი, ნამდვილად ვიცი, უეჭველად განგიცდიათ: შენთვის რაღაცას გაიფიქრებ, გული რაღაცაზე შეგეკუმშება. თითქოს წინასწარ გრძნობ რაიმე საფრთხეს. გრძნობ და შიშობ.

ასე დამემართა ახლაც. გულმა მიგრძნო, შავტუხას კარგი არაფერი ელოდა...

სამუშაოთა მწარმოებელმა უკან დარჩენილ შავტუხას მიუხედა. ჩქარაო, მიაძახა და თვითონაც ნაბიჯს უმატა.

აჩქარდა კალატოზი. აჩქარდა შავტუხა. უცებ ფეხი ხის საფეხურს წაჰკრა. წაფორხილდა და გადმოვარდა. უნებურად შევკივლე. ხარაჩოებზეც დაიყვირეს. აღარ მახსოვს, როგორ გავჩნდი შავტუხასთან პირველი. ხალათზე ხელი მოვუფათურე. ვიგრძენი, ყველა მე მომჩერებოდა.

— არაფერია, — უხერხულად ბუტბუტებს შავტუხა და შარვალს იფერთხავს. უთუოდ რაღაც ტკივა და არ იმჩნევს.

— მადლობა ღმერთს, გადარჩა, — ამბობს ერთი.

— ფრენა დაგიწყია, ძამია! — ხუმრობს მეორე.

იგი თითქოს ველარავის ამჩნევს. ოდნავ შემკრთალი შემომცქერის და იღიმება, იღიმება...

— გმადლობთ, — მეუბნება შეცვლილი ხმით, — დიდი მადლობელი ვარ.

მე შავტუხა ბიჭს შევყურებ და მინდა, ასე ვიდგე მასთან დიდხანს, სულ, მთელი სიცოცხლე...



# პოეტები ისევ შემოდიან რედაქციაში

ვ. რიონელი



ის დღე არ იყო უჩვეულო და სრულიადაც არაფრით გამოირჩეოდა სხვა დღეებისაგან. თუმცა თბილისის ყოველი დღე თავისთავად უჩვეულოა და თავისებური.. ზაფხულის სახიერი ზეცა მაშინაც ასე კამკამებდა და ბრწყინავდა თავის უსაზღვრო სიმაღლეში.

ოპერის წინ, რუსთაველის პროსპექტის შუაწელში, იქ, სადაც ჭავჭავაძის ქუჩა იწყება, იდგნენ ჭადრები, იდგნენ ისე, თითქოს შეღმართზე ასვლა უნდოდათ, მაგრამ ვერ გაებედათ: ჭავჭავაძის შეღმართს უმათოდაც არ აკლდა მადლი და ლაზათი.

ეს მყუდრო ყურე რატომღაც უხმაურო სინაზითა და სისათუთით უყვარდათ პოეტებს. უყვარდათ იქნებ იმიტომ, მაღლა, ზეცისკენ მიმავალ გზასავით რომ ჩანდა, ან იქნებ ორი სხივიანი პოეტის ხათრითაც.

ამ ადგილას, პროსპექტისა და ქუჩის გადასაკვეთთან, ახლა რომ წიგნების მაღაზიაა, რამდენიმე ოთახში მოთავსდა ჟურნალი „დროშა“.

„დროშის“ რედაქციაში თავს იყრიდნენ გამოჩენილი ქართველი მოღვაწენი, გაუკვალავი შემოქმედებითი გზითა და ხმით მწერლობაში შემოსული ახალგაზრდობა. იყო აზრიანი კამათი და გულალალი საუბარი ახლებურ პოეზიაზე, ხელოვნებაზე, მომავალზე.

იმ დღესაც რედაქციაში შეიარეს ქართული პოეტური ულლის გამწევმა ლაბა-ხარებმა, მძაფრი ფიქრისა და „გულიდან ხორცად ამონატანი“ ლექსის მეხრეებმა და გუთნისდედებმა.

ტიციან ტაბიძემ არც იმ დღეს დაივიწყა თავისი ჩვეულება (მას უყვარდა თურმე სამახსოვრო სურათები) და რედაქციაში ასე ნაინანატრად თავშეყრილ მეგობრებს თხოვა, სურათი გადავიღოთო.

„დროშა“ დატოვეს და ფოტოგრაფ ქვანიას ატელიესკენ გაემართნენ.

რუსთაველის პროსპექტზე შრიალებდნენ შეფოთლილი ჭადრები.

ილეოდა ათას ცხრაას ოცდაექვსი წელი...

აქ რომ მღეროდა რუსთაველი, ვინ გააჩუმა,
აქ რომ იბრძოდა სააკაძე, ვინ გააკავა, —

უნებლიეთ მახსენდება ტიციან ტაბიძის სტრიქონები და ამ სურათს დავყურებ.

საოცრად ბედნიერი ჩანს ტიციანი განუყრელი მიხაკის ყვავილით გულზე.

როგორი მომხიბვლელობით იხედება პაოლო იაშვილი. ზვიადია, თავაწეულია, ეტყობა მაღალი მთებისა და ლაღანა ყანების ქვეყანაში დაბადებულა.

აგერ ტანმორჩილი და სანთელივით ფეროვანი ნიკოლო მიწიშვილი.

აქაა სათნო და კეთილშობილი გერონტი ქიქოძე: კაცი მართალი, გონიერი, დარბაისელი, უტყუარი და პირდაპირი ყოველთვის. სურათი მისი სიცოცხლის შუადღის ჟამსაა გადაღებული.

აი, ორეულთა, ოფელიათა და მაჩაბლის მთვარის ოსტატი ვალერიან გაფრინდაშვილი, სასოებით რომ ნატრობდა:

ისეთი ლექსი დავწერო მინდა,
რომ არ დამჭირდეს კვლავ ლექსის წერა...

ბავშვურად გულღია და მიამიტი რაჟდენ გვეტაძე სიჭაბუკის შუა გულშია.

აქაა თბილი, ლირიული ადამიანი, სიტყვის გემრიული მეჭაშნიკე ალი არსენიშვილი და სათუთი, თავისებური თქმის პოეტი ლელი ჯაფარიძე.

ხედავთ როგორია სიცოცხლისა და სიყვარულის, მზისა და მიწის მომღერალი გიორგი ლეონიძე. დგას გამომწვევად შემართული, შეუვალი და შეუხრელი. თითქოს აქედან გაჰყურებს ყაყაჩოებით აბრიალებულ ველთა კალთებზე შემომდგარ ნინოწმინდის ღამეს, იხსენებს მეგობარ პოეტთა სერობას ტაძრის გუმბათზე:

საშუალება გვეძლევა და უნდა ითქვას შემდეგიც: გიორგი ლეონიძე პირველი წამომწყები და ერთ-ერთი მეთაურთაგანია „დროშის“ დაარსებისა. იგი მართლაც ჟურნალის მედროშე იყო.

სანდრო შანშიაშვილს ჭიაურის ტყეში დაცემული მუხა ელანდება და მცხეთაზე გადავლილი არსენა არ ასვენებს. ნაზი და ლაღი სულის პოეტი შალვა აფხაიძე ნაჭედი სონეტით მიმართავს გელათისა და ბაგრატის ტაძრებს.

ხალისითა და კდემამოსილებით გამოიყურებიან ნინო ტაბიძე, თამარ იაშვილი, ეფემია ლეონიძე, მარო შანშიაშვილი. სახელოვან მეუღლეებთან ერთად ისინიც დარჩნენ ისტორიას, მომავალს.

ეს სურათი გუშინდელი დღეა... გუშინდელი დღე ისტორიად ქცეული. მას თბილად შეინახავს და მოუვლის ჩვენი შთამომავლობა. ამ სურათის დაბეჭდვაც „დროშის“ ფურცლებზე თითქოს სიმბოლურია.

აჰა, „დროშიდან“ წასული პოეტები ისევ შემოდიან „დროშის“ რედაქციაში და იკავებენ თავიანთ სავარძლებს.

ს უ რ ა თ ზ ე (მარცხნიდან მარჯვნივ): პირველ რიგში — ნიკოლო მიწიშვილი, თამარ იაშვილი, სანდრო შანშიაშვილი და მისი მეუღლე; მეორე რიგში —ვალერიან გაფრინდაშვილი, ეფემია ლეონიძე, გერონტი ქიქოძე, პაოლო იაშვილი, ნინო ტაბიძე, ალი არსენიშვილი; მესამე რიგში — რაჟდენ გვეტაძე, შალვა აფხაიძე, ტიციან ტაბიძე, ლელი ჯაფარიძე, გიორგი ლეონიძე.

სურათი ინახება პაოლო იაშვილის არქივში, მოგვაწოდა მისმა ოჯახმა და იბეჭდება პირველად.

---

# კანტაკუზენის ქვრივი

ორდე დგებუაძე

მ ო თ ხ რ ო ბ ა

კანტაკუზენის ქვრივისა და მისი ქალიშვილის ძებნაში საბჭოთა კავშირი შემოვიარეთ, მაგრამ მათ კვალს ვერ მივაგენით.

1926 წელს თბილისსაც მოვაკითხეთ, აქაურობა დავზვერეთ. არც ეს ქალაქი იძლეოდა დიდ იმედს.

როგორც ყოველთვის, სტასი თან მახლდა.

მაისის თვე იყო. ქალაქში საამო სურნელება იდგა. გულდამძიმებულმა ქალაქის დათვალიერება განვიზრახე.

ისევ მელანქოლიამ შემიპყრო.

— ეჰ, ბევრი ვეცადე, მაგრამ განზრახვა ვერ შევისრულე, ვერ გასიამოვნე, ჩემო სიცოცხლევ! — ვეუბნებოდი ჩურჩულით რომის მიწას მიბარებულ ვარვარა დავიდოვნას და რუსთაველის პროსპექტს მივყვებოდი.

თავისუფლების მოედანზე გავედი, მარჯვენა მხარეს მობეტონებულ განიერ ქუჩას ავყევი, აღმართი ავიარე. ბავშვების ჟრიამულმა მიიქცია ჩემი ყურადღება, ჩემდა უნებურად ის დიდეზოიან სახლისაკენ გავემართე, საიდანაც ჟივილხივილი ისმოდა. რატომღაც გულმა ბავშვებისაკენ გაიწია. რკინის ღობეს მივადექი. ეზოში თეთრხალათიანი ბავშვები დარბოდნენ. ზოგი, პატარა ბარით მიწას ჩიჩქნიდა, ზოგი, ჯოხის ცხენს „დააჭენებდა“. ღობესთან ახლოს ორი გოგონა იდგა, ერთს ყვავილები ეჭირა ხელში და მეგობარს უნაწილებდა. — აჰა, ია, ესეც შენო, — უთხრა წითელქუდამ თანატოლს. უქუდო გოგონამ თავი ასწია და ამხანაგს ყვავილის გამოსართმევად ხელი გაუწოდა. მერე მან ჩემსკენ მოიხედა, მაგრამ მე უკვე გაოგნებული ვიდექი. თითზე ვიკბინე — იქნებ სიზმარია-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ არა, ნამდვილად, ცხადად, ჩემ წინ ჩემი ლუსანას ორეული იდგა. ლუსანა—თვალმცეცხლია, პირმთვარე. სვილისფერი გრძელი წამწამები მაყვალივით შავ თვალებს უჩრდილავდა, ლალისფერ ბაგეზე ნათელი ღიმილი დასთამაშებდა, თმები ბურბუშელასავით ეყარა თავზე, შავზე შავი ყორნის ფრთების ფერი თმები. ქოჩორზე თმის ვიწრო თეთრი ზოლი ისე ნატიფად ჩასდევდა, თითქოს ამ ციური არსების სიმშვენიერეს ეს პატარა წილარიც კიდევ უფრო მეტ სინარნარეს ჰმატებსო.

ღობესთან ბარბაცით მივედი და მუხლები რომ არ მომკეცოდა, რკინის მესერს ჩავეჭიდე.

როგორც იყო სული მოვითქვი. საათს დავხედე. ორივე ისარი თორმეტს ებჯინებოდა. დიახ, სწორედ ამ გოგონას შეუძლია სიცოცხლე შეგაყვაროსო, — ჩამჩურჩულა ვიღაცამ. სწრაფ გამოვბრუნდი. დაღმართზე სირბილით დავეშვი. მარტა პეტროვნას ბინას მივაშურე. იქ სტასი მეგულებოდა. მე ახლა ამ ნაცადი კაცის იმედი მქონდა.

... იმ ღამის ორ საათზე ჩვენი მატარებელი ბაქოსაკენ მიჰქროდა. ორადგილიან კუპეს ქვედა საწოლზე ჩემი ლუსანას ტკბილად ეძინა...“

• • •

აქ თავდებოდა ტამანოვის ჩვენება. არც ერთი დანაშაულის აღწერა, მაშინ როდესაც, „განთიადის დედოფლის“ ძებნაში ბევრი დანაშაული ჩავიდინეო, სწერდა.

სტასი და საიდოვი იტყვიან ყველაფერსო; კეთილი, მაგრამ თვითონაც ხომ უნდა აღიაროს დანაშაული?

მე ის საღამოს გამოვიძახე და თურქული ყავით გავუმასპინძლდი. ვიცოდი, უცხოეთში ასე დიდხანს ნამყოფს სურნელოვან ჩაიზე უფრო სწორედ ეს სასმისი უყვარდა. ერთ ხანს მუსიკაზე, ასტრონომიაზე, ზღვაოსნობაზე და კიდევ ვინ იცის რაზე არ ვიმუსაიფეთ. ორთავე ერთი აზრისა ვიყავით. უკეთ რომ ვთქვათ, ყველაფერში ვეთანხმებოდი, ვიწონებდი მის შეხედულებებს და ისიც ოდნავ შესამჩნევი ეშმაკური კმაყოფილებით მიქნევდა თავს, მაგრამ თვალები მისი უსიტყვოდ მეუბნებოდნენ: — მე კარგად ვიცი, შენ ამით ჩემთან ახლოს მოსვლას აპირებ, რომ მერე, საქმიან საუბარშიც შენს გულწრფელობაში ეჭვი არ შემეპაროსო. თუმცა იგორი არაფერში არ ტყუოდა, მაგრამ ასე, ალბათ ჩემი პროფესიული ჩვევა მამოქმედებდა.

— თუ გახსოვთ, როცა მე პეტრო ტამანოვი ვახსენე, თქვენ გულახდილად მითხარით, რომ ის ამ ქვეყნიდან გავისტუმრეთო და მერე დასძინეთ — სანამ გა-

---

(დასასრული. იხ. ჟურ. „დროშა“ — 1961 წ. № 4, 6, 7, 8, 10, 12; 1962 წ. № 2, 3, 5, 6).

თამამდებოდნენ, სტასი და საიდოვიც რომ... ახლა აქ არ ვიქნებოდით. მაშინ მე არაფერი არ მიკითხავს თქვენთვის, იქნებ ახლა მითხრათ, რას ნიშნავს თქვენი ეს სიტყვები? — ვკითხე ისეთი კილოთი და გამომეტყველებით, როგორითაც გაშინაურებულ კაცს ჰკითხავენ ხოლმე.

იგორმა ჩაიცინა:

— აი, მახსოვრობაც ამასა ჰქვია. თქვენ მაშინ არაფერს ჩაიწერდით, ჩემი სიტყვებიდან კი ერთი ასოც არ გამოგრჩენიათ. — ჭიქა დინჯად აიღო, წყალი მოსვა, — დიახ, როგორც მოგახსენეთ, პეტრო ჩემი მოგვარე იყო, კარგად მღეროდა და ცეკვავდა. ცოლად ძალზე ლამაზი ქალი ჰყავდა, სხვათა შორის, თქვენებური ქალი, ქართველი.

გავიკვირვე. ვინ? რა გვარი-მეთქი, ვკითხე

— მართალი რომ გითხრათ, მისი არც გვარი მახსოვს და არც სახელი, —თვალი ამარიდა. სტყუოდა. რაისას ჩათრევა არ უნდოდა. არც მე მიფიქრია დაძალება.

— ისე კი, არცაა საჭირო რომ მახსოვდეს. ის ქალი მხოლოდ ერთხელ გახდა უნებლიე დამნაშავე ხარკოვში, როცა ჩემმა ბიჭებმა ოქროულობის მაღაზია გაძარცვეს, მან თეატრიდან ამ მაღაზიის გამგე ლოპანის სანაპიროზე გაიტყუილა, მაგრამ არ იცოდა რა მოელოდა ამ კაცს...

— ვიცი, — სიტყვა გავაწყვეტინე, — რა მოუვიდა იმ კაცს? დაიხრჩო?

— არა, გადარჩა. მერე, დონჟუანს სიმულაცია დასწამეს და ერთ ხანს საპატიმროში იჯდა, — გაიცინა, მაგიდაზე თითები მშვიდად აათამაშა, — ეგ იყო და ეგ, სხვა რამეში ეგ ქალი არ დაგვხმარებია.

— სიონის ტაძარშიც იყოო, ამბობენ, — ვკითხე და გული უჩვეულოდ ამიფართხალდა. ღმერთმა ქნას და ამ შემთხვევაშიც იგორმა კარგი რამე თქვას რაისაზე-მეთქი, ვიფიქრე.

— თუ ეგ გითხრეს, იმასაც გეტყოდნენ, სიკვდილის მუქარით რომ აიძულეს ეგ ქალი.

გულზე მომეშვა.

— თუ მართლა ასე იყო, სტასს და ტამანოვს ემახსოვრებათ.

— თუ დაავიწყდათ, მე გავახსენებ! — მუქარის კილოთი ჩაილაპარაკა და მოიღრუბლა.

— პეტრო ჩვენით ცხოვრობდა, მაგრამ როცა ბიჭები საქმეზე დაუძახებდნენ, გაძვრომას ცდილობდა. ბოლო ხანებში სვერდლოვსკში სასტუმროს ერთ თანამშრომელ ქალთან ინტიმური კავშირი გააბა. ერთ დღეს, თავის საყვარელთან, ნაბახუსევმა ყველაფერი დაროშა თურმე. კიდევ კარგი, რომ ეს ქალი ენადაცული გამოდგა, თორემ... ჩვენ ის კუთხე სამუდამოდ დავტოვეთ, ხოლო პეტრო, კიდევ სხვაგან რომ არაფერი ეთქვა, ბიჭებმა...

— გასაგებია, — ვუპასუხე და როცა იგორს შუბლი გაეხსნა, ვკითხე, — თუ გახსოვთ, სტასი და ტამანოვი რომ არ გათამამებულიყვნენო, რომ მითხარით...

— დიახ, დიახ, — არ დამაცალა მეთქვა სათქმელი, — მე ისე, თქვენი ცნობისმოყვარეობისათვის... არა ოქმში შესატანად. უნდა გამოგიტყდეთ, მის შემდეგ, რაც ჩემი ვარვარასი და ლუსანას მკვლელები ჩემი ხელით დავხოცე, სისხლს გავურბოდი. სტასსა და საიდოვსაც ყოველთვის ამას ჩავჩიჩინებდი. მართალი მოგახსენოთ, პეტროსი მაგრად დატუქსვა მინდოდა და არა მოკვლა... ამათ კი ადამიანის სიცოცხლე ჩალის ფასად გახადეს. რა საჭირო იყო კანტაკუზენის მოკვლა?! „განთიადის დედოფალს“ წავართმევდი და ამით გათავდებოდა. არც ის საცოდავი ამოიღებდა ამაზე ხმას და შეიძლება დღეს ჩვენც თავისუფალი ვყოფილიყავით. — ჩაფიქრდა ცოტა ხნით, მერე ისე წამოიძახა, თითქოს ეშინია არ დაავიწყდესო, — როცა პეტროს ცხედართან მიმიყვანეს, გონება ამემღვრა, ეჰ, ეს ხალხი სვავებს დაემსგავსნენო, მითხრა გულმა და ორთავეს იქვე დახოცვა ვიფიქრე, მაგრამ „განთიადის დედოფალს“ ვინ გვაპოვნინებსო, ჩამჩურჩულა იმავე გულმა და თავი შევიკავე.

—„ განთიადის დედოფალი“! ეს განძი საზღვარგარეთ უნდა გაგეტანათ და...

— არა, არა, — თითქოს საზღვარგარეთის ხსენებამ შეაკრთოო, — რატომ საზღვარგარეთ, ლუსანა ხომ ლენინგრადში მყავდა, ლუსანა ჩემი სიხარული! — ჯერ თვალები დახარა, მერე თავი ჩაქინდრა, ტუჩზე მწარედ იკბინა და ისე ამოიხრა, თითქოს გულიც თან ამოტანაო.

სიჩუმე მე დავარღვიე:

— სიონის ტაძრისა და კიევო-პეჩორსკაია ლავრის შესახებ მინდა გკითხოთ. თუ გახსოვთ...

— კიევის ამბავიც მოუხსენებიათ! — თავი ასწია, გესლიანად გაიღიმა და მშვიდად განაგრძო, — ვიღაც ჩვენი კაცია ის, ვინც ანგარიში ასე დაწვრილებით ჩაგაბარათ და ეს კაცი უთუოდ გეტყოდათ, რომ მე ამ საქმეების ბევრი არაფერი ვიცოდი, ამაზე სტასსა და საიდოვს ჰკითხეთ.

— თქვენთვის არ უთქვამთ თუ რაში დაგვჭირდაო უძველესი ხატები?

— რა მოგახსენოთ. ერთხელ ყური მოვკარი, ვიღაც უცხოელი დიდ თანხას გვპირდებაო.

— თქვენ არ გინახავთ ის უცხოელი?

— ვნახე და სწორედ იმ ღამით ჩვენ ბიჭებთან ისიც მოჰკლეს კიევში.

ვიღაც უცხოელი!

სიონის ტაძრის გაძარცვის პირველი დღე... მთავრობის სასახლე.., თავმჯდომარე... სიტყვები მისი, ვიღაც უცხოელზე, რომელიც საბჭოთა საქართველოში ერის კულტურის ძეგლების შესყიდვაზე ოცნებობდა.

— ძიებას თქვენი სხვა თანამოსაქმენიც აინტერესებს.

— რასაკვირველია, მაგრამ ისინი დღეს ცოცხლები აღარ არიან, კიევის ოპერაციამ შეიწირა.

— იქიდან ხომ ორი კაცი გაიქცა?

— არ დაიჯეროთ, გაიქცა ერთი და ის ერთი მე ვიყავი, — წამოდგა, ჭიქიდან წყალი მოსვა. — დავიღალე, უნდა წავიდე. დაღლაც რომ არ იყოს, მეტი ჩემთან არაფერი გაქვთ სალაპარაკო.

— არაფერი?!

— დიახ, გამომიძახეთ იმ შემთხვევაში, თუ სტასისა და საიდოვის გულწრფელობაში ეჭვი შეგეპარებათ, — ნახევრად შებრუნდა, წასვლა დააპირა.

— არა, მე კიდევ მაქვს თქვენთან სალაპარაკო.

გაიკვირვა, თვალები მოჭუტა, ირიბად გადმომხედა

— სალაპარაკო!

— დაჯექით, სულ ცოტა რამ და მერე ერთ ხანს არ შეგაწუხებ.

უსიტყვოდ დაჯდა. თითქოს გამგონად მომაჩერდა, მაგრამ ამ დამჯერობაში ოდნავი ირონიის გარდა უტიფრობაც იგრძნობოდა.

— თქვენ თქვით, რა საჭირო იყო კანტაკუზენის მოკვლაო, ჩვენც სწორედ ეგ გვაინტერესებს, — რა საჭირო იყო ამ ქალის მოკვლა, ანდა სად და რად მიჰყავდათ ის სამხედრო გზით, ასე ქურდულად სტასსა და საიდოვს?

იგორი ერთ ხანს უსიტყვოდ დასცქეროდა სამელნეს, მერე უტიფრად შემომხედა.

— როგორც მოგახსენეთ, ამ ორმა ბოშამ გამოარკვია, რომ დიდი მთავრის, ნიკოლაი ნიკოლაევიჩის ადიუტანტის კანტაკუზენის ქვრივი თავისი ქალიშვილით თბილისში ცხოვრობდა. საიდოვმა ეს ქალიშვილი გაიცნო, თავი შეაყვარა, ოჯახიდან განძეულობა წამოაღებია და მერე, ჭირვეული მოხუცი დედის წინაშე თავი რომ გაემართლებინა, მოტაცების გათამაშება უნდოდა. ამიტომ იყო, რომ ქალი ქალაქიდან ფარულად გასვლაზე დათანხმდა. სტასმა კი კვალი რომ დაეფარა, კანტაკუზენი...

— გასაგებია, — სიტყვა გავაწყვეტინე და ერთი ხნის სიჩუმის შემდეგ განვაგრძე, — თქვენი ჩვენების დასასრულს ბავშვის გატაცებაზე სწერთ, მაგრამ არაფერს ამბობთ თუ რა ბედი ეწია ამ გოგონას.

აილეწა. ლუსანას ხსენება ესიამოვნა, მაგრამ ამავე დროს რატომღაც შეიშმუშნა. თითქოს არ იცის რა თქვას, საიდან დაიწყოს. მერე მძიმედ ამოიოხრა, მკერდი მოისრისა, — დიახ, დიახო ჩაილაპარაკა და ნაძალადევად გაღიმებულმა თვალი თვალში გამიყარა:

— მართალია, ჩემი ლუსანას შესახებ არაფერი დამიწერია, — წამით ჩაფიქრდა და მერე ჩავარდნილი ხმით განაგრძო,— გადაწყვეტილი მქონდა იმედად შემორჩენილ ადამიანზე ყველაფერი მართალი მელაპარაკა, მართალი, რადგან აშკარაა, რომ ამიერიდან ლუსანათი გახარება არ მიწერია... მაგრამ გამიჭირდა...

— ახლა, ამას თქვენთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

— მეც ასე მგონია. ჩემთვის რომ არ დაღამებულიყო... რომ შემეძლოს სიცოცხლის თავიდან დაწყება... — ოდნავ დანამული თვალები ამარიდა, — დიახ, მე ის თბილისიდან ლენინგრადს ჩავიყვანე. იქ, ერთი პიანისტი ებრაელი ქალის ოჯახი მეგულებოდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს ქალი — რიმა ბერლინი ჩემს პატარას არაფერს მოაკლებდა. ამ კეთილშობილმა ქალმა ბავშვზე საოცრად იმოქმედა, რაღაც ხუთ-ექვს თვეში თავისი საკუთარი სახელი იაც კი გადაავიწყა.

— ახლა სად არის ია?

— ლენინგრადში, რიმა ბერლინის ოჯახში. ჩემი ლუსანა პიანინოზე გადასარევად უკრავს, საოცრად მღერის. მომჯადოებელი სახისა და ტანადობის გოგონაა. თხუთმეტი წლისა ცხრამეტი-ოცი წლის ქალიშვილი გეგონებათ.—იგორს თვალებში სიხარულისა და აღტაცების შუქი ჩაუდგა. წელში თამამად გაიმართა. ვარდების თაიგულში თავჩარგულივით სუნთქავდა და იღიმებოდა. ისე ჩამცქეროდა, თითქოს თავისი დიდი სიხარული მეც უნდა მიწილადოსო.

* * *

პირტახია იმ დღესვე ლენინგრადს გაფრინდა.

არქივში დაძებნილი ია ქურხულის დაკარგვის საქმეში ყველაფერი ისე ეწერა, როგორც ტამანოვი ამბობდა.

ლადო ქურხული და მისი მეუღლე თამარი გამოვიძახეთ.

დავკითხეთ.

მეოთხე დღეს დეპეშაც მოვიდა. პირტახიასთან ერთად ბერლინის ქალი და ლუსანა მოფრინავდნენ.

დღის ორ საათზე მე და უფროსი აეროდრომზე ვიყავით. მალე თვითმფრინავიც გამოჩნდა.

წელში ამაყად გამართული ვიდექი. ადამიანი ხელმეორედ იბადებოდა. მახარებდა, ქურხულების გაბედნიერებაში დიდი წვლილი მეც რომ მედო.

ია დამფრთხალი შველივით ზვერავდა გარემოს. უკან პირტახია და ხანში შესული მანდილოსანი მოჰყვებოდნენ. შავგვრემან ტანწერწეტა ქალიშვილს საოცრად უხდებოდა ცერისოდენა ოქროს საყურეები. დიახ, ეს მწყაზარი ქალიშვილი, ია იყო.

— იცნობდეთ, იგორის მეგობრები არიან, — უთხრა მათ პირტახიამ და ხელი ჩვენსკენ გაიშვირა.

— როგორ არის მამა? ხომ ცოცხალია? — შეძრწუნებულმა იამ გიშერივით შავი თვალები უფროსს მიაშტერა, გაილურსა.

— ახლა უკეთ არის, არაფერია საშიში, თქვენი ნახვა მოუნდა და... კარგია რომ ჩამოხვედით, — უფროსი წინ გაგვიძღვა, იას ხელი მკლავში გაუყარა, გაიყოლია.

სანამ „კადელაკში“ არ მოვთავსდით, ბერლინის ქალს ხმა არ ამოუღია. მანქანა დაიძრა და მადლობა ღმერთს, იგორი კარგად ყოფილაო, ჩაილაპარაკა, თვალები დახუჭა, ფიქრს მიეცა.

ერთი შეხედვით შეატყობდა კაცი, რომ ამ ხანდაზმულმა ქალმა კარგად იცოდა, პირტახია ლენინგრადს ავადმყოფი იგორის სიამოვნებისათვის არ ჩაფრენილა. მან არც ჩვენ მიგვამსგავსა მის მეგობრებს და „კადელაკის“ ნახვაც არ ესიამოვნა.

უფროსმა მძღოლს უბრძანა სასტუმრო „პალასში“ წაგვიყვანეო.

* * *

განყოფილებაში ქურხულები დაგვიხვდნენ. უფროსმა თავის კაბინეტში შეიპატიჟა ისინი. აფორიაქებულ ცოლ-ქმარს ეოხუნჯა ერთ ხანს, მერე, ლენინგრადიდან იმ გოგონას სიტყვიერი პორტრეტი გამომიგზავნეს, — თქვა და თამარს ისეთი თვალით გადახედა, თითქოს ეუბნებოდა, ნუ ღელავთ, ყველაფერი რიგზე იქნებაო.

— მერე? — იკითხა თეიმურაზმა ჩავარდნილი ხმით.

— შავგვრემანი, შავთვალწარბა და რაც მთავარია, შავ თმაში თმის თეთრი ვიწრო ზოლი ჩასდევსო...

— ის არის, ის! — შეჰკივლა თამარმა და გაფითრებული ზეზე წამოიჭრა; ცოტა ხანს იდგა გაოგნებულივით, მერე მუხლები მოეკეცა.

ტახტზე წამოვაწვინეთ. ექიმი იხმეს. მოასულიერეს. წამოჯდა, უაზროდ გაიღიმა, ლაწვებზე ცრემლები ჩამოუგორდა.

— დღესვე უნდა წავიდეთ ლენინგრადს, რა გამაჩერებს, რა მომასვენებს,— ქმარს შეხედა, მერე უფროსს მიუბრუნდა, — მაპატიეთ, მაგრამ რა ვქნა, დედა ვარ, დედა.

თეიმურაზიც გაფითრებული იდგა, ხან ცოლს შესცქეროდა, ხან უფროსს, არ იცოდა როგორ მოქცეულიყო, რა ეთქვა.

— გამგზავრება საჭირო არ არის, იმ გოგონას დღეს ჩამოიყვანენ ლენინგრადიდან... და თუ მართლა იაა... — თეიმურაზს სახე გაუბრწყინდა, რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ვერ გაბედა, იქნებ ამ კაცმა კიდევ რამე საიმედო თქვასო, იფიქრა ალბათ.

— დღეს?! — თამარი წამოიწია, მაგრამ უფროსმა მხარზე ხელი სათუთად დაადო, იჯექითო, უთხრა და მე მომიბრუნდა — რომელ საათზე მოელით სტუმრებს? — გამიღიმა, თვალი ჩამიკრა. საათს დავხედე, ოთხს ათი წუთი აკლდა, — შვიდ საათზე აქ უნდა იყვნენმეთქი, ვუპასუხე.

— დიახ, შვიდ საათზე, — ახლა ის თამარს მიუბრუნდა, — თუ მართლა თქვენი ქალიშვილია, ის თუ ვერა, თქვენ მაინც იცნობთ და...

— ისიც მიცნობს, ისიც. ასმა წელმა რომ გაიაროს, მაინც მიცნობს. — ზეზე წამოიჭრა, აკანკალებული ხელით კაბის ღილები შეიხსნა, გულისპირი მოურიდებლად გადაიწია, მარცხენა მხარეზე ლავიწიდან დიდ კუნთამდე ვაზის ფოთლისოდენა ხალი გამოაჩინა,—ჩემი ია, სანამ ამ ხალს არ დამიკოცნიდა, არ დაიძინებდა, ძალზე მოსწონდა ეს ჩემი სიმახინჯე... ამას ის ყვავილს ეძახდა, მეც მინდა ასეთი ყვავილი მკერდზეო, ხვეწნით მეტყოდა ხშირად. ყველაფერი რომ დავიწყებოდა, ეს მაინც არ დაავიწყდებოდა ჩემ გოგონას.

* * *

ჩვენი მანქანა ჩაიკოვსკის ქუჩაზე ერთსართულიან კოხტა სახლის წინ გაჩერდა.

მანქანიდან გადმოსვლა უფროსმა მოასწრო. მერე ბერლინის ქალი გადმოვიდა. უხმოდ ჩამავალ შეცბუნებულ გოგონას მე ჩავყევი.

უფროსს მოესწრო იას თანამგზავრისთვის ეამბნა ყველაფერი. იამ არაფერი იცოდა, მაგრამ გული უგრძნობდა რაღაც უჩვეულო ამბის მონაწილე რომ იყო.

ქურხულების სახლის სადარბაზო შესავალი სანდომიანი სახის ქალმა გაგვიღო. იას მიშტერებულს, თითქოს ენა ჩაუვარდაო. ხმაამოუღებლად დადგა სულგანაბული. ვიღაც თეთრწვერა მოხუცი გამოგვეგება, დარბაზში შეგვეპატიჟა, პალტოები ისე ჩამოგვართვა და საკიდარზე ისე ჩამოკიდა, რომ იასათვის თვალი არ მოუშორებია

იამ ზღურბლს გადაალაჯა, შედგა, ირგვ შეავლო თვალი ჭერს, კედლებს, იატაკს

# საინტერესო თემაზე



ამას წინათ ერთ-ერთმა ამერიკულმა ჟურნალმა გადაწყვიტა გაერკვია, თუ ვინ არის ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველაზე მდიდარი ადამიანი.

საქმე ეხებოდა ამა თუ იმ პიროვნების პირად სიმდიდრეს და არა მისი კონტროლის ქვეშ საერთო კაპიტალს.

გამოირკვა, რომ ამერიკაში ყველაზე მდიდარია ვინმე პოლ გეტი, რომლის პირადი კაპიტალი ერთ მილიარდ დოლარამდე აღწევს.

პოლ გეტის სიმდიდრე შედეგია საგვარეულო დინასტიის ხელსაყრელი ქორწინებებისა და იმ მემკვიდრეობის, რომელიც მან სხვადასხვა წყაროებიდან მიიღო.

გეტი არ ფიქრობს ხელი მოჰკიდოს რაიმე საქმეს. იგი მხოლოდ იოლად ნაშოვნი მილიონების დახარჯვით არის „დაკავებული“. გარდა ამისა, მის საყვარელ გართობას წარმოადგენს ხშირი განქორწინებები და ახალი საცოლის ძებნა.

გეტს წარმოდგენაც არა აქვს იმის შესახებ, თუ რის ხარჯზე იღებს იგი ზღაპრულ შემოსავალს. უზრუნველმა მილიარდერმა ხეირიანად არც კი იცის, რომ მას ეკუთვნის ნავთობის 50-ზე მეტი კომპანია, ტანკერების დიდი ფლოტი, რამდენიმე სადაზღვევო კომპანია...

ამას წინათ ამერიკულმა პრესამ გამოაცხადა, რომ გეტიმ ინგლისში იყიდა სასახლე. ჟურნალისტებთან საუბარში გეტიმ განაცხადა, რომ საუკეთესო სასტუმროებში ცხოვრება მეტად ძვირი უჯდება და „ეკონომიისათვის“ იძულებული გახდა ასეთი ნაბიჯი გადაედგა.

თავისი ახალი სურვილის შესრულება გეტის მილიონ-ნახევარი დოლარი დაუჯდა. სასახლეში არის 20-მდე საძინებელი ოთახი, აბაზანის 16 ოთახი, დიდი საცეკვაო დარბაზი, საცურაო აუზი, პარკი და ვინ იცის კიდევ რა.

ჟურნალისტებმა გამოიანგარიშეს, რომ გეტის ქონება დაახლოებით 350 ათასი ამერიკელი მუშის წლიურ შემოსავალს უდრის...

პოლ გეტის ახალი ნაყიდი ჰქონდა სასახლე, როცა გაზეთმა „ნიუ-იორკ პოსტმა“ გამოაქვეყნა ერთ-ერთი მკითხველის წერილი, რომელშიც იგი წერს:

„ერთ დღეს კარზე მომიკაკუნა ორმა ბავშვმა და მთხოვეს რაიმე საჭმელი მიმეცა მათთვის. როგორც გამოირკვა, ბავშვები მეტად მშივრები იყვნენ, მათ დედას კი მხოლოდ 40 ცენტიღა დარჩა შვილების გამოსაკვებად“.

პოლ გეტის მილიონები და 40 ცენტი შიმშილით მისუსტებული ბავშვების საარსებოდ!.. აი, ასეთია თანამედროვე ამერიკის მკაცრი და შემზარავი სინამდვილე.

პოლონელი არქეოლოგები ქალაქ ბიგდოშის მახლობლად წააწყდნენ... საუკეთესოდ მოწყობილ ყალბი ფულის საჭრელ სახელოსნოს. იშვიათი „არქეოლოგიური“ აღმოჩენით დაინტერესებულმა



სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ამ სახელოსნოში 300 წლის წინათ ჭრიდნენ ყალბ ფულს.

* * *



ჟურნალმა „ავიაცია ი კოსმონავტიკამ“ რედაქციასთან შექმნა გაერთიანება, რომელშიც შედიან „კოსმიურ თემებზე“ მომუშავე მწერლები და ჟურნალისტები.

საბჭოთა სწავლულმა ბ. ტიმოფეევმა უკრაინის ტერიტორიაზე 70 წლის წინათ ჩამოვარდნილ მეტეორიტზე ორგანული წარმოშობის მიკროსკოპიული ნარჩენები აღმოაჩინა.



* * *

მევენახეობა-მეღვინეობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „მაწარაჩის“ სელექციონერებმა გამოიყვანეს ახალი ჯიშის ყურძენი, რომლის მარცვლები ქლიავზე მსხვილია. ეს საოცარი ჯიშის ვაზი საცდელი ნაკვეთიდან მალე გადაინაცვლებს ზვრებში

* * *



ლენინგრადელი სპეციალისტები ამჟამად ამუშავებენ ჩვენი ქვეყნის ქაღალდ-ცელულოზის კომბინატების გენერალური რეკონსტრუქციის პროექტს. ამ რეკონსტრუქციის შემდეგ ქაღალდისა და ცელულოზის წარმოება ოთხჯერ გაიზრდება.



* * *

მოსკოვში გაიხსნა სახალხო ფილარმონია, რომლის მსახიობები მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივთა სოლისტები არიან.

* * *



ინგლისურმა ფირმამ „საიმექსმა“ გამოუშვა ახალი ტიპის მტვერსასრუტები, რომლებიც მიკრობებს სპობენ. ასეთი მტვერსასრუტები განსაკუთრებით დიდ გამოყენებას პოვებს ჰოსპიტლებში.

### სიყვარულის ძალა

ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდის „ტავისტოკ“ ცენტრალურმა თავდამსხმელმა „პასტოსის“ კლუბის ფეხბურთელებთან თამაშის დროს ხუთი ბურთი გაიტანა მოწინააღმდეგის კარში.

აღფრთოვანებულმა გულშემატკივრებმა ფინალური სასტვენის შემდეგ ხელში აიტაცეს მატჩის გმირი და ისე დაუწყეს კოცნა, რომ ფეხბურთელი შემდეგ საავადმყოფოში გააგზავნეს დაზიანებული ყბების სამკურნალოდ.

## სპორტული ნახევარი

### 472 „ვარსკვლავი“

ყველაზე მეტი ფეხბურთელი (472) არგენტინამ „გაჰყიდა“.

იმ 17 ქვეყანას შორის, რომლებშიც არგენტინული ფეხბურთის „ვარსკვლავები“ გადავიდნენ, პირველი ადგილი იტალიას უკავია.

იტალიაში სხვადასხვა დროს თამაშობდა 102 არგენტინელი ფეხბურთელი, კოლუმბიაში 70, ბრაზილიაში 58, მექსიკაში 44, ჩილეში 39, საფრანგეთში 26, ესპანეთში კი 28 ფეხბურთელი.

# სხვადასხვა

და მერე ისე გადმოგვხედა, თითქოს აქ რად მომიყვანეთო გვეკითხებოდა

კედელზე თავის ბავშვობის სურათს დაადგა თვალი და დაჟინებით უცქირა ერთ ხანს. ბავშვს ხელში ყვავილების თაიგული ეჭირა და გულიანად იცინოდა.

ია ჩაფიქრდა. ღიმილი წამოეპარა. ვატყობდი, რომ ეს გარემო, რაღაც ნაცნობს, გაგონილს თუ სიზმარში მოლანდებულს აგონებდა. მაგრამ ეს წამით, მერე შუბლი შეიკრა, სავარძელთან ფეხაკრეფით მივიდა, დაჯდა, იატაკს დააშტერდა, წარბები შეყარა. ცოტა ხანი და ბერლინის ქალს, რომელიც მის გვერდით იჯდა და უაზრო გამომეტყველებით ფანჯარას შეჰყურებდა, მრავალმნიშვნელოვნად გადახედა.

თეიმურაზმა დარბაზში ფეხი ფრთხილად შემოდგა. იას დანახვას ერიდებოდა, ვაითუ ის არ არის და მერე... მერე რა მეშველებაო, — მეტყველებდნენ მისი შიშჩამდგარი თვალები.

კარებში თამარი გამოჩნდა. მიიხედ-მოიხედა. ია დაინახა. კარის სახელურს ისე ჩაეჭიდა, თითქოს მუხლებმა უმტყუნესო. როგორც იყო თავი შეიკავა, გაირინდა. ფართოდ გახელილი თვალებით დააშტერდა გოგონას. იასაც მონუსხულივით დაება მშობელზე მზერა, ისე წამოიწია, თითქოს ძალით ეწევაო ვიღაც. დედის ბაგეებს ჯერ გაცრეცილი ღიმილი წამოეპარა, მერე ანაზდეულად, — ია, შვილო, იკივლა და დაბნეული პირმშო ისე ჩაიკრა გულში თითქოს ეშინია არავინ წამართვასო.

— ია, შვილო! — ეს ორი სიტყვა გაოცებით წარმოსთქვა გოგონამ. თამარს ხელიდან გაუსხლტა, შველივით კისერმოღერილმა კედელზე ისევ თავის პორტრეტს დაადგა თვალი და სულგაკმენდილმა ისე უცქირა ერთ ხანს, თითქოს ამ სურათიდან რაღაც ძნელად მისახვედრი იდუმალება ამოიკითხაო.

— ია ხარ, შვილო, ია... — პირმშოსაკენ ბარბაცით გაიწია თამარმა. ახლოს მივიდა, შედგა, წამით ჩაფიქრდა და მერე მომაკვდავივით ამოიგმინა, უღონო ხელით, როგორც იყო, მკერდზე გულისპირი ჩამოიფხრიწა, ძალ-ღონე მოიკრიფა, — აჰა, შეხედე, დედა ვარ შენიო, — იკივლა და ჯვარზეგაკრულივით ხელებგაშლილმა თვალები დახუჭა, ცრემლები გადმოყარა.

იამ დედის მკერდზე ფოთლის ვარდისფერ გამოსახულებას შეხედა და ცუდი სიზმრიდან გამორკვეულივით გააჟრჟოლა — დედა, დედილო — აღმოხდა ძახილი და მშობლის წინ მუხლებზე დავარდა.

ლადო იდგა უძრავად.

ბერლინის ქალს სახეზე კმაყოფილება ეფინა.

უფროსს თვალებში სიხარულის ცრემლები უბრწყინავდა.

### ეპილოგი

ხელოვნების დიდებული ნიმუში, ღვთისმშობლის სავანელიანთ ხატი სიონის ტაძარში, ბოძზე, უშიშრად ჰკიდია.

• • •

„განთიადის დედოფალი“ — ეს ძვირფასი თვალი, ამიერიდან ერთი კაცის საკუთრებად აღარ იციალებს, არც დაშნის ვადაზე აენთება კელეპტარივით. მისი მიზეზით ადამიანის წვეთი სისხლიც არ დაიღვრება.

ეს ლამაზი ქვა, როგორც პატიოსან თვალთა შორის ულამაზესი, მრავალი საუკუნის განმავლობაში იციმციმებს შთამომავალთა თვალსაამოდ.

• • •

ქმარშვილიანი, ორმოცი წლის თვალადი ია ქურხული?

განვლილ დღეთა მოსაგონებლად სახელად ისევ ლუსანა ქვია და ცერისოდენა ოქროს საყურეს აღარ იშორებს.

• • •

რაისა? უქვს ათეულ წელს მის სახეზე სილამაზე დაუჩრდილავს, მაგრამ წელში თამამად გამართული, თავისი ბედით კმაყოფილია.

• • •

იგორ ტამანოვი? — ის, ამ ქვეყანას სამარცხვინოდ გაექცა. როცა „მისმა ლუსანამ“ მშობლები იპოვა, იმავ საღამოს საკანში სიცოცხლე მოისწრაფა.



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

# „ძია ჟორჟი"



ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. მანჯგალაძე, დ. ქავთარაძე

## ახალგაზრდა «გასტროლიორი»

ამბავი უბრალო შემთხვევით დაიწყო.

მარტის მიწურულს თბილისის ერთ-ერთი საკოლმეურნეო ბაზრის კუთხეში ატუზული საშუალო ტანის, თხელ-თხელი ახალგაზრდა გამვლელებს მამაკაცის კოსტუმს სთავაზობდა. ახალგაზრდა ნერვიულობდა, თვალებს აცეცებდა და მყიდველებს დაბალი ხმით უხმობდა.

— რა ღირს კოსტუმი? — იკითხა ერთმა.

— ნახე, სულ ახალია, მაგრამ ას მანეთზეც ყაბულს ვიქნები, — ხელში შეათამაშა საქონელი ახალგაზრდამ.

— ათ მანეთს არ იკმარებ? — ირონიულად ჩაიცინა მყიდველმა.

ახალგაზრდამ თავი ასწია. გულმა რეჩხი უყო — მის წინ სამნი იდგნენ, თვალი ჰიშკრისაკენ გაექცა, მაგრამ მიხვდა, ველარაფერს გახდებოდა და ისევ თავის მოკატუნება არჩია. ცალყბად გაიღიმა.

— კარგ ხალხზე მუქთადაც ალალია...

— გეყოფა ლაყბობა! ფუთა გახსენი!..

ფუთაში ქალის კაბები, ოქროს საათი და სხვა ძვირფასი ნივთები იყო გამოკრული.

ახალგაზრდა დააკავეს.

იგი ვინმე ალექსანდრე (ალეკო) დავითის ძე ჭუმბურიძე აღმოჩნდა. ა. წ. 7 მარტს ბათუმში, გორკის ქ. № 2-ში ბინა გაექურდა და ნაქურდალი თბილისში წამოეღო გასაყიდად. ა. ჭუმბურიძე ბათუმში გაგზავნეს. იქ მან დანაშაული აღიარა. დაზარალებულმა ვ. კობიძემ თავისი ტანსაცმელი და ნივთები ამოიცნო.

თითქოს ყველაფერი ნათელი იყო და საქმეც ამით უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ თბილისის მილიციის სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსი პოლკოვნიკი ს. მამულოვი და ქვეგანყოფილების უფროსი კაპიტანი შ. პოდაროვი მაინც აყოვნებდნენ ძიების დამთავრებას.

ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ 20 წლის ახალგაზრდას ასე გაბედულად და პროფესიონალის ნაცადი ხერხებით მოეხდინა ბინის გატეხვა და ისიც დღისით-მზისით. აქ უეჭველად ვიღაცის გამოცდილი ხელიც ერია. ამ ეჭვს ის გარემოებაც აძლიერებდა, რომ უკანასკნელ ხანებში ზუსტად იმავე ხერხებით, დღის საათებში ზედიზედ რამდენიმე ბინა იქნა გატეხილი თბილისშიც.

ხომ არ არსებობდა რაიმე კავშირი ბათუმსა და თბილისში მომხდარ ქურდობებს შორის? ხომ არ შედიოდა ა. ჭუმბურიძე იმ ბოროტმოქმედთა ჯგუფში, რომელიც თბილისში სჩადიოდა დანაშაულს? ვინ იყო ამ ჯგუფის უფროსი?



დაკითხვაზე ა. ჭუმბურიძე იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ წარსულში მართლაც ჰქონდა კავშირი თბილისელ რეციდივისტთან, ვინმე „ძია ჟორჟთან", რომლის ნამდვილი ვინაობა და ბინის მისამართი მან არ იცოდა.

ა. ჭუმბურიძის ჩვენების გულდასმით გაანალიზებისა და „ძია ჟორჟის" გარეგნული ნიშნების აღწერის შედეგად, პოლკოვნიკი ს. მამულოვი და კაპიტანი შ. პოდაროვი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ „ძია ჟორჟი" ცნობილი რეციდივისტი ალექსანდრე (საშა) პოლიკარპეს ძე ჟორჟოლიანი უნდა ყოფილიყო.

უკანასკნელი სასჯელის მოხდის შემდეგ ა. ჟორჟოლიანი შაქრის საბითუმო ვაჭრობის თბილისის ბაზაში მუშაობდა ექსპედიტორად და, როგორც იცოდნენ, საკმაოდ უპრეტენზიო და წყნარი კაცის რეპუტაციით სარგებლობდა თანამშრომლებში.

მას შემდეგ, რაც ა. ჭუმბურიძემ ფოტოსურათებში თავისი „მასწავლებელი" ამოიცნო, მილიციის ოპერატიულმა მუშაკმა მკაცრი კონტროლის ქვეშ აიყვანეს ა. ჟორჟოლიანი. შენიღბული რეციდივისტის მხილება ნათელს მოფენდა ამ ბნელსა და ჩახლართულ საქმეს.

## ექსპედიტორი მიდის «სამუშაოზე»

დღე დღეს მისდევდა. მეთვალყურეობას არავითარი შედეგი არ მოჰქონდა. ა. ჟორჟოლიანი მუდამ დანიშნულ დროს გამოდიოდა ბაზიდან და თბილისის სასურსათო მაღაზიებში შეუფერხებლად ანაწილებდა შაქარსა და შაქრის ფხვნილს. საღამოს საათებს იგი უმეტეს შემთხვევაში ოჯახში ატარებდა, ხანდახან კინოში მიდიოდა, ან სუფთა ჰაერზე სეირნობაში კლავდა დროს.

მაგრამ მილიციის მუშაკები ერთმა უცნაურმა გარემოებამ დააეჭვა.

მათ შეამჩნიეს, რომ ბაზიდან გამოსული შაქრით დატვირთული მანქანა უჩვეულოდ ნელა, საათში თითქმის 5 კილომეტრის სიჩქარით მოძრაობდა, მალიმალ უმიზეზოდ ჩერდებოდა და ისევ ტაატით განაგრძობდა სვლას. ამ დროს ა. ჟორჟოლიანი კაბინიდან გადმოდიოდა, ადიოდა გადახურულ ძარაში და რატომღაც დიდხანს რჩებოდა იქ. რას აკეთებდა ექსპედიტორი გადახურულ ძარაში? რატომ მიდიოდა მანქანა ასე ნელა? მილიციის მუშაკებმა გადაწყვიტეს შეემოწმებინათ მაღაზიებში ჩამორიგებული შაქრის წონა. შემოწმებულ იქნა თბილვაჭრობის № 14 მაღაზია, რომელსაც ჟორჟოლიანმა ის-ის იყო მიაწოდა შაქრის ფხვნილი. ტომრებს 22 კილოგრამი ფხვნილი აკლდა. იგივე განმეორდა თბილვაჭრობის № 77 მაღაზიასა და № 18 პავილიონშიც, რომლებსაც ა. ჟორჟოლიანმა 60 კილოგრამი შაქარი დააკლო.

„უპრეტენზიო" ექსპედიტორი თავისი მაქინაციის განსახორციელებლად მეტად იოლ და ეშმაკურად მოფიქრებულ ხერხს იყენებდა — ძარაში ყოფნის დროს იგი მახათით ძენძავდა ტომრებს და თვითეულიდან 2-3 კილოგრამ შაქრის ფხვნილს იპარავდა. მაღაზიაში შაქრის ჩაბარებას იგი ხელუხლებელი ტომრებით იწყებდა. რამდენიმე სტანდარტული ტომრის აწონვის შემდეგ შაქრის მიმღების ნდობას იპოვებდა, მერე კი, დროს დაზოგვის მოტივით, აუწონავად აძლევდა მას ნაკლულ ტომრებს. ასეთი მეთოდით ა. ჟორჟოლიანი ყოველდღიურად სულ ცოტა 70-80 კილოგრამ შაქარს ითვისებდა. მალე ისიც ნათელი გახდა, რომ მოპარულ შაქრის ფხვნილს იგი თბილისის მარცხენა სანაპიროს თბილვაჭრობის № 13 მაღაზიის გამგის მოადგილის ბორის შოშიტაშვილის მეოხებით ჰყიდდა.

29 მარტს, იმ დღეს, როცა იგი ბ. შოშიტაშვილს 74 მანეთად 84 კილოგრამ უფაქტურო შაქრის ფხვნილს აძლევდა, „ძია ჟორჟი" დააპატიმრეს.

— საქმე უმნიშვნელოა, — დარბაისლური ღიმილით განუცხადა მან კაპიტან შ. პოდაროვს, — ბევრს არაფერს მომისჯიან, მაგრამ რაც მართალია მართალია თქვენც კარგად იმუშავეთ.

— მადლობა მომიხსენებია შექებისათვის, — დამცინავი ღიმილით შეათვალიერა ახალგაზრდა კაპიტანმა ჭაღარაშერეული რეციდივისტი, — კომედია დამთავრდა, ჟორჟ, დროა ახლა შენს სხვა საგმირო საქმეებზე გადავიდეთ!

## «ქორჭი» ბიოგრაფიას «იკეთებს»

ამ შუახნის კაცს, უკვე დიდი ხანია იცნობენ მილიციის საქალაქო სამმართველოს სამძებრო განყოფილების მუშაკები. იგი პირველად ოცდაერთი წლის წინათ დააპატიმრეს ქურდობისათვის. 1946 წელს ალექსანდრე ჟორჟოლიანი მეორედ წარსდგა სამსჯავროს წინაშე ბანდიტობისათვის. პატიმრობიდან ვადაზე ადრე განთავისუფლების შემდეგ „ჟორჟმა" ახალგაზრდებში დაიწყო „მუშაობა". მალე რამდენიმე გზასაცდენილი ჭაბუკი ჩაითრია „საქმეში", გაწვრთნა და მათგან ქურდების ჯგუფი ჩამოაყალიბა. რამდენიმე თვეში „ძია ჟორჟის" ბანდამ თხუთმეტამდე ბინა გაქურდა.

1957 წელს ერთ-ერთ „საქმეზე" ა. ჟორჟოლიანს მიუსწრეს და „აკადემიის წევრებთან" ერთად („ძია ჟორჟი" თავის ჯგუფს „აკადემიას" უწოდებდა) კვლავ ციხეში ჩააბრძანეს. სამი წლის შემდეგ ციხიდან გამოსული „ჟორჟი"



უფრო ფრთხილად და შენიღბულად იწყებს მოქმედებას. ჯერ სათითაოდ მიაკითხა თავის „ნამოწაფრებს", თვითეულს ცალ-ცალკე მოუშინჯა ნიადაგი, მაგრამ მისდა გასაოცრად ყველამ შორს დაიჭირა თავი. სასჯელის მოხდის შემდეგ ბიჭები მუშაობას შესდგომოდნენ. ზოგს სწავლა განეგრძო, ზოგი ოჯახსაც კი მოჰკიდებოდა. ცხვირწინ უჯახუნებდნენ კარებს.

მაშინ „ძია ჟორჟმა" გადაწყვიტა თვითონაც მოეკიდა ფეხი სადმე, სხვა არა იყოს რა, მასაც ჰქონდა ოჯახი, ჰყავდა ცოლი, ქალიშვილი. სამუშაო დიდხანს არ უძებნია. რაღაც საშუალებებით შაქრის საბითუმო ვაჭრობის თბილისის ბაზაში ექსპედიტორად მოეწყო და ხელის მოთბობას შეუდგა. ყოველდღიურად მოპარული შაქრიდან 60-70 მანეთ შემოსავალს იღებდა. მაგრამ ესეც არა ჰყოფნიდა. იოლი გამდიდრების სურვილით შეპყრობილ რეციდივისტს კვლავ სხვისი ბინებისაკენ ეჭირა თვალი, ავანჩავნებს ეძებდა. ვინმე ნ. ბასილაძემ „ძია ჟორჟს" თავისი დის მაზლი — ოციოდე წლის ახალგაზრდა ალეკო ჭუმბურიძე გააცნო.

ალეკო მალე მოექცა „ძია ჟორჟის" გავლენის ქვეშ და მისი ხელმძღვანელობით ის და ბასილაძე სწრაფად იწაფავდნენ ხელს ქურდობაში. დღისითმზისით, იმ საათებში, როცა ადამიანები გართულნი არიან შრომაში, ზედიზედ ტეხენ ბინებს. როგორც დადგინდა, ა. ჟორჟოლიანმა და მისმა თანამზრახველებმა 80-ზე მეტი ბინა გაქურდეს.

„ჟორჟი" გაიფურჩქნა. მისი „აკადემია" აღორძინების გზას ადგებოდა. მაგრამ რეციდივისტის ოცნება ნაადრევი გამოდგა. ა. ჭუმბურიძემ „აურია". დღითი დღე ძნელდებოდა მისი „საქმეში" ჩათრევა, ხან იმალებოდა, ხან თავს იავადმყოფებდა, ბოლოს სულ გაქრა თბილისიდან. ა. ჟორჟოლიანისაგან დაშინებული და ჩადენილი დანაშაულით შეშფოთებული ახალგაზრდა ბათუმში ჩავიდა, „ჟორჟისაგან" ნასწავლი „ხელობა" გაიხსენა და ვ. კობიძის ბინაში შეიპარა. ნაქურდალს მაინც ვერაფერი მოუხერხა. თბილისის ერთ-ერთ საკოლმეურნეო ბაზარში კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.

## «საქმეში» რომ ჩაიხედო...

მილიციის საქალაქო სამმართველოს მთავარ გამომძიებელს კაპიტან ს. გორდელაძეს, რომელსაც ეს საქმე შემდგომი ძიებისათვის გადაეცა, დიდი შრომა და ენერგიის დაძაბვა დასჭირდა „ჟორჟისა" და მისი ავანჩავანების მიერ ჩადენილი თვითეული დანაშაულის გამოსავლინებლად.

გამოცდილი ქურდი ალექსანდრე ჟორჟოლიანი გზებს ხლართავდა, დაძვრენას ლამობდა, თავს იკატუნებდა, მაგრამ მოწმეებთან დაპირისპირებისა და უტყუარი ფაქტების წაყენების შემდეგ გამოტყდა და თავი დამნაშავედ აღიარა.

ფურცლავ დანაშაულთა აღმნუსხველ ამ სქელ ტომს და აღშფოთებული პასუხს ვეღარ აძლევ საკუთარ ფიქრებს. რა დასამალავია, რომ ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობენ ვაჟბატონები, რომლებიც მთელ თავიანთ სიცოცხლეს უსარგებლო, პარაზიტულ ცხოვრებას ანდომებენ. აღმაშფოთებელია არა მარტო მათ მიერ ხალხის ოფლითა და შრომით მოპოვებული დოვლათის მითვისება, ჩვენი ადამიანების გაქურდვა და ქონების მიტაცება, არამედ ისიც, რომ ამ ნაძირალებს აქვთ ბაცილების დამახასიათებელი თვისება — დააავადონ სხვებიც, განსაკუთრებით უნებისყოფო, გზასაცდენილი ახალგაზრდები.

ა. ჟორჟოლიანი და მისი მსგავსნი ის დამპალი სხეულები არიან, რომლებიც ყველაფერს ხრწნიან და ალპობენ ირგვლივ, და რაც უფრო ადრე ამოიკვეთებიან ისინი ჩვენი საზოგადოების ჯანსაღი ორგანიზმიდან, რაც უფრო ადრე იქნებიან გაუვნებებული და იზოლირებული ჩვენი ადამიანებისაგან, მით უფრო თავისუფლად ამოისუნთქავს ხალხი, მით უფრო უხიფათო იქნება ჩვენი ახალგაზრდობის ცხოვრება.

მაგრამ კანონებს ზოგჯერ მეტად ფორმალურად ვუდგებით. ზოგჯერ გვავიწყდება, რომ ჩვენი საზოგადოება ბოროტმოქმედებს სჯის არა მარტო ცალკეული დანაშაულის ჩადენისათვის, არამედ მთელი მისი შეგნებული ცხოვრების, მთელი მისი წარსულის გათვალისწინებითაც. და ნაძირალას, რომელმაც მთელი სიცოცხლე სხვისი შრომისა და ოფლის მითვისებაში გაატარა, უფლება არ უნდა მიეცეს იქონიოს შემწყნარებლობისა და პატიების იმედი. სამწუხაროდ, ჩვენში ჯერ კიდევ არიან ისეთი ადამიანები, რომელთა გულგრილობა და საქმისადმი უგული დამოკიდებულება ამ იმედის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს. ამ შემთხვევაში, მხედველობაში გვაქვს შაქრის საბითუმო ვაჭრობის თბილისის ბაზის ხელმძღვანელობა, რომელმაც უკონტროლოდ მიანდო გამოუსწორებელ რეციდივისტს სახელმწიფო ქონება და ამით ნიადაგი მოუმზადა ახალი დანაშაულობების ჩადენას.

საყოველთაო გაკიცხვა, უმკაცრესი იზოლაცია საზოგადოების პარაზიტებსა და მუქთახორებს! — ასეთია ჩვენი დღევანდელი ცხოვრების მოთხოვნა.





## პედაგოგი დგება დაზგასთან

მზის ამოსვლას ფეხზე წამომდგარი ეგებება. სამუშაოდ წასვლამდე მოუსვენრად დაფუსფუსებს ეზოში.

ცოტა ხნის შემდეგ ოჯახის წევრებიც აიშლებიან და საქმეში გართულ გივის მერცხლის ჟღურტულივით ჩაესმის თავისი ფუნჩულა ქეთინოს ტიტინი.

საუზმის შემდეგ ბებიას საბავშვო ბაღისაკენ ცუნცულით მისდევს ვეებერთელა ბანტით დამშვენებული ქეთინო, ოჯახის დედა მუსიკალურ ტექნიკუმში მიიჩქარის, გივი კი პედაგოგიური ინსტიტუტისაკენ გაუყვება გზას.

მიდის ახალგაზრდა პედაგოგი, მიდის და მის გონებაში ტკბილ მოგონებად ცოცხლდება სტუდენტობის წლები, როცა იგი წიგნებითა და კონსპექტებით ხელში მიჰყვებოდა ამ ხეივანს.

მერე გულმოდგინე სწავლასა და შრომაში გაფრინდა დრო. გივი გურეშიძემ წარჩინების დიპლომით დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი და მოსკოვში გაემგზავრა საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების ერთწლიან ასპირანტურაში შესასვლელად.

მშობლიურ ქალაქში დაბრუნების შემდეგ გურეშიძე პედაგოგად მიიწვიეს თავის აღმზრდელ სასწავლებელში. აქ გივი გულმოდგინედ შეუდგა ახალგაზრდა კადრების აღზრდას.

პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად გივი დაძაბულად მუშაობს სადისერტაციო თემაზე, და მიუხედავად ამისა, მაინც ახერხებს თავისუფალი დროს გამონახვას საზოგადოებრივ დავალებათა შესასრულებლად.

გასული წლის ოქტომბერში ახალგზრდა პედაგოგი ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის ავტოქარხანაში გაგზავნეს პროპაგანდისტად. ქართული ავტომობილის შემქმნელებთან — შრომაში ნაწრთობ მუშებთან ტრიალმა ახალი სურვილები და მისწრაფებები გაუღვივა გივის.

ერთხელ, ფერადი ლითონების № 1 საამქროში ღია პარტიული კრება მოიწვიეს. კრებას გურეშიძეც დაესწრო. მუშები ლაპარაკობდნენ გეგმების შესრულებაზე, ნაკლზე, ჩამორჩენის ლიკვიდაციაზე, მიღწევებზე. გივი უსმენდა მათ და, თითქოს ჯერ უცნობი, მაგრამ საოცრად ახლობელი და მომხიბვლელი სამყარო გადაეშალათ თვალწინ, ნელნელა უნათდებოდა გონება. მიხვდა რაც აკლდა, რაც იწვევდა მასში დაუკმაყოფილებლობის გრძნობას და აღელდა. თვითონაც ითხოვა სიტყვა, ყველაზე მოკლე სიტყვა მთელ თავის პროპაგანდისტულ მოღვაწეობაში.

— მეგობრებო, გთხოვთ მიმიღოთ თქვენს კოლექტივში, დამრთეთ ნება კვირაში ერთხელ თქვენთან ერთად ვიმუშაო ჩარხზე.

და აი, ყოველ ოთხშაბათს დილით სპეცტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდა პედაგოგი სხვა მუშებთან ერთად დგება ჩარხთან. პირველ დღესვე ახალბედამ სამასზე მეტი დეტალი გაასუფთავა ფხაურებისაგან. მეორე ოთხშაბათს გაწმენდილი დეტალების რიცხვმა ხუთასს მიაღწია. ახლა გივი უკვე გეგმით გათვალისწინებულ 1000 დეტალს ასუფთავებს და, როგორც თვითონ ამბობს, მალე მოწინავეთა რიგებშიც ჩადგება.

თავისუფალ დროს მოიხელთებენ თუ არა, მუშები მაშინვე გივის გარშემო დასხდებიან და ყურადღებით უსმენენ. ახალგაზრდა პროპაგანდისტი ნათლად და ამომწურავად ესაუბრება მათ სხვადასხვა საინტერესო საკითხებზე, ანალიზს უკეთებს მათ საქმიანობას.

— საუკეთესო პედაგოგი, სამაგალითო პროპაგანდისტი, ქარხნის მოწინავე მუშა! — ასე ახასიათებს ყველა გივი გურეშიძეს. ეს ჭეშმარიტად საამაყო დახასიათება ახალგაზრდა პედაგოგის ნიჭსა და შესაძლებლობაზე, მის უნარსა და სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულზე მეტყველებს.

ო. რევია.



12

# ბუცების შემკეთებელი



ძია ვასო თბილისის „დინამოს“ სტადიონზე, ერთ პატარა ოთახში მუშაობს. მას იცნობს ყველა, ვისაც ერთხელ მაინც ჩაუცვამს ბუცი ფეხზე და გამოსულა მწვანე მოედანზე; სიყვარულით ელაპარაკებიან ტყავის ბურთის ცნობილი ოსტატები, აგრეთვე გულშემატკივართა სამყაროსათვის ჯერ კიდევ სრულიად უცნობი ყმაწვილები, რომლებიც სპორტული კარიერის პირველ ნაბიჯებს დგამენ.

„ძია ვასოს“ ეძახიან ფეხბურთელები სამოც წელს მიღწეულ ჭაღარა მოხუცს — ვასილ ბუზიაშვილს.

ძია ვასოს ნაკლებად როდი უყვარს ისინი. სიხარულით ეგებება ხოლმე ყველა მათგანს.

ძია ვასო ბუცებზე წვეტების („შიპების“) მიმაგრების უბადლო ოსტატია და აგერ ათი წელიწადია, რაც სიყვარულით ემსახურება ამ საქმეს.

წვეტების მიმაგრება უბრალო საქმე არაა. შესაძლოა ფეხბურთის ბევრმა გულშემატკივარმა არც კი იცის, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ფეხბურთელისათვის წვეტების წესრიგში მოყვანას. წვეტის სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს 19,2 მილიმეტრს, ხოლო დიამეტრი ნებისმიერ ჭრილში 12,2 მილიმეტრს. წვეტი, თამაშის დროს მოწინააღმდეგისათვის უსაფრთხო უნდა იყოს.

ყოველი მსაჯი თამაშის წინ განსაკუთრებული გულისხმიერებით ათვალიერებს ფეხბურთელთა ფორმას და ამოწმებს წვეტებს. ჯერ არც ერთ მსაჯს არ დაუწუნებია ძია ვასოს ნახელავი. მხოლოდ ერთხელ ინგლისელმა მსაჯმა ატკინა გული. ეს მოხდა შეფილდში, „ჰილსბოსის“ სტადიონზე. მაშინ თბილისის „დინამო“ ტურნეს ატარებდა შორეულ ინგლისში. მსაჯმა შეამოწმა თბილისელთა ბუცები და აუკრძალა მათ ასეთი წვეტებით მოედანზე გამოსვლა.

შეიძლება ეს იყო ნეილონის წვეტებიანი ბუცების იაფფასიანი რეკლამა. ნეილონის წვეტები იქვე შესთავაზეს ქართველ ფეხბურთელებს. მიუხედავად ნახევარსაათიანი პროტესტისა, თბილისელები საკუთარი ბუცებით გამოვიდნენ „ჰილსბოსის“ ტენიან მოედანზე.

როცა ინგლისიდან დაბრუნებულმა ქართველმა ფეხბურთელებმა ეს ინციდენტი ძია ვასოს უამბეს, მას გული დაწყდა, თუმცა თავის ნამუშევარში არც თვითონ შეპარვია ეჭვი და არც ფეხბურთელებს.

ძია ვასო ძალიან ბევრ რამეს ითვალისწინებს წვეტების მიმაგრებისას. მან იცის, რომ კარგად მიმაგრებული წვეტები ფეხბურთელს დიდად დაეხმარება ცრუ მოძრაობაში, გარღვევაზე გასვლასა და ადგილიდან სასტარტო სისწრაფის განვითარებისას. კარგად დამუშავებული წვეტების გარეშე წარმოუდგენელია ფეხბურთელმა ფრთიდან გარღვევაზე შესვლის დროს გააკეთოს კარგი ვირაჟი.

ვისაც ოდესმე თამაშის დაწყების წინ შეუნიშნავს სტადიონისაკენ მიმავალი თბილისის „დინამოს“ ავტობუსი, იგი მწვრთნელებთან და ფეხბურთელებთან ერთად აუცილებლად შენიშნავდა ჭაღარა მოხუცს. ეს მოხუცი ძია ვასოა.

ძია ვასო სტადიონზე ყოველთვის დაბალ, გრძელ სკამზე ზის სათადარიგო ფეხბურთელებთან ერთად და განსაკუთრებული მღელვარებით ადევნებს თვალყურს თამაშს.

დაე, ძია ვასოს ხელში გამოვლილმა ბუცებმა მეტი ბურთი გააგზავნონ მოწინააღმდეგის კარში, მეტი დიდება და სახელი მოუტანონ ქართულ ფეხბურთს.

ჭ. თამარაშვილი.





# კუბური ჩანახატები

მეოთხე წელია კუბელი ხალხი აშენებს ახალ, ნათელ და თავისუფალ ცხოვრებას. მამაცი, პატიოსანი, კეთილშობილი კუბელები, რომლებმაც ამერიკის იმპერიალიზმისა და ბატისტას დიქტატურის მძიმე უღელი გადაიგდეს, ერთსულოვნებით, მთელის გატაცებით აშენებენ სოციალიზმს.

ახალგაზრდა რესპუბლიკას ესაჭიროება კვალიფიციური კადრები სოფლის მეურნეობაში, მრეწველობაში, კულტურის სხვადასხვა დარგებში და აი, ერთი წლის წინათ თბომავალმა „საქართველომ“ ჩვენს ქვეყანაში ჩამოიყვანა კუბის რესპუბლიკის ათასი ახალგაზრდა. ამავე გემმა კუბაში ჩაიყვანა სამასი საბჭოთა სპეციალისტი. ახალგაზრდა კუბელთა წინაშე დაისახა ამოცანა — დაუფლებოდნენ ტრაქტორისა და კომბაინის მართვას, მანქანების რთულ მექანიზმს, შეესწავლათ რუსული ენა. საბჭოთა სპეციალისტები, რომლებიც კუბაში ჩავიდნენ, მეგობრებს ეხმარებოდნენ უფრო უკეთ გამოეყენებინათ მიწა, ხალხის სამსახურში ჩაეყენებინათ წიაღისეული, მოეწყოთ ნედლეულის უკეთ დამუშავება.

კუბელ ახალგაზრდათა ერთი ჯგუფი საქართველოშიც ჩამოვიდა. ერთი წელიწდი გაატარეს მათ აქ; ქართველი სპეციალისტების დახმარებით ისინი ეუფლებოდნენ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, მათ გამოყენებას მთაგორიან მიწაზე, სწავლობდნენ რუსულ და ქართულ ენებს, საბჭოთა ხალხის ცხოვრებას, ჩვენს ხელოვნებას, ჩვენს სიმღერებს. ქართველი სპეციალისტების ჯგუფი კუბაში ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა ჩვენი ქვეყნის სხვა წარგზავნილებთან ერთად.

სწავლა დამთავრდა... კუბელებმა თავი მოიყარეს მოსკოვში, სადაც მათ 2 ივლისს, კრემლის ყრილობათა უზარმაზარ დარბაზში დიდებული შეხვედრა მოუწყეს.

შეხვედრას დაესწრო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, რომელმაც მიტინგზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა.

კუბელი ახალგაზრდები სამშობლოში დაბრუნდნენ. ისინი არ დაივიწყებენ საბჭოთა ხალხს, მათ შორის ქართველ ხალხს, რომლებმაც თბილი გრძნობებით გააცილეს გმირი ხალხის შვილები.

ჩვენი რესპუბლიკის ბევრი წარმომადგენელი იყო კუბაში. ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის წარმომადგენლებმა თავის შემოქმედებაში ასახეს გმირი ხალხის ცხოვრება. გიორგი მდივნის პიესა „ტერეზას დაბადების დღე“, საბჭოთა კავშირის მრავალ თეატრში დაიდგა, მათ შორის მოსკოვის სტანისლავსკის სახელობისა და თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრებში. ბევრმა ქართველმა პოეტმა ნგზნებარე ლექსი უძღვნა კუბას.

კუბაში იმოგზაურა ცნობილმა ქართველმა მხატვარმა ნათელა იანქოშვილმა, რომელმაც ჩვენს მაყურებელს სიყვარულით ჩამოუტანა ვაჟკაცი ხალხის პათოსით სავსე ცხოვრებისა და ბრძოლის სურათები. ნ. იანქოშვილის ეს ნამუშევრები დიდის წარმატებით სარგებლობდნენ ამ უკანასკნელ ხანს მოწყობილ გამოფენებზე.

კუბის რესპუბლიკის საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა საბჭოთა კავშირში ეველიო ტიელესმა ნ. იანქოშვილის სურათების გამოფენის დათვალიერების შემდეგ განაცხადა:

თავის სურათებში ნ. იანქოშვილი დიდ ყურადღებას უთმობს კუბელ ნეგრებს... მათ დიდი როლი შეასრულეს კუბის რევოლუციის გამარჯვებაში... მხატვარმა კარგად შეიგრძნო კუბის რევოლუციის არსი და წარმატებით განასახიერა ის თავის შემოქმედებაში...

დღეს ჩვენს მკითხველს ვთავაზობთ ნ. იანქოშვილის რამდენიმე ნამუშევარს.

გარეკანის პირველ გვერდზე: ჩაის პლანტაციებში.
ფოტო ო. თურქიასი და ე. პესოვისა; მონტაჟი თ. სამსონაძისა.
მეოთხე გვერდზე: ზანგი გოგონა. ნახ. ნ. იანქოშვილისა.

რედაქტორი ა. ძიძიგური. სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. საакაშვილი, პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე. ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. ტელ. — რედაქტორის 3-34-66, პ/მგ. მდივნის — 9-82-69, განყოფილებების — 3-28-42

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ. ყდა და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში

ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/VII-62 წ. გამომც. № 76, ქაღ. ზომა 70×108 1/8. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფორმათა რაოდ. 4,79.
პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 22 000. შეკვ. № 1245, უე 04552

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/ს „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. №14.



სახალხო-რევოლუციური
მილიციის მებრძოლი



ფიდელ კასტრო



ოთხი ქალიშვილი

კუბელი პატარძალი





პორტრეტი



ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა